

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ზურაბ კირკიტაძე

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიები და მათი
ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე (საქართველოს
მაგალითზე)

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ შენგელია ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი

2019

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

ზურაბ კირკიტაძე

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიები და მათი
ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, საქართველოს ეკონომიკა, მოტივაციები, ეფექტები, ფაქტორები.

სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

საქართველოში უპი-ს შემოდინება ძირითადად 1994 წლიდან ხორციელდება. მისი დარგობრივი განაწილება ცვლილებებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, საინვესტიციო პოტენციალის შეფასებასა და უპი-ის მოზიდვასთან დაკავშირებით სწორი სტრატეგიის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, მათი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის დადგენა, რომლებიც ეროვნულ ეკონომიკაში აბანდებენ კაპიტალს. ამდენად, ამ კონკრეტულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გამოვლენა მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, რაც განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის აქტუალობას.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები:

1. სადისერტაციო ნაშრომში ფუნდამენტურად არის გაანალიზებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიული საფუძვლები, ის მიდგომები, რომელიც დომინირებს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში;
2. შესწავლილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოტივაციების დეტერმინანტები. უპი-ს ეფექტები დადასტურებულია და ახსნილია შესაბამისი არგუმენტებით;
3. დასაბუთებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად გატარებული ღონისძიებების შესაბამისობა; დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში

განხორციელებული ცვლილებები მიზეზ შედეგობრივ კავშირშია უპის შემოდინებასთან.

4. მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ საქართველოში ზოგიერთი სტრატეგიული ფაქტორი, როგორც დადებითად და ასევე უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე. რეგრესიული ანალიზით გამოვლენილია საქართველოში უპის შემოდინების სტრატეგიული მოტივაციები.
5. მიმღებ ქვეყანაში გამოვლენილია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებით ზემოქმედებას რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესზე; ინდუქციის მეთოდით დამტკიცებულია, რომ უპის ზეგავლენა მიმღებ ქვეყანაზე ამ უკანასკნელის ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.
6. დასაბუთებულია უპი-ს ზოგიერთი მოტივაციის ეფექტები კონკრეტული ფირმების მაგალითზე.
7. დისერტაციაში განხილულია უპი-ს მახასიათებლები და სტრატეგიული მოტივაციების ეფექტები, როგორც ზოგადად, ასევე საქართველოს მაგალითზე. გაანალიზებულია თითოეული მოტივაციის შემთხვევაში რა ქვემოტივაციები ასრულებს მნიშვნელოვან როლს უპი-ს მოზიდვაში.
8. უპი-ს განხორციელების მიზეზები, დადასტურებულია სტატისტიკური და ფაქტოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია: საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სისტემური ანალიზის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკაზე მათი ზეგავლენის დადგენა და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის შედეგად იმ სტრატეგიული ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საქართველოში უპის შემოდინებაზე.

საკვალიფიკაციო ნაშრომში დაისახა შემდეგი ამოცანები:

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების თეორიული საფუძვლების ანალიზი;
- გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე ტენდენციების განხილვა;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მახასიათებლების, სტრატეგიული მოტივაციების დეტერმინანტებისა და ეფექტების ანალიზი;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე გავლენის ანალიზი;
- ვერტიკალური უპის მიმღებ ქვეყანაზე გავლენის ანალიზი;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიული მოტივაციების განსაზღვრა და მისი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალის გამოვლენა და ქვეყნის ეკონომიკაში ეფექტიანი განთავსების გზების დადგენა.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 206 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, თორმეტი ქვეთავისა და დასკვნებისაგან; ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

პირველ თავში გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა. მეორე თავში განხილულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა. მესამე თავში მოცემულია საქართველოში განხორციელებული უპი-ს გავლენის შეფასება.

რაოდენობრივი ანალიზით გამოვლენილია საქართველოში ინვესტორთა შემოსვლის სტრატეგიული მოტივაციები. დადგენილია, სხვადასხვა ინვესტორის სტრატეგიული მოტივაციები, რამდენად უწყობს ხელს საქართველოში არსებული მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემის დაძლევას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება ქვეყანას, მოიზიდოს შესაბამისი ინვესტიციები, რათა ხელი შეეწყოს სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

ანალიზით დადგენილია, თუ როგორ უნდა მოხდეს უპი-ს ოპტიმალური მოცულობის მოზიდვა საქართველოში. სტატისტიკური ანალიზისა და დედუქციის მეთოდით ახსნილია, თუ რატომ ვერ დავძლიეთ მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემა უპი-ს შემოდინებით.

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგებით ვადაგნთ, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად. მათ შორის ისეთების, როგორიცაა: მზარდი სავაჭრო დეფიციტი და სიღარიბე.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია ისეთი ინვესტორების მოზიდვის პროგნოზირება, რომლებმაც, შესაძლოა, გაზარდონ მოსახლეობის დასაქმების დონე, რაც ასევე საქართველოში არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგიერთი პრაქტიკული და თეორიული მიგნებების გამოყენება შეიძლება სტუდენტებთან სალექციო და სასემინარო მუშაობის პროცესში, ისეთი თემების განხილვისას, როგორიცაა: საინვესტიციო პოლიტიკა და საინვესტიციო აქტივობა საქართველოში.

Abstract

Zurab Kirkitadze

**Foreign Direct Investment motivations and their effect on host country
economy (case of Georgia)**

**keywords: FDI, Georgian economy, motivations, effects, factors Dissertation topic
actuality, research novelty and innovation.**

FDI inflows into Georgia basically since 1994. its sectoral distribution is characterized by variation. consequently it is important to analyze the motivations of companies who invest capital

in national economy and to identify their impact on our economy in order to evaluate investment potential and to work out correct strategy for attraction of FDI. Thus, it is important to identify problems that arise in this specific area when we work out national economic policy that in its turn determines research problem actuality.

Scientific novelty:

- In dissertation we fundamentally analyzed theoretical fundamentals of foreign direct investment and those approaches that dominate in modern scientific literature.
- we explained reasons that cause increase or decrease of FDI in specific years compared with previous year
- we studied the determinants of FDI motivations. The effects of FDI are proved and explained with relevant arguments.
- we substantiate the consistency of passed measures for attraction of FDI.
- we prove by multiple regression analysis that some factors hinder FDI inflow and some factors stimulate FDI inflow in Georgia
- we identified those factors on which positive affects on host country's economics and business are dependent
- effects of some FDI motivations are supported with evidence by usage of specific georgian firms.

In dissertaion

We discuss FDI characteristics and also FDI motivations effects as generally and also on example of Georgia. we discuss by what factors are motivated various inestvors who have different motivations and we discuss generally why FDI occurs and this reasons are proved by statistical and other factual data. we prove that changes that were made in Georgia really conditioned the inflow of FDI in Georgia. we identify the motivations of investors who invest capital in Georgia by regression analysis and by usage of induction methodology we prove that FDI effects on host countries are dependent on host country characteristics.

Research objectives and tasks

The objective of dissertation is to identify FDI effects on Georgian economy by systematic analysis of FDI in Georgia and to identify by regression analysis those factors that stimulate FDI inflow in Georgia.

Research tasks:

- Analyze theoretical fundamentals of FDI
- Discuss modern tendencies of FDI under globalization
- Analyze FDI characteristics, motivations, determinants and effects
- Analyze the effect of FDI on host country export diversification
- Analyze the effect of vertical FDI on host country
- Identify the motivations of investors in Georgia and evaluate its effect on Georgian economy
- Identify FDI attraction potential of Georgia and determine how to receive positive effects from FDI instead of negative effects.

Scientific work structure and research methodology

Dissertation consists of 206 pages and it consists of introduction, three chapters, twelve subchapters and conclusion. work also has used literature list in the end.

We identified the motivations of investors in Georgia by quantitative analysis and by the same analysis we identified to what extent various investors who invest capital in georgia for various motivations solve growing trade deficit in georgia and by taking this into consideration Georgia will attract consistent FDI that in its turn will also solve other important economic problems. By the same analysis we identified how to attract sufficient FDI again in future. By usage of statistical analysis and deduction methodology we explain why we could not overcome growing trade deficit problem in Georgia with inflow of FDI.

Scientific value of reasearch results and potential practical significance

We identified by research results what we have to do in georgia in order to overcome the most important economic problems such as growing trade deficit and poverty and by taking into consideration the research results we may attract such investors in future who may still employ in low wages the part of georgian society who can not find job because of their low level of education.

შინაარსი

შესავალი	გვ.12
თავი 1. გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა	
1.1 გლობალიზაცია და უპი-ს ცვლილების ტენდენციები მსოფლიოში.....	გვ.20
1.2 უპი-ის თეორიული საფუძვლები.....	გვ.30
1.3 უპი-ის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებული სტატისტიკური ანალიზი	გვ.48
1.4 უპი-ის მოტივაციების დეტერმინანტები	გვ.57
1.5 უპის მოტივაციების ეფექტები და მახასიათებლები.....	გვ.62
თავი 2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა	
2.1 ვერტიკალური უპი-ის ზეგავლენა მიმღებ ქვეყანაზე.....	გვ.88
2.2 უპი-ის ზეგავლენა ექსპორტის დივერსიფიკაციასა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.....	გვ.94
თავი 3. საქართველოში განხორციელებული უპი-ის გავლენის შეფასება	
3.1 უპის მოტივაციებისა და უპი-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	გვ.98
3.2 უპი-ის მოზიდვის პოტენციალი.....	გვ.108
3.3 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დეტერმინანტების ანალიზი საქართველოში.....	გვ.118
3.4 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად გატარებული ღონისძიებები და მათი შესაბამისობის დადასტურება.....	გვ.144
3.5 უპის ეფექტიანი განთავსების გზების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაში.....	გვ.154
დასკვნები და წინადადებები.....	გვ.161
გამოყენებული ლიტერატურის სია	გვ.166
დანართები	
დანართი№1: რეგრესიული ანალიზის დროს გამოყენებული დამოკიდებული ცვლადი და დამოუკიდებელი ცვლადები.....	გვ.187

დანართი№2: Stepwise least squares-ის შედეგები.....	გვ.187
დანართი№ 3: გამოტოვებული ცვლადების ტესტი.....	გვ.188
დანართი№4: ვალდის ტესტი.....	გვ.188
დანართი№5: ზედმეტი ცვლადების ტესტი.....	გვ.189
დანართი№6: Likelihood ratio ტესტის დროს სრული მოდელის Log likelihood.....	გვ.189
დანართი № 7: Likelihood ratio ტესტის დროს შემოკლებული მოდელის Log likelihood.....	გვ.190
დანართი №8: უპისა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის ამსახველი სკეტერ ფლოთი.....	გვ.191
დანართი№9:კორელაციის მატრიცა.....	გვ.192
დანართი№10:წრფივიმოდელის რეზიდუალ ფლოთი.....	გვ.192
დანართი№11: არაწრფივი რეგრესიის შედეგები.....	გვ.193
დანართი№12: არაწრფივი მოდელის რეზიდუალ ფლოთი.....	გვ.193
დანართი№13: წრფივი და არაწრფივი რეგრესიის შედეგები.....	გვ.194
დანართი№14: მე-2 არაწრფივი რეგრესიის შედეგები.....	გვ.194
დანართი№15: არაწრფივი მოდელის რეზიდუალ ფლოთი.....	გვ.195
დანართი№16: ბოქსფლოთი.....	გვ.195
დანართი№17:კორელაციის მატრიცა.....	გვ.196
დანართი№18:ავტოკორელაციის დატესტვა დურბინ ვატსონის სტატისტიკით...გვ.	196
დანართი №19: რეგრესიის შედეგები უპის ერთი პერიოდით ლაგირებული ცვლადის დამოუკიდებელ ცვლადებში ჩართვის გათვალისწინებით.....	გვ.197
დანართი№20: Breusch-Godfrey LM ტესტი.....	გვ.197
დანართი№21:რეგრესიის შედეგები ცვლად რეალური მშპ-ის ამოგდების შედეგად.....	გვ.198
დანართი№22: რეგრესიის შედეგები რეალური მშპ-ის ამოგდებისა და უპის ლაგირებული ცვლადის დამატებით.....	გვ.198
დანართი№23: Breusch-Godfrey LM ტესტი.....	გვ.199
დანართი№ 24: რეზიდუალების ჰეტეროსკედასტიკურობის ტესტი.....	გვ.200

დანართი № 25: ინსტრუმენტალური ცვლადების შესაბამისობის დასადგენი ტესტის პირველი ეტაპი.....	გვ.201
დანართი № 26: ინსტრუმენტალური ცვლადების შესაბამისობის დასადგენი ტესტის მეორე ეტაპი.....	გვ.201
დანართი № 27: ენდოგენურობის ტესტის პირველი ეტაპი.....	გვ.202
დანართი № 28: ენდოგენურობის ტესტის პირველი ეტაპიდან მიღებული რეზიდუალები.....	გვ.203
დანართი № 29: ენდოგენურობის ტესტის მეორე ეტაპი.....	გვ.203
დანართი № 30: უპის კორელოგრამი.....	გვ.204
დანართი № 31: უპის სტაციონარობის დასადგენი ტესტი.....	გვ.204
დანართი № 32: დამოუკიდებელი ცვლადების VIF ის ამსახველი რეგრესიის შედეგები.....	გვ.205
დანართი № 33: მულტიკოლინეარობის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარების ამსახველი რეგრესიის შედეგები.....	გვ.205
დანართი № 34: ქედის რეგრესიის შედეგები.....	გვ.206
ცხრილები	
ცხრილი №1 უპი-ის შემოღინება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით.....	გვ.23
ცხრილი №2 მშპ და უპი 2010 წელს მსოფლიოს რეგიონების მიხედვით.....	გვ.24
ცხრილი №3 უპის შემოღინება 2010 წელს მსოფლიოს რეგიონების მიხედვით.....	გვ.25
ცხრილი №4 ქვეყნები უპის გაღინების მიხედვით და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა.....	გვ.51
ცხრილი №5 ქვეყნების რანჟირება უპი-სა და მშპ-ის მიხედვით.....	გვ.52
ცხრილი №6 2009 წელს შესაბამის ქვეყანაში დაბანდებული გრინფილდ ინვესტიციების რაოდენობა და კვარტილური რანჟი დასაქმებისა უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად.....	გვ.79
ცხრილი №7 ეფექტიანობის მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ. (ათასი აშშ დოლარი).....	გვ.99
ცხრილი №8 რესურსების მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ. (ათასი აშშ დოლარი).....	გვ.100

ცხრილი №9 ბაზრის მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ. (ათასი აშშ დოლარი).....	გვ.100
ცხრილი №10 რატომ აირჩიეთ მოცემული ქვეყანა ინვესტიციის განსახორციელებლად?.....	გვ.102
ცხრილი №11 კომპანიები, სადაც 2009 წელს დაბანდდა უპი და არ განახორციელეს ექსპორტი.....	გვ.103
ცხრილი №12 ქართული კომპანიები სადაც უპიმ გაზარდა დასაქმება.....	გვ.103
ცხრილი №13 2015-2017 წლებში ექსპორტის სტიმულირება უპის დაბანდების შედეგად საქართველოში ფუნქციონირებად კომპანიებში.....	გვ.104
ცხრილი №14 საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.....	გვ.112
ცხრილი №15 უპის არასეზონურობის ასახვა.....	გვ.139
ცხრილი №16 უპი-ის დინამიკა 1996-2018 წწ.....	გვ.146
ცხრილი №17 საქართველოში უპის დინამიკა 2011-2017 წწ.....	გვ.148
ცხრილი №18 საქართველოში უპის დინამიკა 2004-2010 წწ.....	გვ.148
ცხრილი №19 ქვეყნების რანჟირება უპისა და ექსპორტის მიხედვით 2017 წელს.....	გვ.152

დიაგრამა

დიაგრამა №1 რეალური მშპ საქართველოში 2010-2018 წწ.	გვ.113
---	--------

აბრევიატურები

უპი-უცხოური პირდაპირი ინვესტიცია

მნკ- მულტინაციონალური კომპანია

ტნკ-ტრანსნაციონალური კომპანია

უნკტადი-გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე

ბია-ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო

მშპ-მთლიანი შიდა პროდუქტი

მეგშ-მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

შესავალი

თემის აქტუალობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (უპი) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურისა და მათი ნაკადების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, უპი-სთან მიმართებით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი განხორციელების მოტივაცია, რომელიც განსხვავებულად აისახება მიმდებარე ქვეყნის ეკონომიკასა და კონკრეტული დარგების განვითარებაზე.

ფაქტია, რომ უპი დადებით გავლენას ახდენს მიმდებარე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და ის შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, განპირობებული კაპიტალის შემოდინებით, დასაქმების უზრუნველყოფით და ვაჭრობის ზრდით, ასევე არაპირდაპირი, ცოდნის, ნოუ-ჰაუს და მმართველობითი უნარ-ჩვევების გადაცემით.

განვითარებად ქვეყნებში ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) შეღწევის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ უპი-ის განხორციელების სხვადასხვა მოტივაციები:

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ძირითადად კონკრეტული ბაზრის მთლიანი ათვისებით არის დაკავებული, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მიმდებარე ქვეყნის ფირმებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის თანამშრომლობას. ის პროდუქტი, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გაეტანათ, მთლიანად ხელმისაწვდომი ხდება ადგილობრივი ფირმებისთვის, რაც ნიშნავს, რომ უკანასკნელს ექმნება შესაძლებლობა, შეიძინოს საქონელი საკუთარი წარმოებისათვის. ასეთი ტიპის უპი-ს ნაკლოვანება ის არის, რომ ექსპორტზე ნაკლებად არის ორიენტირებული. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი-ს უპირატესობა მდგომარეობს ადგილობრივ ფირმებზე კვლევისა და განვითარების უნარ-ჩვევების გადაცემაში, რომელიც პასუხობს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს ექსპორტის ინტენსიურობის ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. კონკურენციის არსებობის პირობებში მრავალი ფირმა ზრდის შრომის მწარმოებლურობას, რაც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის უპი

პირდაპირ გავლენას არ ახდენს ექსპორტის სტიმულირებაზე, ის არაპირდაპირი ზემოქმედებით უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას.

რესურსებზე ორიენტირებული უპი ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, კაპიტალის მოდინებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემას. თუმცა რესურსებზე ორიენტირებული უპი ხშირად კონცენტრირებულია ანკლავურ წარმონაქმნებში¹, რომლებშიც დომინირებს უცხოური ფილიალები შრომის ბაზართან მცირე კავშირებით. გარდა ამისა, მათი მაკროეკონომიკური სარგებლიანობა შეიძლება შემცირდეს ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონის გამო. ამასთან, სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფით რესურსებზე ორიენტირებული უპი-ს განხორციელებამ პირველად სექტორებში (სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, სამთო მრეწველობა, ნავთობისა და გაზის მოპოვება) შესაძლოა ქვეყანა ჩაითრიოს ე.წ. „ჰოლანდიურ დაავადებაში“. რესურსებზე ორიენტირებული უპი ასევე უზრუნველყოფს დემონსტრაციის ეფექტს უცხოური კომპანიების ჩართვით სავაჭრო ქსელებში, რაც განაპირობებს კარგად შესწავლილ საექსპორტო ბაზრებზე პროდუქტის რეალიზებას და უცხოური ვალუტის შემოდინებას. ამ შემთხვევაში ეფექტი არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან უცხოური კომპანიები იყენებენ ადგილობრივ ცოდნასა და გამოცდილებას. ჯანსაღი კონკურენციის შემთხვევაში ადგილი აქვს "ჩათრევის ეფექტს", რაც ზრდის სამამულო კომპანიების კონკურენტუნარიანობას. თუმცა ადგილობრივი კადრების დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში დასაქმების მაჩვენებელზე ზეგავლენა იქნება მცირდება.

ექსპორტზე ორიენტაციის დროს უპი ზრდის მიმღები ქვეყნის ექსპორტის მოცულობას, მაგრამ, თუ უცხოური ინვესტორი და ადგილობრივი ფირმა ერთი და იმავე ბაზარზე ახორციელებენ პროდუქციის რეალიზაციას, ამან შეიძლება უკანასკნელის მიერ საქონლის რეალიზებას შეუშალოს ხელი.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი მიმღებ ქვეყანას უზრუნველყოფს ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემით. ეს ადგილობრივ ფირმებსა და

¹ ანკლავურ წარმონაქმნებში კონცენტრირება ნიშნავს კავშირების არ დამყარებას (იზოლირებას სხვებისგან) <https://brainly.in/question/3252599>. ნანახია 9/28/2019

მომხმარებლებზე დადებით ზეგავლენას ახდენს, რადგან ისინი ცდილობენ არსებული ტექნოლოგიების სრულყოფას, რაც განაპირობებს ტექნოლოგიურ დიფუზიას.

საქართველოში უპი-ს შემოდინება ძირითადად 1994 წლიდან ხორციელდება. მისი დარგობრივი განაწილება ცვლილებებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და უპი-ს მოზიდვასთან დაკავშირებით სწორი სტრატეგიის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, მათი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის დადგენა, რომლებიც ეროვნულ ეკონომიკაში ახანდებენ კაპიტალს. ამდენად, ამ კონკრეტულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გამოვლენა მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, რაც განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის აქტუალობას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია: საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სისტემური ანალიზის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკაზე მათი ზეგავლენის დადგენა, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის შედეგად იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საქართველოში უპის შემოდინებაზე.

საკვლევ თემაზე მუშაობისას დისერტანტმა დაისახა შემდეგი ამოცანები:

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების თეორიული საფუძვლების ანალიზი;
- გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე ტენდენციების განხილვა;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მახასიათებლების, მოტივაციების დეტერმინანტებისა და ეფექტების ანალიზი.
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე გავლენის ანალიზი;
- ვერტიკალური უპი-ს მიმღებ ქვეყანაზე გავლენის ანალიზი;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების განსაზღვრა და მისი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე;

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალის გამოვლენა და ქვეყნის ეკონომიკაში ეფექტიანი განთავსების გზების დადგენა.

კვლევის საგანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შესწავლა და ანალიზი საქართველოში, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიები და მათი საინვესტიციო საქმიანობა.

კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფუნდამენტური თეორიები. გამოყენებულია სხვადასხვა ანალიზის ხერხები. სამეცნიერო კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა: რაოდენობრივი; თვისებრივი; სტატისტიკური ანალიზის; დედუქციისა და ინდუქციის; მულტივარიაციული, რეგრესიული ანალიზის; კორელაციის; რეგრესიის სტანდარტული კოეფიციენტებისა და გადახრის დადგენის სხვა მეთოდები. სტატისტიკური ანალიზისა და რეგრესიულ-კორელაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ყველა ის ფაქტორი, რომელიც როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად აისახება საქართველოში უპი-ს შემოდინებაზე და ამ გზით შესაძლოა იმდაგვარი პოლიტიკა გატარდეს საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ისეთი ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც ქვეყანაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების უფრო მეტად დაძლევას შეუწყობს ხელს; ასევე, სტატისტიკური და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ზოგიერთი მოტივაცია, რის გამოც ინვესტორები შემოდიან საქართველოში; სტატისტიკური ანალიზით გამოვლენილია, სხვადასხვა მოტივაციით შემოსული ინვესტორი რამდენად უწყობს ხელს ქვეყანაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემის მზარდი სავაჭრო დეფიციტის დაძლევას, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, თუ რა პოლიტიკა უნდა გატარდეს საქართველოში შესაბამისი ინვესტიციების მოსაზიდად. სტატისტიკური ანალიზის შედეგებისა და დედუქციის მეთოდის გამოყენებით დასაბუთებულია თუ რატომ ვერ გადაიჭრა საქართველოში მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემა უპი-ს შემოდინებით. ფართოდ არის განხილული დანიშნვის ეკლექტიკური პარადიგმა, რაც მოიცავს უპი-ს სხვა თეორიებსაც, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის შევაფასოთ

საინვესტიციო პოტენციალი მიმღებ ქვეყნებში. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, თუ რა გზებით არის შესაძლებელი საკმარისი ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში. ინდუქციის მეთოდის საფუძველზე გამყარებულია ის მოსაზრება, რომ უპი-ს ეფექტი მიმღებ ქვეყანაზე ამ უკანასკნელის მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმა, უნკტადის გამოცემები, უპი-ს მოტივაციებისა და დეტერმინანტების შესახებ სამეცნიერო კვლევები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები:

1. სადისერტაციო ნაშრომში ფუნდამენტურად არის გაანალიზებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიული საფუძვლები, ის მიდგომები, რომელიც დომინირებს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში;
2. შესწავლილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოტივაციების დეტერმინანტები. უპი-ს ეფექტები დადასტურებულია და ახსნილია შესაბამისი არგუმენტებით;
3. დასაბუთებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად გატარებული ღონისძიებების შესაბამისობა; დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებები მიზეზ შედეგობრივ კავშირშია უპის შემოდინებასთან.
4. მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ საქართველოში ზოგიერთი სტრატეგიული ფაქტორი, როგორც დადებითად და ასევე უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე. რეგრესიული ანალიზით გამოვლენილია საქართველოში უპის შემოდინების სტრატეგიული მოტივაციები.
5. მიმღებ ქვეყანაში გამოვლენილია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებით ზემოქმედებას რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესზე; ინდუქციის მეთოდით დამტკიცებულია, რომ უპის ზეგავლენა მიმღებ ქვეყანაზე ამ უკანასკნელის ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

6. დასაბუთებულია უპი-ს ზოგიერთი მოტივაციის ეფექტები კონკრეტული ფირმების მაგალითზე.
7. დისერტაციაში განხილულია უპი-ს მახასიათებლები და სტრატეგიული მოტივაციების ეფექტები, როგორც ზოგადად, ასევე საქართველოს მაგალითზე. გაანალიზებულია თითოეული მოტივაციის შემთხვევაში რა ქვემოტივაციები ასრულებს მნიშვნელოვან როლს უპი-ს მოზიდვაში.
8. უპი-ს განხორციელების მიზეზები, დადასტურებულია სტატისტიკური და ფაქტოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

პირველ თავში გაანალიზებულია გლობალიზაცია და უპი-ს ცვლილების ტენდენციები მსოფლიოში, უპი-ს თეორიული საფუძვლები, ჩატარებულია უპი-ს თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებული სტატისტიკური ანალიზი, გაანალიზებულია უპი-ს მოტივაციების დეტერმინანტები, ეფექტები და მახასიათებლები.

მეორე თავში განხილულია ვერტიკალური უპი-ს ზეგავლენა მიმღებ ქვეყანაზე, უპი-ს ზეგავლენა ექსპორტის დივერსიფიკაციაზე და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

მესამე თავში გაანალიზებულია უპი-ს ეფექტები საქართველოზე როგორც ზოგადად, ასევე მოტივაციების მიხედვით, შეფასებულია უპი-ს მოზიდვის პოტენციალი, ჩატარებულია საქართველოს შემთხვევაში უპი-ს დეტერმინანტებთან დაკავშირებული რეგრესიული ანალიზი, დასაბუთებულია, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები მართლაც იყო მიზეზობრივ კავშირში უპი-ს შემოდინებასთან; ინდუქციის მეთოდოლოგიით ასევე დამტკიცებულია, რომ უპი-ს ზეგავლენა მიმღებ ქვეყნებზე ამ უკანასკნელთა მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფუნდამენტური თეორიები. გამოყენებულია სხვადასხვა ანალიზის ხერხები. სამეცნიერო კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა: რაოდენობრივი; თვისებრივი; სტატისტიკური ანალიზის; დედუქციისა და ინდუქციის; მულტივარიაციული, რეგრესიული ანალიზის; კორელაციის; რეგრესიის სტანდარტული კოეფიციენტებისა და გადახრის დადგენის სხვა მეთოდები.

სტატისტიკური ანალიზისა და რეგრესიულ-კორელაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ყველა ის ფაქტორი, რომელიც როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად აისახება საქართველოში უპი-ს შემოდინებაზე და ამ გზით შესაძლოა, იმდაგვარი პოლიტიკა გატარდეს საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ისეთი ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც ქვეყანაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების უფრო მეტად დაძლევას შეუწყობს ხელს. ასევე, სტატისტიკური და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ზოგიერთი მოტივაცია, რის გამოც ინვესტორები შემოდის საქართველოში. სტატისტიკური ანალიზით გამოვლენილია, სხვადასხვა მოტივაციით შემოსული ინვესტორი რამდენად უწყობს ხელს ქვეყანაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემის - მზარდი სავაჭრო დეფიციტის დაძლევას, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, თუ რა პოლიტიკა უნდა გატარდეს საქართველოში შესაბამისი ინვესტიციების მოსაზიდად. სტატისტიკური ანალიზის შედეგებისა და დედუქციის მეთოდის გამოყენებით დასაბუთებულია თუ რატომ ვერ გადაიჭრა საქართველოში მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემა უპის შემოდინებით. ფართოდ არის განხილული დანიშნის ეკლექტიკური პარადიგმა, უპის სხვა თეორიები, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის შევაფასოთ საინვესტიციო პოტენციალი მიმღებ ქვეყნებში. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია თუ რა გზებით არის შესაძლებელი, მოვიზიდოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ოპტიმალური ოდენობა საქართველოში. ინდუქციის მეთოდის საფუძველზე გამყარებულია ის მოსაზრება, რომ უპი-ს ეფექტი მიმღებ ქვეყანაზე ამ უკანასკნელის მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები. დანიშნის ეკლექტიკური პარადიგმა, უნკტადის გამოცემები, უპი-ს მოტივაციებისა და დეტერმინანტების შესახებ სამეცნიერო კვლევები.

კვლევის შედეგების აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა თსუ-ს საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე, მისი ცალკეული დებულებები აპრობირებულია ამავე კათედრის მიერ ჩატარებულ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულ კოლოქვიუმებსა და სემინარზე. სადისერტაციო

ნაშრომის ძირითადი დებულებები სამეცნიერო სტატიების სახით გამოქვეყნდა შემდეგ სამეცნიერო შრომების საერთაშორისო კრებულებსა და ჟურნალებში:

1. ზურაბ კირკიტაძე. საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული IX. გვ.418-424.

2. ზურაბ კირკიტაძე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისთვის გატარებული ღონისძიებები და მათი შესაბამისობის დადასტურება. ჟურ. „ახალი ეკონომისტი“, 2018, № 2-3, გვ.46-54.

3. ზურაბ კირკიტაძე. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დეტერმინანტების ანალიზი საქართველოში. ჟურ. „ეკონომისტი“, 2018, №2, გვ.146-156.

4. ზურაბ კირკიტაძე, მიმღებ ქვეყნებში უპი-ის დადებითი ეფექტების მიღება. ზურაბ კირკიტაძე. ჟურ. „ეკონომიკა“, 2018, №12, გვ.36-42.

5. Zurab Kirkitadze. Discussion of passed measures for attraction of FDI and affirmation of their consistency. World economy and international economic relations. International Scientific Collection. Kiev. GUL, 2018. ISBN 978-611-01-1079-2. P. 24-29.

6. Z. Kirkitadze, T. Shengelia, Y. Kozak. FDI motivation effects on Host countries. World economy and international economic relations. International Scientific Collection. Volume 3, Kiev. GUL, 2020. ISBN 978-611-01-1615-2. P. 15-20.

თავი 1. გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა

1.1 გლობალიზაცია და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ცვლილების ტენდენციები მსოფლიოში

ლინგვისტური თვალსაზრისით ტერმინი გლობალიზაცია წარმოსდგება ფრანგული სიტყვა Global-ისაგან, რაც საყოველთაოს ნიშნავს. გლობალიზაცია ფრაგმენტაციის (დაყოფა, დანაწევრება) საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა იგი ცალკეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახვად გამოიყენა. ამრიგად, თავდაპირველად ის წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინია, მაგრამ სულ რამოდენიმე წელიწადში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – "გლობალიზაცია, შემეცნება და საზოგადოება" – ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მ. ელბროუმ მსოფლიო ქვეყნებისა და ხალხების, სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ერთიანობის გამოსახატავად (შენგელია 2010, 30).

ლიტერატურაში დამკვიდრდა გლობალიზაციის, როგორც ტერმინის უამრავი განმარტება. მაგალითად, ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი ე. გიდდენსი მიიჩნევს, რომ ის უპირატესად არის სოციალური მოვლენა – "გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როდესაც ადგილობრივი ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენების საფუძველზე და პირიქით" – წერს ის. ამერიკელი ეკონომისტი გ. ბჰაგვატი განმარტავს, რომ ეს არის "საგარეო ვაჭრობის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახლეობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების, საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი." ამავე აზრს იზიარებს ამერიკელი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი, რომლის მიხედვითაც, "გლობალიზაცია არის ქვეყნებისა და ხალხის სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, რომელიც განპირობებულია ტრანსპორტისა და დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ცოდნის, ადამიანების ეროვნულ საზღვრებს მიღმა გადაადგილებით, პროცესი, რომელიც ხორციელ-

დება ხელოვნური ბარიერების მოსპობით." მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის დაკავშირებულია გლობალიზაციასთან და გულისხმობს ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება ღია, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებს (შენგელია 2010, 30-31).

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თავისუფალი მოძრაობა არის გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულება. უპი-ს მოზიდვის მიზნით მთავრობა აწესებს საგადასახადო სტიმულებს და გადასახადების სახით იღებს შემოსავლებს. გლობალიზაცია წარმოადგენს პრაქტიკულ საჭიროებას. მაგალითად უპი, რომელიც გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ხასიათდება მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით. ასევე მაშინ, როდესაც შიგა ინვესტიციური რესურსები არის მცირე, უპი უზრუნველყოფს მიმღებ ქვეყანას კაპიტალით და არის იმ საერთაშორისო ფინანსების უკეთესი ალტერნატივა, რომელსაც ქვეყანა სესხულობს საერთაშორისო დონორებისაგან (მაგალითად, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან), ვინაიდან უპი-ის დროს არ წარმოიქმნება საგარეო ვალი, ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები თანხები ზრდის ამ ვალს. გლობალიზაცია მოიცავს საქონლის, ფინანსური აქტივების, ადამიანებისა და არამატერიალური აქტივების გადინებას საზღვარგარეთ. გლობალიზაციის ქვესფეროებია: ტექნოლოგიის გადაცემა, ტრანსნაციონალიზმი², რეგიონალიზმი³ და მულტილატერალიზმი⁴. ანტონი მაკგრიუსის (Reich 1998, 5) აზრით, გლობალიზაცია წარმოადგენს კავშირებს, რომელიც ცდება ეროვნულ საზღვრებს და ქმნის

² ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესები, რომელიც ცდება სახელმწიფო საზღვრებს.

[https://www.google.com/search?client=opera&hs=uSX&sxsrf=ACYBGNSi37HdZMIwOQG6yDINtg6WGmtq9Q%3A1569665092019&ei=RDCPXZJqwYGTBfyCk8AD&q="economic+political+and+cultural+processes+that"&oq="economic+political+and+cultural+processes+that"&gs_l=psy-ab.3...16835.23906..24097...0.0..0.208.1871.0j11j1](https://www.google.com/search?client=opera&hs=uSX&sxsrf=ACYBGNSi37HdZMIwOQG6yDINtg6WGmtq9Q%3A1569665092019&ei=RDCPXZJqwYGTBfyCk8AD&q=) . ნანახია 9/28/2019

³ რეგიონალიზმი - ესაა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა იმისათვის, რომ მიღწეული იყოს საერთო მიზანი ან გადაიჭრას საერთო პრობლემა.

<https://www.insightsonindia.com/2014/11/13/regionalism-dimensions-meaning-issues/> ნანახია 9/28/2019

⁴ გულისხმობს მრავალი ქვეყნის ერთ საერთო პრობლემაზე

თანამშრომლობას. <https://en.wikipedia.org/wiki/Multilateralism> ნანახია 9/28/2019

თანამედროვე მსოფლიო სისტემას. მის თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროცესს, როდესაც მოვლენებს, გადაწყვეტილებებსა და აქტივობებს მსოფლიოს ერთ ნაწილში შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ხალხთა ჯგუფზე გლობუსის სრულიად შორ მხარეს. კერნი ადსის (Reich 1998, 6) გლობალიზაციის განმარტებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ამ ტერმინის შემდეგი განმარტება: გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც წარმოიშობა საქონლის ცვალებადი მახასიათებლების გამო. შესაბამისად ჩვენი მოსაზრებაა, რომ თუკი პროდუქცია გაუმჯობესდა, იგი შესაძლოა უფრო მოთხოვნადი გახდეს საზღვარგარეთ და შესაბამისად განხორციელდეს ექსპორტი, რომელიც, თავის მხრივ, გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა. გლობალიზაციაში შეიძლება მოვიაზროთ უპი, მულტინაციონალური კომპანიების წარმოქმნა და ექსპორტი. გლობალიზაციის გამოხატულებებია ექსპორტი და უპი და ასევე ის მოვლენები, რომელიც ხელს უწყობს ამ გამოხატულებებს და ის ზოგიერთი დადებითი ეფექტი, რაც მოსდევს უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს. საინვესტიციო აქტივობის ზრდის ზოგიერთი ფაქტორის გაუმჯობესებამ განაპირობა გლობალიზაციის წარმოშობა. მაგალითად, ეკონომიკური ზრდა განაპირობებს მიმღებ ქვეყანაში უპის მოზიდვას. ასევე ომი მიიჩნევა უპის შემოდინების შემაფერხებელ ფაქტორად და, შესაბამისად, პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში უპი უფრო შემოდინება მიმღებ ქვეყანაში. მაგალითად აფრიკაში, კონკრეტულად კი სიერა ლეონეში, ომი უარყოფითად აისახა აქ უპი-ს შემოდინებაზე. გლობალიზაცია წარმოიქმნა იმის გამო, რომ ხდება მიმღებ ქვეყანაში ტრანსნაციონალური კომპანიების მოზიდვა და ამ კომპანიების სტიმულირება, რაც ამ ქვეყნების მოსახლეობაზე დადებითი ზეგავლენით ხასიათდება. უპი-ები, რომლებიც გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებასთან.

2017 წელს უპი-ს საერთაშორისო გლობალური ნაკადები 16%-ით ანუ 1.52 ტრილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2016 წელს ანალოგიური მაჩვენებლი იყო 1.81 ტრილიონი ამერიკული დოლარი (მითითებულია უნკტადის ვებსაიტზე, <https://unctad.org/en/pages/newsdetails.aspx?OriginalVersionID=1659>). 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, უპი გაიზარდა განვითარებად ქვეყნებში 0.1%-ით. 2003-2008 წლებში აღინიშნებოდა უპი-ს შემოდინების მოცულობის მუდმივი ზრდა

განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად ქვეყნებში 2010 წელს აღინიშნებოდა უპი-ს შემოდინების მოცულობის კლება 2017 წელს აღინიშნება ზრდის ტენდენცია და მათ ჯამურად მოიზიდეს გლობალური უპი-ს 47%, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წელს იყო 35%. შესაბამისად, 2016-2017 წლებში განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებოდა გლობალური უპი ნაკადებში არსებული წილის ზრდით. 2016-2017 წლებში უპის შემოდინების მიხედვით განვითარებადი ქვეყნებიდან ლიდერია ჩინეთი. ჩინეთში უპის მოზიდვა აიხსნება იმით, რომ აქ გაიზარდა ადგილმდებარეობის უპირატესობები. უპის მოზიდვაში ჩინეთის ლიდერობა განსაზღვრა აზიურმა ქვეყნებმა, კერძოდ, ჰონკ-კონგმა, მაკაომ და ტაივანმა. ამავე წლებში ჩინეთში პროდუქციის დიფერენციაციის განხორციელების საშუალებებმა, ამ ქვეყანაში გამოიწვია უპი-ების ზრდა. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გლობალური უპი-ის გადინება შემცირდა 43311.10512 მილიონი დოლარით. 2016-2017 წლებში უპი-ის გადინების მიხედვით განვითარებადი ქვეყნებიდან ასევე ლიდერობდა ჩინეთი. 2017 წელს უპის შემოდინების ზრდა წინა წლებთან შედარებით განვითარებად ქვეყნებში შეიძლება აიხსნას ძირითადად იმ ინვესტიციებით (გრინფილდ ინვესტიციების სახით), რომლებიც განხორციელდა ტრანსპორტსა და ფინანსურ მომსახურებაში, ასევე ბიზნესსექტორში განხორციელებული შერწყმებითა და შთანთქმებით.

საქართველოში 2014-2017 წლებში შესაბამისად დაფიქსირდა 1817.7, 1665.6, 1565.8 და 1894.5 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის უპი-ის შემოდინება. უპის შემოდინება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით 2000-2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (იხ: ცხრილი №1)

ცხრილი №1

უპი-ის შემოდინება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით
(მლნ. დოლარი 2000-2018 წწ.)

წელი	ევროპა	ჩრდილოეთ ამერიკა	აფრიკა	აზია	ლათინო ამერიკა და კარიბული	ოკეანია
2000	707 413.2	380 802.1	9 651.2	142 031.4	79 790.0	116.4
2001	345 708.4	187 124.4	19 972.8	122 995.9	72 776.7	248.4
2002	290 171.1	96 612.5	14 765.9	94 954.3	56 344.9	139.5
2003	264 072.0	60 628.2	18 178.1	130 710.0	45 572.2	346.1
2004	213 526.1	135 381.0	17 676.3	175 731.6	67 971.9	395.9

2005	475 485.9	130 464.6	29 437.5	224 575.7	77 127.0	280.9
2006	605 259.1	297 429.9	34 625.1	293 523.5	73 867.6	1 544.8
2007	872 013.6	332 772.6	51 062.4	353 173.5	116 942.7	1 219.9
2008	331 278.7	367 918.5	58 060.4	378 481.8	138 828.8	2 637.5
2009	433 405.6	166 303.7	56 652.3	316 374.2	86 490.8	2 098.1
2010	409 805.8	226 449.4	46 620.1	412 817.3	160 915.4	1 947.7
2011	477 527.8	269 531.3	45 633.4	416 861.8	200 567.8	2 004.6
2012	425 744.6	242 145.0	56 853.7	406 096.0	197 167.5	3 485.0
2013	351 196.8	270 784.4	50 074.8	415 404.7	184 392.4	2 679.3
2014	283 392.4	260 666.2	53 906.0	459 982.3	161 204.8	2 306.8
2015	715 016.8	511 450.3	56 874.1	514 424.2	155 912.0	1 603.4
2016	611 693.4	507 784.2	46 482.4	473 325.0	135 349.4	1 133.0
2017	384 023.4	302 090.4	41 389.8	492 712.7	155 404.6	1 069.0
2018	171 877.6	291 438.6	45 902.2	511 706.7	146 720.5	1 713.4

წყარო: World Investment Report: Annex Tables, უნკტადის ვებსაიტი,
<https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx>

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ყოველ წელს ევროპა ლიდერია უპი-ის მოზიდვის მიხედვით და ასევე 2008, 2010, 2013, 2014, 2017 წლებში ლიდერობდა აზიის რეგიონი. ევროპამ ყველაზე მეტი უპი მოიზიდა 2007, ჩრდილოეთ ამერიკამ 2015, აფრიკამ 2008, აზიამ 2015, ლათინურმა ამერიკამ 2011, ხოლო ოკეანამ 2012 წელს. 2017 წელს რეგიონებს შორის არსებული საინვესტიციო სხვაობა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას გრავიტაციული მოდელით, რომელიც უპი-ის დეტერმინანტად მიიჩნევს ქვეყნებისა და რეგიონების მშპ-ს. ამის დასადასტურებლად წარმოვადგინოთ ცხრილი №2:

ცხრილი №2

მშპ და უპი 2017 წელს მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

რანჟირება მშპ-ის მიხედვით	რეგიონი	მშპ (ბილიონი დოლარი) 2017 წელი	რანჟირება უპის შემოდინების მიხედვით 2017 წელს
1	ევროპა	18,800	2
2	ჩრდილოეთ ამერიკა	17,506	3
3	აზია	10,575	1
4	აფრიკა	1,595	4
5	ოკეანია	1,067	5

წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_continents_by_GDP_

უპის შემოდინება 2017 წელს მსოფლიოს რეგიონების მიხედვით
(მლნ. დოლარი)

ევროპა	409 805.8
ჩრდილოეთ ამერიკა	226 449.4
აფრიკა	46 620.1
აზია	412 817.3
ლათინო ამერიკა და კარიბული	160 915.4
ოკეანია	1 947.7

წყარო:<https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx>

როგორც ცხრილი №1-ის, №2-ის, №3-ის ანალიზით ირკვევა, რაც უფრო მაღალია მშპ, მით მეტია უპის შემოდინება ქვეყანაში. თუმცა საყურადღებოა შემდეგიც: ადგილმდებარეობის უპირატესობები აღნიშნავს მიმღები ქვეყნის იმ დადებით ფაქტორებს, რომელიც ფირმას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს უფრო მეტი მოგება ამ ქვეყანაში ბაზირების ქვეყანასთან შედარებით. მაგალითად, იაფი სამუშაო ძალა, დაბალი ტრანსპორტირების ხარჯები, კარგი ინფრასტრუქტურა, დაბალი გადასახადები, იაფი ბუნებრივი რესურსები, მყიდველთა მოთხოვნის ზრდა ან ნებისმიერი სხვა სტიმული, რასაც მიმღები ქვეყანა სთავაზობს ინვესტორს. ადგილმდებარეობის უპირატესობები აღნიშნავს ინვესტიციათა დაბანდების პროცესში მიმღები ქვეყნის იმ მახასიათებლებს, რაც გამოარჩევს მას სხვა ქვეყნებისგან. უპის გრავიტაციული მოდელის თანახმად, ევროპაში უნდა დაფიქსირებულიყო უფრო მეტი უპი ვიდრე აზიაში. თუმცა, რეალური სურათი განსხვავებულია. აზიაში 2017 წელს შემოდინებული უპის ჯამური მოცულობა შეადგენდა 412 870.9 მილიონ აშშ დოლარს, რაც გაანგარიშებულია 40 ქვეყნის საფუძველზე, ხოლო ევროპაში 31 ქვეყნის საფუძველზე შემოდინებულმა უპი-მ შეადგინა 426 722.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც შემცირდა იმის გამო, რომ ამავე წელს ევროპაში ორ ქვეყანაში - ჰოლანდიასა და დანიაში დაფიქსირდა - -7184.47 და -8977.4 მილიონი აშშ დოლარის უპი (უარყოფითი უპის შემოდინება ნიშნავს, რომ, მაგალითად, ინვესტორმა მოახდინა საწარმოს ლიკვიდაცია), ანუ ევროპაში 2-ით ნაკლები ქვეყნის შემთხვევაში ფიქსირდება ბევრად უფრო მეტი უპი ვიდრე აზიაში. ასევე უპის გრავიტაციული მოდელის თანახმად,

ჩრდილოეთ ამერიკაში უნდა ფიქსირდებოდეს უფრო მეტი უპი ვიდრე აზიაში, თუმცა რეალური სურათი საპირისპიროა. ის, რომ აზიამ მოიზიდა უფრო მეტი უპი, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკამ, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ინვესტორები უპის დაბანდებისას ადგილმდებარეობის უპირატესობის ყველა სახეობას აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, შევადაროთ საანალიზო პერიოდში აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ხელფასის დონეები. მინიმალური საშუალო თვიური ხელფასი კანადაში არის 2388.29 ამერიკული დოლარი (კანადა და შეერთებული შტატები განთავსებულია ჩრდილოეთ ამერიკაში), აზიაში კი 30 ქვეყანას შორის თუ კლებადობით დავალაგებთ ხელფასის ზომას, სამხრეთ კორეა იმყოფება მე-6 ადგილზე, სადაც საშუალო თვიური ხელფასი ფიქსირდება 2341.25 დოლარი, თუმცა აქ პირველ 5 ადგილზე მყოფ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი ხელფასი ფიქსირდება 3139.84 ამერიკული დოლარი. ე.ი აზიის ქვეყნების უმეტესობაში საშუალო თვიური ხელფასი ნაკლებია ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში. რომ შევადაროთ ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის ინფრასტრუქტურა სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: მსოფლიოს 15 ქვეყანას შორის, სადაც არის საუკეთესო ინფრასტრუქტურა, პირველ ადგილზეა ჰონგ კონგი(აზიური ქვეყანა), მე-2-ზე-სინგაპური (აზიური ქვეყანა), მე-5 ადგილზეა არაბეთის გაერთიანებული ემირატები (აზიური ქვეყანა), კორეა მე-8 ადგილზეა (აზიური ქვეყანა), შეერთებული შტატები გავიდა მე-9 ადგილზე (ჩრდილოეთ ამერიკაში), კატარი მე-13 ადგილზე (აზიური ქვეყანა) და ტაივანი მე-15 ადგილზე (აზიური ქვეყანა) (14/02/2018,<https://www.worldatlas.com/articles/countries-with-the-best-infrastructure.html>), ანუ, როგორც აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ირკვევა, 6 აზიური ქვეყანა ინფრასტრუქტურით უკეთესი იყო, ვიდრე კანადა და 4 აზიური ქვეყანა ამ მაჩვენებლით უკეთესი იყო ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. რომ შევადაროთ ამ ორი რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა, სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: აზიაში ეს მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენდა 4 169 850 000 კაცს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში – 546 867 000 კაცს, ანუ აზიაში მოსახლეობის რიცხოვნობა იყო თითქმის 8-ჯერ მეტი ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში(WikimediaFoundation,https://en.wikipedia.org/wiki/List_of_continents_by_population). აქედან გამომდინარეობს ის, რომ აზიაში მოსახლეობის დიდი რიცხვიც რომ ყოფილიყო არამსყიდველობითუნარიანი, მაინც აზიაში ჩრდილოეთ ამერიკასთან

შედარებით მსყიდველუნარიანი ადამიანი მეტი იქნებოდა. რომ შევადაროთ ამ ორი რეგიონის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი სურათი შემდეგია: მსოფლიოს 25 ქვეყანას შორის ყველაზე მაღალი გადასახადების დონით 16 და 23-ე პოზიციებზე მოხვდნენ შვედეთი და კანადა და ამ 25 ქვეყანაში არ მოხვდა არც ერთი აზიური ქვეყანა, თურქეთის გარდა, რომელმაც ამ მაჩვენებლის მიხედვით დაიკავა მე-15 ადგილი (16/05/2016, <https://www.worldatlas.com/articles/countries-with-the-highest-taxes-in-the-world.html>). აზიაში შედის სულ 40 ქვეყანა და ერთი ქვეყანას თურქეთს რომც მოეზიდა, ძალიან მცირე ზომის უპი მაინც იგი ვერ შეასრულებდა დიდ როლს აზიის მიერ მოზიდულ უპის ჯამურ მოცულობაში. რომ შევადაროთ ამ ორი ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: მსოფლიოს 10 ქვეყანას შორის, რომელიც ყველაზე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით ჩინეთი იმყოფება პირველ ადგილზე (აზიური ქვეყანა), საუდის არაბეთი - მე-2 ადგილზე (აზიური ქვეყანა), კანადა - მე-3 ადგილზე, ინდოეთი - მე-4 ადგილზე (აზიური ქვეყანა) და შვედეთი მე-7 ადგილზე (12/09/2018, <https://www.worldatlas.com/articles/countries-with-the-most-natural-resources.html>), ანუ როგორც მოცემული მონაცემებიდან ირკვევა, 3 აზიური ქვეყანა უფრო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკა და 2 აზიური ქვეყანა ბუნებრივი რესურსების რაოდენობით სჯობს ჩრდილო ამერიკას, ანუ საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ აზია უფრო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკა. ადგილმდებარეობის უპირატესობებში მოაზრებული ფაქტორებით აზია უკეთეს პოზიციაზე იმყოფება, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკა და ამიტომ მოიზიდა მან უფრო მეტი უპი ვიდრე ამ მსოფლიოს რეგიონმა. აღნიშნული ადასტურებს, რომ დანინგის ეკლექტიკური პარადიგმა არის ყველაზე შესაბამისი და ყველაზე ხშირად გამოყენებული თეორია უპის ასახსნელად. ჩვენ კი განვიხილეთ არა მხოლოდ მიმდები ქვეყნის მშპ-ის ზომა, არამედ გავითვალისწინეთ ადგილმდებარეობის უპირატესობებში შემავალი სხვა ფაქტორები და ამით ავხსენით თუ რატომ მოიზიდა აზიამ უფრო მეტი უპი ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკამ, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ინვესტორები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ადგილმდებარეობის უპირატესობების ყველა სახეობას უპის დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აზიამ

მოიზიდა 2-ჯერ უფრო მეტი უპი, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკამ ვინაიდან ადგილმდებარეობის უპირატესობებში მოაზრებული თითქმის ყველა ფაქტორით ის გამოირჩეოდა ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით. თუმცა ჩვენ ავხსენით სხვა რეგიონებს შორის უპის სხვაობა გრავიტაციული მოდელით, რაც პარალელურად ნიშნავს უპის ადგილმდებარეობის უპირატესობით ახსნას, ვინაიდან მშპ-ის დიდი ზომა ნიშნავს ბაზრის დიდ ზომას, რაც, თავის მხრივ, ადგილმდებარეობის უპირატესობაში მოიაზრება, რაც ეკლექტიკური პარადიგმით ერთ-ერთი უპირატესობაა.

უპის სხვაობების ახსნა მსოფლიოს რეგიონებს შორის ადრე ვცადეთ უპის გრავიტაციული მოდელით, რაშიც უპის ერთ-ერთი დეტერმინანტია მიმღები ქვეყნის მშპ. მაგრამ ვინაიდან ინვესტორები უპის დაბანდებისას ყურადღებას აქცევენ ადგილმდებარეობის უპირატესობის მრავალ სახეობას, მაშინ ევროპასა და აზიას შორის უპის შემოდინების სხვაობას ამ ფაქტორის გარდა (მშპ) ავხსენით სხვა ფაქტორებით, რაშიც, დანინგის ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად, მოიაზრება ადგილმდებარეობის უპირატესობები. ჩვენი ანალიზის ჩატარება ამ გზით დასტურდება იმით, რომ უპის შემოდინება არ უნდა აიხსნას ყოველთვის ერთი თეორიით და დანინგის ეკლექტიკური პარადიგმა, რომლის თანახმადაც, ადგილმდებარეობის უპირატესობები განაპირობებს უპის შემოდინებას მიმღებ ქვეყანაში, მოიცავს უპის სხვა თეორიებსაც. ამ უპირატესობებში მოიაზრება: იაფი სამუშაო ძალა, დაბალი ტრანსპორტირების ხარჯები, კარგი ინფრასტრუქტურა, დაბალი გადასახადები, იაფი ბუნებრივი რესურსები, მყიდველთა მოთხოვნის ზრდა ან ნებისმიერი სხვა სტიმული, რასაც მიმღები ქვეყანა სთავაზობს ინვესტორს.

2009 წელს აზიამ მოიზიდა 316 374 მლნ. დოლარის უპი, ხოლო ევროპამ - 433 405 მლნ. დოლარის ანუ 2009 წელს ევროპამ მოიზიდა უფრო მეტი უპი ვიდრე აზიამ. თუ განვიხილავთ 2009 წელს ტოპ 22 აზიურ და ტოპ 22 ევროპულ ქვეყანას (როდესაც ეს ქვეყნები დალაგებულია უპის შემოდინების ზომის კლებადობის მიხედვით) და გამოვაკლებთ მე-2 უდიდეს აზიურ ქვეყანას (უპის შემოდინების მიხედვით), მე-2 უდიდეს ევროპულ ქვეყანას უპის შემოდინების მიხედვით და ასე გავაკეთებთ სხვა ქვეყნებზეც და განვიხილავთ მხოლოდ ისეთ წყვილებს, სადაც აზიურ ქვეყანას ჰქონდა

უფრო დაბალი პოტენციალი უპის მოზიდვის მიხედვით ვიდრე ევროპულ ქვეყანას⁵ და, ამავდროულად, ამ აზიურ ქვეყანაში უპის შემოდინება ნაკლებია ვიდრე ამ ევროპულ ქვეყანაში (ასეთი წყვილი ამ 22 22 ქვეყნიდან გამოვიდა სულ 11), მაშინ სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: ჯამურად ეს სხვაობა ამ 11 წყვილის შემთხვევაში უდრის -72 781 მლნ. დოლარს რაც მთლიანი ნაკლებობის (117031) 62% - ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ე.ი 2009 წელს აზიის მიერ ნაკლები უპის მოზიდვა, ვიდრე ევროპამ მოიზიდა, შეიძლება აიხსნას მსოფლიოს ამ ორ რეგიონს შორის უპის მოზიდვის პოტენციალის სხვაობებით.

2011 წელს ევროპამ მოიზიდა 477 528 მლნ. დოლარის უპი, ხოლო აზიამ - 416 862 მლნ. დოლარის, რაც ნაკლებია ევროპისაზე 60 666 მლნ. დოლარით. თუ იმავე გაანგარიშებებს ჩავატარებთ 2011 წელს, მაშინ ეს პროცენტი გამოდის 53%, ანუ ეს მაჩვენებელიც ადასტურებს, რომ 2011 წელს აზიასა და ევროპას შორის უპის შემოდინების სხვაობა აიხსნება მათი უპის მოზიდვის პოტენციალით. თუმცა ამ პროცენტის ანგარიშის დროს უმჯობესი იქნებოდა თუ განვიხილავდით ამ 22 წყვილის ქვეყნის შემთხვევაში ასევე ისეთ წყვილებსაც, სადაც კონკრეტულ აზიურ ქვეყანას ჰქონდა უფრო მეტი უპის შემოდინება ვიდრე კონკრეტულ ევროპულ ქვეყანას. ასევე ევროპასა და აზიაში, რომ განვიხილოთ ამ 22 22 ქვეყნის გარდა დანარჩენი ქვეყნები და განვიხილოთ ის აზიური ქვეყნები, რომელთა უპის შემოდინება მეტია ევროპულ ქვეყანაზე, მაშინ სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: პაკისტანი-ესტონეთი - დადებითი სხვაობა 157 მლნ. დოლარი, ბანგლადეში-სლოვაკეთი - 48 მლნ. დოლარი, მინამარი-ისლანდია - 10 მლნ. დოლარი, ანუ ჯამურად ამ სამი წყვილის შემთხვევაში ეს დადებითი სხვაობა გამოდის 216 მლნ. დოლარი, რაც -32 165-ს მნიშვნელოვნად არ ამცირებს და მაინც დასტურდება ის, რომ 2011 წელს აზიაში უპის შემოდინება ნაკლებია ვიდრე ევროპაში და ეს აიხსნება მსოფლიოს ამ ორ რეგიონს შორის უნკტადის უპის შემოდინების პოტენციალის ინდექსის თანახმად. ეს ინდექსი იანგარიშება შემდეგი მაჩვენებლებიდან გამომდინარე: ბაზრის მიმზიდველობა, რაოდენობის დონე იაფი მუშა ძალისა და უნარ-ჩვევების, ბუნებრივი რესურსების დონით და ინფრასტრუქტურით, რომელიც ინვესტორს უწყობს ხელს საქმიანობაში. ეს ფაქტორები მოიაზრება ადგილმდებარეობის უპირატესობებში.

⁵ უნკტადის უპის შემოდინების პოტენციალის ინდექსის მიხედვით 2009 წელს

2017 წელს შემცირდა უპის საერთაშორისო გლობალური ნაკადები, თუმცა ამაში განვითარებადი ქვეყნები არ თამაშობდნენ როლს. მაგრამ გლობალური უპის ნაკადები მაინც რომ გაზრდილიყო, ამაში განვითარებადი ქვეყნები არ ითამაშებდნენ დიდ როლს. განვითარებად ქვეყნებში უპის შემოდინება ძირითადად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაშიც ჩინეთმა ითამაშა დიდი როლი, ვინაიდან ჩინეთი ლიდერობდა 2001-2017 წლებში უპის შემოდინების მიხედვით არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ მას ძირითადად მე-2 და მე-3 ადგილები ეკავა მსოფლიო უპის შემოდინების მიხედვით. ჩინეთში უპის შემოდინება აიხსნება მისი ადგილმდებარეობის და იმ საკუთრების უპირატესობებით, რაც მოიპოვეს აქ ინვესტორებმა ანუ ჩინეთში უპის შემოდინება აიხსნება დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმით. აღნიშნული მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ 2017 წელს განვითარებად ქვეყნებში უნდა დაბანდებულიყო მცირე რაოდენობის შერწყმები და შთანთქმები და გრინფილდ ინვესტიციები. როდესაც განვიხილავთ უპის შემოდინებას მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უპის შემოდინება არ უნდა აიხსნას მხოლოდ ერთი თეორიით. (მაგალითად ჩვენ ავხსენით უპის შემოდინება გრავიტაციული მოდელით და დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმით).

1.2 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიული საფუძვლები

უპი-ის თეორიულ საფუძვლებში აუცილებელია განვიხილოთ ის თეორიები, რომლებიც გამოიყენება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების ასახსნელად. ასეთი თეორიებია: ეკლექტიკური პარადიგმა, უპი-ის გრავიტაციული მოდელი, ჰაიმერის საბაზრო არასრულყოფილებების თეორია, ინტერნალიზაციისა და გაცვლითი კურსის თეორია.

ამ თავს დავიწყებთ დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმის განხილვით, რადგანაც ის მოიცავს მულტინაციონალური საწარმოების სხვა თეორიებსაც.

დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმის მიხედვით იმისათვის, რომ უპი განხორციელდეს, უნდა არსებობდეს ადგილმდებარეობის, ინტერნალიზაციისა და საკუთრების უპირატესობები, თუმცა მხოლოდ აღნიშნული უპირატესობების არსებობა არ არის საკმარისი უპის განსახორციელებლად. უნდა არსებობდეს მათი

შესაბამისი დონე. მენეჯერი იღებს გადაწყვეტილებას იმის მიხედვით, თუ აღნიშნული უპირატესობების რა დონის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს უპი. უკანასკნელი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის ხორციელდება, ხოლო განვითარებად ქვეყნებს შორის უპი ზოგჯერ საერთოდ არ ხორციელდება. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა მაღალია, შესაბამისად ინვესტორი შეძლებს დიდი რაოდენობით პროდუქციის რეალიზაციას და მას ექნება მაღალი მოგება. ადგილმდებარეობის უპირატესობები ეს ის ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებს ინვესტორის მიმღებში უფრო მაღალი მოგების მიღებას ვიდრე ის ბაზირების ქვეყანაშია. ასევე ინვესტორს მდიდარი ბაზირების ქვეყანაში ექნება დიდი ზომის ფინანსური აქტივები (რაც მოიაზრება საკუთრების უპირატესობაში), ეს აიხსნება იმით, რომ განვითარებადი ქვეყნის ტნკ-ები ფლობენ ნაკლებ საკუთრების უპირატესობებს, ვიდრე განვითარებული ქვეყნის ტნკ-ები (United nations conference on trade and development 2010, 61). აღნიშნული მოსაზრება ადასტურებს, რომ დანიშნის თანახმად, ფირმა უნდა ფლობდეს საკუთრების უპირატესობას იმისათვის, რომ დააბანდოს უპი და მათი განხორციელება ადგილმდებარეობის, ინტერნალიზაციის და საკუთრების უპირატესობების დონეზეა დამოკიდებული. ამას ასაბუთებს კუერვო-კაზურასა და გენკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ები არიან ნაკლებად კონკურენტუნარიანი, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა, ხოლო ერთ-ერთი საკუთრების უპირატესობაა კონკურენტუნარიანობა (United nations conference on trade and development 2010, 62). უპი არ უნდა განხორციელდეს, როდესაც არ არსებობს ადგილმდებარეობის უპირატესობები, რაც დასტურდება იმით, რომ მდიდარი ქვეყნები ფლობენ შეფარდებით უპირატესობას უპის მოზიდვაში. ამ უკანასკნელის არსებობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რის გამოც ხორციელდება ინვესტიციები სხვადასხვა მოტივაციით. უპის განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ ინვესტორის საკუთრებით უპირატესობებზე, არამედ მიმღები ქვეყნის ადგილობრივი ფირმების საკუთრებით უპირატესობებზე. უპი ასევე ხორციელდება საკუთრების უპირატესობათა გასაზრდელად ან დასაცავად მიმღებ ქვეყანაში. აღნიშნული უპირატესობების არსებობასთან ერთად, იმისათვის, რომ განხორციელდეს უპი, საჭიროა ფირმების საკუთრების უპირატესობები აღემატებოდეს ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობებს და ფირმა

უნდა იყოს დაინტერესებული, გამოიყენოს მიმღებ ქვეყანაში ის ფაქტორები, რომელიც ხელს შეუწყობს მის საქმიანობას.

ინტერნალიზაციისა და ადგილმდებარეობის უპირატესობები საკმარისი საფუძველია მნკ-ების არსებობისა, რაც აიხსნება იმით, რომ ბაზირების ქვეყანაში ფირმა შეიძლება არ ფლობდეს საკუთრების უპირატესობას, მაგრამ იძენს მას უპის დაბანდების შემდეგ. თუკი ფირმას მრავალ ქვეყანაში აქვს განხორციელებული უპი, მის მიერ სარგებლიანობის მიღება განპირობებულია ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობით.

ფირმისათვის უპისგან სარგებლიანობის მიღების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კონკურენტული უპირატესობაა. უპი უფრო მეტად განხორციელდება მაშინ, როდესაც მიმღები ქვეყანა დარწმუნებული იქნება, რომ ინვესტორი მას სარგებელს მოუტანს. ამ შემთხვევაში მიმღებ ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას ადგილმდებარეობის უპირატესობები, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის მიერ უპის მოზიდვას.

საკუთრების უპირატესობები არის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ინვესტორის მიერ სარგებლიანობის მიღებას და შესაბამისად იწვევს მის მიერ უპის განხორციელებას. იმისათვის, რომ უპი განხორციელდეს ფირმა უნდა ფლობდეს არამატერიალურ აქტივებს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ასეთ დროს ფირმას შეუძლია მის აქტივებზე ფასების ზრდა და მხოლოდ ის უნდა იყენებდეს მათ წარმოების ფაქტორებთან ერთად, რისი განხორციელების წინაპირობა ბაზრის ინტერნალიზაციაა. (ეს მოსაზრება აიხსნება იმით, რომ არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საკუთრების უპირატესობას, რაც უპი-ის განხორციელების ერთ-ერთი დეტერმინანტია.) მაგალითად, არამატერიალური აქტივია ნოუ-ჰაუ, რომლითაც შესაძლებელია პროდუქციის დიფერენციაცია და შესაბამისად მასზე უფრო მაღალი ფასის დაწესება.

- სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპი ხორციელდება ძირითადად ადგილმდებარეობის უპირატესობების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს კონფლიქტი ინვესტორის მოტივაციასა და მიმღები ქვეყნის ინტერესებს შორის და ინვესტორის მიერ სარგებლიანობის მიღებამ შეიძლება განაპირობოს მიმღები ქვეყნის ფირმების ზარალი, რაც განპირობებულია იმით, რომ

ინვესტორი დაბანდებს ახორციელებს იმის გამო, რომ მიმდებ ქვეყანაში არსებობს ტრანსაქციული ბაზრის ფიასკო⁶. უპის განსახორციელებლად ფირმისთვის მომგებიანი უნდა იყოს მისი საწარმოო მოქმედებების გაფართოება ვიდრე კონტრაქტების დადება სხვა ფირმებთან. საწარმოო მოქმედებების გაფართოებისათვის ფირმა ეცდება საკუთრების უპირატესობის გამოყენებით პროდუქციის საერთაშორისო წარმოებას და არა წარმოების გადაცემას ადგილობრივი ფირმებისათვის მაშინ, როდესაც ისინი ფიქრობენ, რომ ტრანსაქციულმა ბაზარმა შეიძლება განიცადოს ფიასკო. ეს უკანასკნელი გამოწვეულია სამი ფაქტორით:

- წარმოიქმნება გაუმართლებელი რისკის გამო;
- დაკავშირებულია საწარმოთა მასშტაბით განპირობებულ ეკონომიასთან ან ბაზრის არასრულყოფილებასთან,
- ფირმის საქმიანობა არის დაკავშირებული უფრო დაბალ ხარჯებთან ან უფრო მეტ სარგებელთან, როდესაც იგი თვითონ აწარმოებს პროდუქციას.

უპის განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ ადგილმდებარეობის უპირატესობაზე, არამედ ასევე მისგან სარგებლიანობის მიღებაზე.

საკუთრების, ადგილმდებარეობისა და ინტერნალიზაციის უპირატესობები რამდენად გამოიწვევს უპის ზრდას დამოკიდებულია მათ დონეზე. იმისათვის, რომ უპი განხორციელდეს საჭიროა, ინვესტორი უფრო მარტივად მოიპოვებდეს რესურსებს, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. არსებობს ენდოგენურობა ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაში რესურსების, უნარების გადაცემასა და უპის განხორციელებას შორის.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დროს, რაც არის გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულება, ინვესტორი ასაქმებს ისეთ სამუშაო ძალას, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგავს შედარებით უფრო მცირე დროის პერიოდში.

⁶ ბაზრის ფიასკო ნიშნავს, რომ მიწოდება ნაკლებია მოთხოვნაზე. ბაზრის ფიასკო ნიშნავს იმას, რომ ბაზარი ან ბაზართა სისტემა საერთოდ ვერ აწვდის საქონელს ან ვერ აწვდის საქონელს ოპტიმალური გზით.

<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1467-8500.1994.tb01883.x> ნანახია 9/28/2019

უპისგან სარგებლიანობის მიღებას შეიძლება ხელი შეუშალოს მიმღები ქვეყნის ინსტიტუციურმა გარემომ. ამ გარემოში მოიაზრება ის წესები და მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც უნდა იმოქმედოს ორგანიზაციამ იმისათვის, რომ მისი საქმიანობა ჩაითვალოს კანონიერად. მიმღები ქვეყნის მიერ უპისგან დადებითი ექსტერნალიების მიღებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ისეთი ინსტიტუციური გარემო, რომელიც ზღუდავს უცხოური ფირმის მონაწილეობას ადგილობრივ კომერციულ ქსელებში. ეს უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება შერბილდეს მაშინ, როდესაც უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირი დაემყარება ნდობას, შორსმჭვრეტელობასა და საფრთხის განსაზღვრას. მნკ-ების განვითარება დამოკიდებულია მის კავშირებზე სხვა ფირმებთან. მნკ ახდენს მისი ფირმების სხვადასხვა ადგილებში განთავსებას იმის გამო, რომ ხდება მისი შესაძლებლობების, მათ შორის ტექნოლოგიურის, განვითარება. მნკ იღებს ტექნოლოგიას სხვა ფირმებთან მისი კავშირების მეშვეობით; იმისათვის, რომ მნკ-ის კვლევა და განვითარება იყოს მნიშვნელოვანი და ის გამოირჩეოდეს ინოვაციურობით, ადგილობრივ ფირმებს მიღწეული უნდა ჰქონდეთ ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე.

უპის განხორციელებისათვის ინვესტორის მიერ აბსოლუტური უპირატესობის ფლობა ადგილობრივ კონკურენტებთან მიმართებაში არ არის აუცილებელი. თუკი ფირმა ახორციელებს აქტივებზე ორიენტირებულ უპის და ამავდროულად ფლობს საკუთრების უპირატესობებს, ასეთი უპისგან ის მიიღებს სარგებლიანობას, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ აქტივებზე ორიენტირებული უპის უპირატესობა და საკუთრების უპირატესობა აღმოცენდება ერთდროულად. მიმღები ქვეყნის ფირმების მიერ შთანთქმის უნარების არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყანაში უპის შემოდინებისათვის ხელის შეშლა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მთავრობის პოლიტიკამ შეიძლება შეაფერხოს უპის შემოდინება. მართალია ეკონომიკური ზრდა განაპირობებს მიმღებ ქვეყანაში უპის შემოდინებას, მაგრამ როდესაც ინვესტორი შემოდის მიმღებ ქვეყანაში იგი ზოგჯერ ხელს უწყობს ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობას კონკურენციის გაჩაღებით, რა შემთხვევაშიც შეიძლება შემცირდეს ადგილობრივი ფირმების წარმოება თუ ადგილობრივი ფირმები ვერ შეამცირებენ ხარჯებს და, შედეგად, შესაძლოა ქვეყანაში შემცირდეს ეკონომიკური ზრდა, რომელიც საბოლოოდ

შეაფერხებს უპის შემოდინებას მიმღებ ქვეყანაში. მნკ-ის ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, გააჩნია თუ არა მას რესურსები, ტრანსნაციონალური საქმიანობის გამოცდილება და ასევე მის საკუთრების უპირატესობაზე. მნკ-ის ჩამოყალიბების დროს ინვესტორი მხედველობაში იღებს საკუთრების უპირატესობების ყველა სახეობას. პიონერულ ორგანიზაციებთან დამყარებული კავშირების გარდა, მნკ იღებს სარგებლიანობას ასევე სხვა ფირმებისგან. თუ ინვესტორს არ შეუძლია გამოიყენოს ადგილობრივი ფირმების ცოდნა, რომელიც მას მათგან გადაეცემა, მაშინ უპი-სგან ის დიდ სარგებელს ვერ მიიღებს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია განხორციელდეს ფრენჩაიზინგი ან ლიცენზირება.

არსებობს ენდოგენურობა ინვესტორის მიერ სხვა ფირმებთან კავშირების დამყარებასა და მის ინოვაციურობას, ფირმის საკუთრების უპირატესობასა და მის მულტინაციონალურობას შორის. გლობალური ფირმები და ტნკ-ები იქმნება იმის გამო, რომ ისინი ფლობენ არამატერიალურ აქტივებს.

ინტერნალიზაციის უპირატესობაში ფირმისათვის დიდ როლს თამაშობს მიმღები ქვეყანა და მისი მთავრობა. უპის განხორციელება უფრო მეტად ინვესტორზეა დამოკიდებული ვიდრე მიმღებ ქვეყანაზე. ინტერნალიზაციის უპირატესობაში მოიაზრება ის, რომ ფირმის მიერ ცოდნის შექმნა დაკავშირებულია შედარებით დაბალ ხარჯებთან. უპის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორ გადაწყვეტილებებს იღებს ინვესტორი უნარების შექმნის, გადაცემის და გამოყენების პროცესში და რამდენად ფლობს იგი შთანთქმით უნარებს.

ფირმის საზღვარგარეთ საქმიანობაზე ზეგავლენას ახდენს ინტერნალიზაცია და ინტეგრაცია. უპი ხორციელდება ასევე საკუთრების უპირატესობის მოსაპოვებლად და მის გამოსაყენებლად. მნკ-ის მიერ უფრო მეტი საბაზრო წილის ფლობა ადგილობრივ ფირმებთან შედარებით არაა საკმარისი საფუძველი უპის განხორციელებისათვის. ფირმამ შეიძლება დააწესოს მაღალი ფასი მის პროდუქციაზე და გაზარდოს მისი ხარისხი საზღვარგარეთ და ამის შედეგად მიიღოს ინვესტიციისგან მაღალი მოგება, მან შეიძლება ასევე მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არ შევიდეს ამ ბაზარზე იმის გამო, რომ მიმღებ ქვეყანაში არსებობს ძვირი ნედლეული, მაღალი ხელფასი ან გადასახადების მაღალი დონე. იმისათვის, რომ ფირმამ განახორციელოს უპი, საჭიროა არსებობდეს ორივე:

ადგილმდებარეობისა და საკუთრების უპირატესობები. მნკ-ის მიერ მიღებული სარგებლიანობა დამოკიდებულია მის შიგა და გარე ადაპტაციასა და ასევე კონკურენციის დონეზე. მიმღები ქვეყნის მთავრობას შეუძლია შექმნას ის ადგილმდებარეობის უპირატესობები, რომლითაც საზოგადოება მიიღებს დამატებით სარგებელს ინვესტიციების უფრო მეტი შემოდინების შედეგად.

უპის განხორციელების მთავარი წინაპირობა საკუთრების უპირატესობისგან მიღებული სარგებლიანობის გამოყენებაა. უპის სარგებლიანობა ინვესტორისათვის დამოკიდებულია მის ადრე არსებულ საკუთრების, ინტერნალიზაციისა და ადგილმდებარეობის უპირატესობებზე, თუმცა მხოლოდ აღნიშნული უპირატესობების არსებობა არ განაპირობებს ინვესტორის მიერ სარგებლიანობის მიღებას, ის დამოკიდებულია ასევე იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ინვესტორს აღნიშნული უპირატესობების გამოყენება. ზოგიერთი ფირმა მაინც ახორციელებს უპის, მიუხედავად იმისა, რომ მისგან იღებს ნაკლებ მოგებას.

ინვესტორის მიერ უცხოური ფირმების გამოდევნის უფრო მაღალი ალბათობაა, როდესაც ინვესტორი სხვა კონკურენტებზე ადრე განთავსდება უცხოეთში.

უცხოურ ბაზარზე შესვლამდე უპის სარგებლიანობა შეიძლება ვერ იქნეს მიღებული ინვესტორის მიერ. მნკ-ის მიერ მიღებული ოპტიმალური სარგებლიანობა არ არის დამოკიდებული მის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პროდუქციის დივერსიფიკაციაზე. უპის სარგებლიანობა დამოკიდებულია საკუთრების, ადგილმდებარეობის უპირატესობებთან ერთად გამოყენებაზე. როდესაც ფირმა ფლობს ადგილმდებარეობისა და ინტერნალიზაციის უპირატესობებს, ის უნდა შევიდეს საზღვარგარეთის ბაზრებზე მხოლოდ მაშინ, როდესაც გააჩნია კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალებები. ფირმის საზღვარგარეთ შესვლა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სამი უპირატესობის არსებობაზე, მნიშვნელოვანია ფირმის მიერ მათი გამოყენების უნარი.

ფაქტორები, რომელთა გამოც ფირმამ უნდა დააბანდოს უპი შემდეგია:

1. ბაზირების ქვეყანაში ბიზნესის წარმოების გამოცდილება;
2. კავშირების დამყარება იმ ფირმებთან, რომლებიც კარგად იცნობენ ბაზარს;

3. დაბალი დანახარჯებისა და არა იმიტირებადი მეთოდების გამოყენებით კაპიტალის ზრდის შესაძლებლობების ცოდნა.

რაც უფრო ხანგრძლივია ფირმის საზღვარგარეთ ოპერირების გამოცდილება, მით უფრო დიდი მასშტაბებით ახორციელებს ის უპის, რაც, თავის მხრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ხანგრძლივი დროის პერიოდში ფირმა მეტ საკუთრების უპირატესობებს იძენს.

იმ ფირმებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან ბაზირების ქვეყანაში არსებული კონკურენციის შერბილებით და ამის გამო გადიან უცხოეთში უმჯობესია განახორციელონ უპი შთანთქმის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებთან.

უპის დამოკიდებულია ფირმის სტრატეგიაზე. იმისთვის, რომ ის განხორციელდეს, საჭიროა, ფირმა ფლობდეს განსაზღვრულ აქტივებს, რასაც არ ფლობენ მიმღები ქვეყნის ფირმები. აღნიშნულ პირობას ხელი შეეწყობა მაშინ, როდესაც მნკ-ა მუშებს მოიზიდავს ადგილობრივი ფირმებისგან. მნკ-ის მიერ შუალედური პროდუქციის ექსპორტი იწვევს ვირტუალური⁷ წრის შექმნას და კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ექსპორტის განხორციელებას, რაც ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის არდაბანდების ერთ-ერთი მიზეზია.

მნკ-ას წარმოების ხარჯების ზრდის პირობებში, ის მაინც განახორციელებს უპის, მხოლოდ მაშინ, როდესაც მიმღებ ქვეყანაში არსებობს ადგილმდებარეობის უპირატესობები. მნკ-ის მიერ მისი ხარჯების შემცირების ერთ-ერთი გზა განსხვავებულ ვალუტაში აქტივის ფლობაა. მას შემდეგ, რაც ფირმა განახორციელებს უპის, მისი მიმღებ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის პერიოდში ყოფნა დამოკიდებულია კონკურენტთა რეაქციაზე მის მიმართ. უპი განხორციელდება უფრო მეტად იმ ქვეყანაში, რომელიც რესურსების მეტ რაოდენობას ფლობს. უპის განხორციელება დამოკიდებულია ასევე ბაზირების ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებზე, რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო ნაკლებია ეს უკანასკნელი, მით ნაკლებად განახორციელებს ფირმა უპის. საკუთრების უპირატესობების გამო განხორციელებული უპი განაპირობებს მისგან უფრო მეტი სარგებლიანობის მიღებას.

⁷ მანკიერი წრის მსგავსია, მაგრამ დადებითი შედეგებით.

ფირმა გადის საზღვარგარეთ, როდესაც ის კონკურენტებს ამარცხებს უფრო ადვილად მიმღებ ქვეყანაში, ვიდრე ეს მოხდება ბაზირების ქვეყანაში. მნკ-ების სურვილმა, რომ მოახდინონ ტრანსფერული ფასებით მანიპულაცია, შესაძლებელია გამოიწვიოს უპის გადინების შეფერხება, განსაკუთრებით განვითარებულიდან განვითარებად ქვეყნებში, თუმცა რიგ შემთხვევებში მნკ-ის მანიპულაცია ტრანსფერული ფასებით არ ლახავს მიმღები ქვეყნის ინტერესებს. მნკ აარსებს ფილიალებს იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი იქნება თანაბარი, ხოლო სამთავრობო პოლიტიკა ჰარმონიზებული.

იმისათვის, რომ მნკ-ამ მიიღოს მოგება, უმჯობესი იქნება თუკი ის ეცდება ამის მიღწევას, ცვლადი ხარჯების შემცირებასთან ერთად, სხვა გზებითაც. თუ ის ორიენტირებული იქნება მხოლოდ ცვლადი ხარჯების შემცირებაზე, ეს შეიძლება გახდეს მის მიერ უპის არ განხორციელების საბაზი. ინტერნალიზაციის მოგება დამოკიდებულია მასშტაბის ეკონომიაზე, რომელსაც მნკ საზღვარგარეთ აღწევს, ვიდრე ტრანსფერულ ფასებზე.

ვილიამსონის მიხედვით (Kojima 1989), ინტერნალიზაციის უპირატესობა იწვევს ადგილმდებარეობის უპირატესობას, ამიტომ, ინტერნალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცე საბაზს, რის გამოც უნდა განხორციელდეს უპი. კიომიმა კოჯიმას (Kojima 1989, 71) აზრით, ინტერნალიზაციის უპირატესობა განპირობებულია სამუშაო ძალის განვითარების დონით და მისი წვლილით ფირმის განვითარებაში. ფირმის დაფუძნება საზღვარგარეთ მომგებიანია ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა დაკავშირებულია ნაკლებ ხარჯებთან.

ინტერნალიზაციის უპირატესობა განპირობებულია დიდი რაოდენობის ნოუ-ჰაუთი, თანამედროვე ტექნოლოგიით, კვლევისა და განვითარების არსებობით. მნკ-ისათვის რეალური მოგების მიღება დამოკიდებულია შესაბამისი ტექნოლოგიის არსებობაზე და ეს მოგება კიდევ უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე. ვერტიკალური ინტეგრაცია ხელს უწყობს მასშტაბის ეფექტის ეკონომიის მიღწევას, რადგან ადამიან-კაპიტალი და ფიზიკური კაპიტალი გამოიყენება სპეციალიზებული მიზნებისათვის. მასშტაბის ეკონომია მიიღწევა შესაბამისი ტექნოლოგიის საფუძველზე. მნკ-ს მასშტაბის ეკონომიის ზრდა შეუძლია ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე. ასეთი სახით ინტეგრირებულ ფირმას

შეუძლია შეამციროს საშუალო საექსპლუატაციო ხარჯები; მასშტაბის ეფექტის ეკონომია დამოკიდებულია თითოეული წარმოების ფაქტორის ხარისხზე, საწარმოო ტექნოლოგიაზე, წარმოების ფაქტორების და მენეჯერული უნარების ოპტიმალურ კომბინაციაზე. პროსავაჭრო⁸ უპი განაპირობებს მასშტაბის ეკონომიას მაშინ, როდესაც ის ხორციელდება შეფარდებითი უპირატესობის მქონე ქვეყნებში. თუმცა შესაძლოა ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე ვერ შემცირდეს ხარჯები, თუკი აღნიშნული ინტეგრაცია დაემყარა კონტროლის კონცენტრაციას. ფირმის მიერ უპის განხორციელება და მისგან სარგებლიანობის მიღება განპირობებულია ასევე მიმღებ ქვეყანაში ბაზრის გაფართოებაზე. უპის განხორციელებამდე ფირმამ მიმღებ ქვეყანაში ბაზრის დაკმაყოფილების საშუალებები უნდა შექმნას.

ფირმა ახორციელებს უპის ასევე დამატებითი მასშტაბით განპირობებული ეკონომიის მისაღწევად. არსებობს ენდოგენურობა უპისა და მასშტაბით განპირობებულ ეკონომიას შორის. მნკ-ის მიერ უპისგან სარგებლიანობის მიღება განპირობებულია მნკ-ასა და ადგილობრივ ფირმას შორის ინფორმაციული ასიმეტრიულობის არარსებობაზე.

არსებობს ენდოგენურობა ფირმის მიერ უპის განხორციელებასა და არამატერიალურ აქტივებს შორის. უპისგან სარგებლიანობის მიღება დამოკიდებულია შესაბამისი არამატერიალური აქტივების არსებობაზე. თუმცა აღნიშნული აქტივების საფუძველზე სარგებლიანობის მისაღებად ინვესტორს დასჭირდება მეტი ხარჯების გაწევა. მნკ-ის მოგება იზრდება, როდესაც ის ხელს უწყობს მისი საქონლის რეალიზაციას სხვადასხვა გზით, რაც, თავის მხრივ, უპის განხორციელების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. უპი უფრო მეტად განხორციელდება მაშინ, როდესაც მიმღებ ქვეყანაში არსებული ადგილმდებარეობის უპირატესობები აჭარბებს ბაზირების ქვეყანაში არსებულ ადგილმდებარეობის უპირატესობებს.

რესურსების გამოყენებაზე, ეფექტიანობის ამაღლებასა და სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპის დროს უმჯობესია მიმღებ ქვეყანაში ინვესტორმა განახორციელოს იდიოსინკრატიკული ტრანსაქციები, რაც თავის მხრივ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ასეთი სახეობის უპის განხორციელებას.

⁸ უპი, რომლის დროსაც ინვესტორი ახდენს პროდუქციის რეალიზაციას.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი უმჯობესია არ განხორციელდეს ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე. ზოგიერთი ფირმა საზღვარგარეთ გადის იმიტომ, რომ ბაზირების ქვეყანაში კონკურენციის გამო, ის ცდილობს საზღვარგარეთ საქმიანობის გაფართოებით საწარმოო ხარჯების შემცირებას. საზღვარგარეთ წარმოების გადაადგილებაზე ზემოქმედებს მიმღებ ქვეყანაში იმ ხარჯების სიმცირე, რომელიც განაპირობებს ფირმის კონკურენციულ უპირატესობას, ხოლო უპი ხორციელდება იმის გამო, რომ ინტენსიური კვლევის საფუძველზე ფირმა ავითარებს მის ტექნოლოგიას.

მიუხედავად იმისა, რომ ფირმას აქვს უპის განხორციელების სურვილი, მან შეიძლება მაინც ვერ განახორციელოს ის, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს მიმღები ქვეყნის პოლიტიკით. ვაჭრობაზე ორიენტირებული უპის დროს მიმღები ქვეყანა აწყდება ალტერნატიულ დანახარჯებს. ამ ალტერნატიული დანახარჯების აღმოფხვრის გზაა ბაზირების ქვეყნიდან უკეთესი აქტივების გადაცემა მიმღებ ქვეყანაში. ვაჭრობაზე ორიენტირებული უპის დროს ზოგიერთი ადგილობრივი ფირმა დიდი ოდენობით ვეღარ ასაღებს პროდუქციას და თუ მოხდა ბაზირების ქვეყნიდან უკეთესი აქტივების გადაცემა მიმღებ ქვეყანაზე, მაშინ ამ ადგილობრივ ფირმებს შესწევთ უნარი, აწარმოონ პროდუქცია უფრო დაბალ ხარჯში და შესაბამისად უფრო იოლად გაყიდონ საზღვარგარეთ. მნკ-ას შეუძლია გამოიწვიოს მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა, თუ მისი ინვესტიციები იქნება ორიენტირებული ექსპორტზე, რაც, თავის მხრივ, დასტურდება იმით, რომ მნკ-ას შეუძლია ხელი შეუწყოს მიმღები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის აღმოფხვრით. ამიტომ, როდესაც მნკ-ა ორიენტირებულია ექსპორტის განხორციელებაზე მიმღები ქვეყნიდან, ეს ხდება მტკიცე საბაზი იმისა, რომ იგი უფრო მეტად განახორციელებს უპის, რაც, თავის მხრივ, იქნება განპირობებული მიმღები ქვეყნის პოლიტიკითაც, ვინაიდან მიმღები ქვეყანა ასეთ დროს შექმნის ადგილმდებარეობის უპირატესობებს, თუმცა აღნიშნულ სიტუაციაში უპის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს მშობელი კომპანიის გლობალურმა მარკეტინგულმა მოქმედებებმა. აღნიშნული მიზეზების გამო განხორციელებული უპი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში კიდევ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ამ ქვეყნის განვითარებაზე, თუმცა მნკ-ამ მიმღები ქვეყნიდან ექსპორტს რომ შეუწყოს

ხელი, ამისათვის უნდა არსებობდეს მიმღებ ქვეყანაში ადგილმდებარეობის უპირატესობის რამდენიმე სახეობა. აღნიშნული ადგილმდებარეობის უპირატესობები შესაძლებელია, რომ უფრო ხშირად შეიქმნება იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც განახორციელებენ უპის განვითარებადი ქვეყნებიდან. აღნიშნულ შემთხვევაში უპის განხორციელებას ხელი შეეწყობა ასევე როდესაც ბაზირების ქვეყანაში იმპორტული მოსაკრებელი არის უფრო დაბალი.

უპის სარგებლიანობა მიმღები ქვეყნისათვის დამოკიდებულია ასევე ამ ქვეყნის მთავრობაზე. ფირმების მულტინაციონალიზაციასთან ერთად, მნკ-ის მენეჯერებს უწევთ უფრო მეტი ფუნქციისა და პროდუქციის კონტროლი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათ მიერ ახალი პროცესის დანერგვას და ძველი პროცესების შეცვლას. თუ აღნიშნულთან ერთად მნკ-ამ წამოიწყო სარისკო საქმე საზღვარგარეთ, მაშინ იგი თავის ინვესტიციებს განახორციელებს იმ ქვეყანაში, რომელიც ხასიათდება მინიმალური სამთავრობო ჩარევით, ერთგვაროვანი სოციალური კულტურით და ელემენტალური ტექნოლოგიით. მიუხედავად იმისა, რომ მიმღები ქვეყნისათვის უმჯობესია ფინანსური სტიმულების შექმნა მნკ-ისათვის, რასაც ის ისედაც აკეთებს, მნკ ვერ შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, თუკი მიმღებ ქვეყანაში გატარებულია პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ბაზრისადმი, არსებობს ბევრი მონოპოლისტი ამ ქვეყანაში და ხდება მასიურად არარაციონალური მოქმედებები მყიდველების მიერ. ასევე აღნიშნული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში უპის განხორციელების ნაკლები ალბათობაა ინვესტორის მხრიდან. მნკ უფრო დიდი ხანი განთავსდება მიმღებ ქვეყანაში, როდესაც მიმღები ქვეყანა ხელს უწყობს მას მოგების გამომუშავებაში. მიმღები ქვეყანა უნდა იყოს დაინტერესებული ინვესტორისათვის ადგილმდებარეობის უპირატესობების შექმნით, რაც, შეიძლება უპის მოზიდვის მტკიცე საბაზი გახდეს, რაც შეიძლება აიხსნას ასევე იმით, რომ ინვესტორი და მომარაგებელი განთავსებული იქნებიან ერთ ქვეყანაში. მნკ-ის მულტინაციონალიზაცია დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის ან ერთი ქვეყნის მიერ გატარებული პოლიტიკით იმ ნეგატიური ეფექტების გადაწონვაზე, რაც იქნება განპირობებული იმ სხვადასხვა ქვეყნის ან ერთი ქვეყნის პოლიტიკით, სადაც განთავსდეს მნკ თავის ფირმებს. მნკ უპის იმის გამო ახორციელებს, რომ ფლობს არამატერიალურ აქტივებს, თუმცა თუკი ეს აქტივები არის

არაიმპირებადი ადგილობრივი ფირმების მიერ, მაშინ ამ შემთხვევაში უპის განხორციელება ქვეყანაში დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ აჭარბებს თუ არა ინვესტორის მიერ გადაცემული სარგებლიანობები იმ ზარალს, რასაც განიცდის მიმღები ქვეყანა ამ არაიმპირებადი არამატერიალური აქტივებისგან.

ლიფსის მიხედვით, მნკ-ას შეაქვს უფრო დიდი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ვიდრე ადგილობრივ ფირმებს (Davis R, 28). მიუხედავად იმისა, რომ მნკ აწყდება ტრანსაქციულ ხარჯებს საზღვარგარეთ, ეს არ უნდა გახდეს იმის საბაზი, რომ უპი არ განხორციელდეს, ვინაიდან დროის გასვლასთან ერთად მას საერთოდ არ ექნება ეს ტრანსაქციული ხარჯები. მნკ-ას მოუწევს აღნიშნული ხარჯების გაწევა მხოლოდ ერთჯერადად. მნკ-ის წვლილი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში დამოკიდებულია ამ ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებზე. როდესაც არ არსებობს ადგილმდებარეობის უპირატესობა იაფი ნედლეულის სახით და არის ამ მიმღებ ქვეყანაში მაღალი საექსპორტო ტარიფები მნკ-ამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა. მნკ-ებს გააჩნიათ უამრავი უკეთესი საშუალებები ვიდრე ადგილობრივ ფირმებს მწარმოებლურობის გასაზრდელად, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი უფრო დიდ როლს თამაშობენ მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში ვიდრე ადგილობრივი ფირმები და ასევე უფრო დიდად შეაქვთ წვლილი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ მიერ უპის განხორციელებას. მიმღები ქვეყნის გატარებულმა პოლიტიკამ მის მიერ სარგებლიანობის მისაღებად რიგ შემთხვევებში შეიძლება ხელი შეუშალოს ინვესტორის მიერ უპის განხორციელებას. კაპიტალის გადინების საფუძველზე მნკ იღებს უფრო მეტ მოგებას, რასაც იგი ისედაც ახორციელებს. თუ ფირმა მოელის მისი საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტორებს საზღვარგარეთ, იგი ნაკლებად განახორციელებს უპის. იმისათვის, რომ მიმღებმა ქვეყანამ ისარგებლოს ინვესტორის მიერ გადაცემული კაპიტალისგან, მაშინ ადგილობრივ ფირმებს უნდა შესწევდეთ უნარი, გამოიყენონ ის ცოდნა, რომელიც მათ გადაეცემათ.

ინვესტორები, რომლებიც ახდენენ ინვესტიციას განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადში, ამას იმისათვის ახორციელებენ, რომ ხელი შეუწყონ მიმღები ქვეყნის ფირმების საწარმოო ხარჯების შემცირებას. ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით უპის განხორციელება შედარებით მარტივია. არსებობს

ენდოგენურობა მთავრობის გატარებულ დადებით პოლიტიკას მნკ-ებთან მიმართებაში და მნკ-ების მიერ განხორციელებულ უპის შორის.

უპი-ის გრავიტაციული მოდელის თანახმად, მიმღები ქვეყნის ზომასა(მშპ, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე) და აქ დაბანდებულ უპი-ის შორის არსებობს დადებითი კავშირი, რომელიც მნიშვნელოვნად დასტურდება მონაცემებით (Oppong 2018, 74). მაგალითად, კვლევის შედეგად, ჩვენ დავადგინეთ შემდეგი: 2017 წელს ჩინეთმა მოიზიდა ყველაზე მეტი უპი და ამავე წელს მისი მშპ იყო ყველაზე მაღალი განვითარებად ქვეყნებს შორის. უპი-ს გრავიტაციული მოდელი შესაძლოა დავაკავშიროთ დანიინგის ეკლექტიკურ პარადიგმასთან, რომლის თანახმადაც ადგილმდებარეობის უპირატესობა, რაც განაპირობებს იმას, თუ სად დააბანდებს ინვესტორი უპი-ის, მოიცავს მაგალითად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაშიც თავის მხრივ, შეიძლება მოვიაზროთ თუ რამდენად მაღალია მიმღები ქვეყნის მშპ. შესაბამისად, 2017 წლის ჩინეთის მაგალითი შესაძლოა მივიჩნიოთ იმის დამადასტურებლად, რომ უპი-ის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილმდებარეობის უპირატესობებზე.

ჰაიმერის (Oppong 2018, 75) საბაზრო არასრულყოფილებების თეორიის მთავარი არსია ის, რომ თუ ფირმები აწარმოებს ერთი და იმავე პროდუქციას და შესაბამისად აქვთ ერთი და იგივე წვდომის დონე საწარმოო ფაქტორებზე მიმღებ ქვეყნებში, უცხოური ფირმები ან ინვესტორები ეძებენ ხელმისაწვდომ საბაზრო შესაძლებლობებს, რომლითაც შეიძლება გამოიყენონ ის უნარები, რომელსაც არ ფლობენ კონკურენტები უცხოეთში, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს, რომ უცხოური ფირმები კონკურენციას უწევენ ადგილობრივ ფირმებს. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფირმები მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას და საბაზრო არასრულყოფილებების გამო, სხვადასხვა დონემდე სარგებლობენ საბაზრო ძალაუფლებით იმისათვის, რომ საზღვარგარეთ ჰქონდეთ მაღალი მოგება . ამ თეორიის ნაკლოვანებების გამო, შეიქმნა დანიინგის მიერ ეკლექტიკური პარადიგმა.

ჩვენი მოსაზრებაა, რომ ეკლექტიკური პარადიგმა ჰაიმერის საბაზრო არასრულყოფილებების თეორიის მსგავსია, ვინაიდან ამ უკანასკნელის თანახმად, ინვესტორი მოტივირებულია მაღალი მოგებით, რომელიც შესაძლოა მიღებულ იქნეს საწარმოო ხარჯების შემცირებით, ხოლო საწარმოო ხარჯები შესაძლოა შემცირდეს

მიმღებ ქვეყანაში ადგილმდებარეობის უპირატესობების არსებობით. ჩინეთის 2017 წლის მაგალითით შესაძლოა დავადასტუროთ ჰაიმერის თეორია, ვინაიდან თუ ქვეყანაში მშპ ძალიან მაღალია, მაშინ ქვეყანაში ერთი და იმავე პროდუქციის მრავალი მწარმოებელი შესაძლოა იყოს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ინვესტორმა კონკრეტული ნედლეული შეიძლება დაბალ ფასში შეიძინოს და შესაბამისად მისი საწარმოო ხარჯი შემცირდეს. ასევე ჰაიმერის მოსაზრებას, კერძოდ კი იმას, რომ ინვესტორი უპი-ის დაბანდების დროს მაღალი მოგებით არის მოტივირებული, ადასტურებს იამორის (1998) მიგნება, კერძოდ კი ის, რომ ამერიკული ბანკების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაღალი მოგების მიღება.

ინტერნალიზაციის თეორიაზე მსჯელობისას, ჰაიმერმა (Vintila 2010, 107) გამოავლინა უპის ორი ძირითადი დეტერმინანტი: კონკურენციის დაძლევა და კონკრეტულ აქტივობებში უპირატესობების ფლობა. ინტერნალიზაცია განპირობებულია იმით, რომ ფირმა თვითონვე უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს ვინაიდან ასეთ დროს ხარჯები არის უფრო ნაკლები. ბაკლი და კასონის (Vintila 2010, 107) თანახმად, კომპანია ეწევა კონკრეტულ საქმიანობას ფირმის შიგნით იმისათვის, რომ მოიპოვოს უპირატესობები. მათ ინტერნალიზაციის თეორია გამოსახეს შემდეგ კონტექსტში:

1. არასრულყოფილ ბაზარზე ფირმა ახდენს მისი მოგების მაქსიმიზაციას;
2. ფირმები თავს არიდებენ პროდუქციის შექმნას არასრულყოფილ ბაზარზე;
3. მწკ-ების გავრცელება ხდება ბაზრების ინტერნალიზაციის შედეგად.

ბაკლი და კასონის თანახმად (Castro 2000, 23), ინტერნალიზაცია წარმოიშვა შემდეგი ხუთი სახეობის საბაზრო არასრულყოფილების გამო:

1. რესურსების კოორდინაციას უფრო დიდი ხანი სჭირდება;
2. ბაზრის ეფექტიანად გამოყენებისათვის ფირმას სჭირდება ფასისმიერი დისკრიმინაცია;
3. მონოპოლიის გამო წარმოიშვა არასტაბილური გარიგებები;
4. მყიდველს უჭირს, ზუსტად დაადგინოს გაყიდვისას საქონლის ფასი;
5. მთავრობების ჩართვა საერთაშორისო ბაზარზე ქმნის ტრანსფერული ფასის შექმნის საშუალებას.

ინტერნალიზაცია გამოიხატება, მაგალითად, ტრანსფერული ფასის მექანიზმის შექმნაში. ასეთ დროს იქმნება შიგა ბაზარი მნკ-ასა და მის ფილიალებს შორის. ინტერნალიზაციას შეიძლება მოჰყვეს ინტერნალიზაციის უპირატესობა, რაც, თავის მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ შიგა ბაზარი უფრო ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული ვიდრე გარე ბაზარი. შესაბამისად, ინტერნალიზაციის თეორიას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ტრანსფერული ფასი გახდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ჩინელი საგადასახადო ავტორიტეტებისათვის, ვინაიდან ჩინეთიდან უპის გადინება სწრაფად იზრდება. 2002-2010 წლებში უპი-ის გადინების მიხედვით განვითარებადი ქვეყნებიდან ლიდერობდა ჩინეთი.

უპი-ის გაცვლითი კურსის თეორია ალიბერის თანახმად გამოიხატება იმაში, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ფლობენ სუსტ ვალუტას, იზიდავენ უფრო მეტ უპი-ის, ვიდრე ძლიერი ვალუტის მქონე ქვეყნები (Oppong 2018, 76). თუმცა არსებობს ამ თეორიის ნაკლოვანებები. ალიბერის თეორიას ადასტურებს ჩვენი შემდეგი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილი ფაქტები: 2017 წელს მსოფლიოს უძლიერეს ვალუტებში შეერთებულმა შტატებმა დაიკავა მე-10 ადგილი და ამავე წელს მოიზიდა უპი მოცულობით 275381 მილიონი დოლარი, რომელიც 217494.4 მილიონი დოლარით აღემატებოდა შემდეგი ქვეყნების ამავე წლის უპის ჯამურ მოცულობას: კუვეიტის, ბაჰრეინის, ომანის, იორდანის, გაერთიანებული სამეფოს, გიბრალტარის, ლიბიისა და შვეიცარიის, რომლებიც ამავე წელს ვალუტის სიძლიერის მიხედვით იყვნენ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 ადგილებზე შესაბამისად.

ის, თუ რა ზომით მოიზიდავს ქვეყანა უპის, დამოკიდებულია ადგილმდებარეობის, ინტერნალიზაციისა და საკუთრების უპირატესობების დონეზე. ამას ადასტურებს მაგალითად ის, რომ უპი ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან ხორციელდება, რაც ამ ბაზირების ქვეყნების ფირმების უფრო მეტი საკუთრების უპირატესობების ფლობით აიხსნება ვიდრე ამას ფლობენ განვითარებადი ქვეყნის ფირმები. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ ჩინეთი უპის მნიშვნელოვან ზომას იზიდავდა ვინაიდან აქ უპი ძირითადად მდიდარი ანუ განვითარებული ქვეყნებიდან ხორციელდებოდა. მართლაც, რომ განვიხილოთ ინვესტორი ქვეყნები ჩინეთში, აქ ძირითად 10 ინვესტორ ქვეყანაში შედიოდნენ ისეთი განვითარებული ქვეყნები როგორცაა სინგაპური (მე-2 ადგილზე), სამხრეთ კორეა(მე-4 ადგილზე), იაპონია(მე-5

ადგილზე), ამერიკის შეერთებული შტატები(მე-6 ადგილზე), ჰოლანდია (მე-8 ადგილზე) და გერმანია (მე-10 ადგილზე), ანუ 10 უმსხვილესი ინვესტორისგან ჩინეთში 6 იყო განვითარებული ქვეყნიდან (<https://en.portal.santandertrade.com/establish-overseas/china/foreign-investment>).

საკუთრების უპირატესობები რომ (თუნდაც ის, რომელიც ფირმას ექნება საბოლოოდ მიმღებ ქვეყანაში) დიდ როლს ასრულებს უპის მოზიდვაში, ადასტურებს ის, რომ ჩინეთი უპის მოზიდვის მიხედვით ლიდერობდა განვითარებად ქვეყნებს შორის და ზოგჯერ მსოფლიოშიც კი და ჩინეთში ინვესტორების მიერ კონკურენტუნარიანობის მოპოვება დასახელდა როგორც მე-2 ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იზიდავს აქ უპის (რაც დასტურდება იმით, რომ ჩინეთმა მოიზიდა უპის დიდი მოცულობა იმის გამო, რომ აქ ინვესტორი ხდებოდა კონკურენტუნარიანი, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტად დასტურდება იმით, რომ უპი არ უნდა განხორციელდეს როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ იძენს იაფ პროდუქციას. კონკურენტუნარიანობა ნიშნავს იმას, რომ გიმცირდება ხარჯები და შედარებით იაფად ახდენ პროდუქციის რეალიზაციას) და შესაბამისად აქ ინვესტორი იღებს უფრო მაღალ მოგებას უფრო დაბალი ტრანსაქციური ხარჯების გამო, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ადგილმდებარეობის უპირატესობებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მიერ უპის მოზიდვაში. ასევე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთრების და ადგილმდებარეობის უპირატესობები შესაძლოა ერთდროულად წარმოიშვას. ასევე ჩინეთის მიერ უპის მნიშვნელოვნად მოზიდვა შესაძლოა აიხსნას იმით, რომ როდესაც ინვესტორი იღებდა სარგებლიანობას ამას შესაძლოა ასევე განეპირობებინა ადგილობრივი ფირმების მიერ სარგებლიანობის მიღება. თუმცა, თეორიულად, დროის გასვლასთან ერთად შესაძლოა უფრო მეტი უპი მოიზიდოს ქვეყანამ ვინაიდან ერთდროულად ორივე ინვესტორისა და მიმღები ქვეყნის მიერ სარგებლიანობის მიღებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროება. ის, რომ უპის განხორციელება ინტერნალიზაციის უპირატესობებზეცაა დამოკიდებული, დასტურდება ასევე ჩინეთის მაგალითზე, რომელმაც მოიზიდა უპის ძალიან დიდი ზომა და აქ უპის მოზიდვაში როლი ითამაშა პროდუქციის დიფერენციაციის განხორციელების საშუალებებმა და ამ უპირატესობებში კი მოიაზრება ის, რომ ფირმა ფლობს არამატერიალურ აქტივებს (ცოდნას მაგალითად) და მხოლოდ ის იყენებს მათ

წარმოების ფაქტორებთან ერთად, ხოლო თუ შენ მოახდინე პროდუქციის დიფერენციაცია (უკეთესი გახადე ვიდრე კონკურენტებს აქვთ) ეს შესაძლოა მოხდეს ინტერნალიზაციით ვინაიდან უკეთესი პროდუქციის შექმნისათვის აუცილებელი წინაპირობაა რომ შენ იმავე პროდუქციის საწარმოო მეთოდი არ გადასცე კონკურენტებს და მხოლოდ შენ გამოიყენო ეს უკეთესი ცოდნა. თუმცა, ამავდროულად, შესაძლოა მოხდეს უპის შემოდინების შეფერხება თუ უპის წმინდა სარგებელი მიმღები ქვეყნისათვის არ იქნა დადებითი. თუმცა, იმავდროულად მიმღები ქვეყნის მიერ უპისგან სარგებლიანობის მიღებაზე ორიენტირებამ შეიძლება შეაფერხოს აქ უპის შემოდინება. ის, რომ ადგილმდებარეობის უპირატესობები მნიშვნელოვნად განაპირობებს უპის მოზიდვას, დასტურდება იმით, რომ უპის განხორციელებისას ფირმა მაღალი მოგების მიღებით არის მოტივირებული (მაგალითად ასე იყო ჩინეთში და ასევე საქართველოში). მწკ-ის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მიერ უპისგან სარგებლიანობის მიღებაზე. ის, რომ ინვესტორები უპის განხორციელებას ყურადღებას აქცევენ ადგილმდებარეობის უპირატესობის ყველა სახეობას, დასტურდება იმით, რომ მწკ-ის მიერ უფრო მეტი საბაზრო წილის ფლობა ადგილობრივ ფირმებთან შედარებით არაა საკმარისი უპის განხორციელებისათვის. მაღალი საბაზრო წილი ნიშნავს, რომ შესაძლოა შენგან ბევრი ადამიანი ყიდულობს და სარგებლობს დიდი რაოდენობის მყიდველით და ასევე დასტურდება შემდეგით: მიუხედავად იმისა, რომ ფირმამ შეიძლება დააწესოს მაღალი ფასი მის პროდუქციაზე ან/და გაზარდოს მისი პროდუქციის ხარისხი საზღვარგარეთ და ამ მიზეზით მიიღოს ინვესტიციისგან მაღალი მოგება, მან შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, არ შევიდეს ამ ბაზარზე იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში არსებობს ძვირი ნედლეული, მაღალი ხელფასი ან გადასახადების მაღალი დონე. საკუთრების უპირატესობამ კონკურენტული უპირატესობის სახით შეიძლება განაპირობოს სხვა სახეობის საკუთრების უპირატესობების არარსებობის განეიტრალება და შესაბამისად ის იწვევს ფირმის მიერ უპის განხორციელებას. აღნიშნული დასტურდება ჩინეთის მაგალითზე, რომელიც მსოფლიოში უპის მოზიდვის სიდიდის მიხედვით პირველ სამეულში იყო და აქ ინვესტორთა მოზიდვის მე-2 მთავარი ფაქტორი იყო ის, რომ აქ ინვესტორები ხდებოდნენ კონკურენტუნარიანი. ანუ, ვინაიდან ყველა ფირმა ხდებოდა კონკურენტული, ამის გამო შესაძლოა მათ მაინც დააბანდეს ინვესტიციები

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ყველა მათგანს არ ჰქონოდა სხვა სახეობის საკუთრების უპირატესობა. ის, რომ უპის განხორციელება დამოკიდებულია ადგილმდებარეობის უპირატესობებზე, დასტურდება იმით, რომ ფირმა უპის ახორციელებს ასევე დამატებითი მასშტაბით განპირობებული ეკონომიის მისაღწევად. ე.ი. ფირმა უპის ახორციელებს დამატებითი მოგების მისაღებად, ხოლო ადგილმდებარეობის უპირატესობები - ესაა მიმღები ქვეყნის ის ფაქტორები, რომელიც ფირმას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს უფრო მეტი მოგება ამ ქვეყანაში ვიდრე მას აქვს ბაზირების ქვეყანაში. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ასეთი ინვესტორის მიერ მოგების მიღებაზე, რაც დასტურდება იმით, რომ უფრო მაღალი შესაძლებლობაა, ასეთი მოტივაციის მქონე ინვესტორი ინვესტიციას დააბანდებს უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. უპის განხორციელებაში ასევე როლს თამაშობს მიმღები ქვეყანა, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს უპის მოზიდვას იმის გამო, რომ ინვესტორი დადებით ზეგავლენას ახდენს ამ ქვეყანაზე. თუ მიმღები ქვეყანა ეცდება უპის მოზიდვას მაშინ მან შესაძლოა იმავდროულად მიიღოს უპისგან სარგებლიანობა. ასევე ბაზირების ქვეყანა უწყობს ხელს უპის გადინებას სხვა ქვეყნებში. ანალიზის პროცესში ირკვევა, რომ დანიშნის ეკლექტიკური პარადიგმა მოიცავს უპის სხვა თეორიებსაც.

1.3 უპი-ის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებული სტატისტიკური ანალიზი

იმისათვის, რომ განხორციელდეს უპი აუცილებელია უცხოური ფირმების საკუთრების უპირატესობები აღმატებოდეს ადგილობრივი ფირმების იდენტურ მაჩვენებელს და ასევე ფირმები უნდა იყოს მოტივირებული მიმღებ ქვეყანაში არსებული ადგილმდებარეობის უპირატესობების გამოყენებით. 2017 წელს უპი-ის გადინება არ მომხდარა ზოგიერთი აფრიკული ქვეყნიდან, მაგალითად, სიერა ლეონედან. კორეამ მოიზიდა უპი-ის მცირე მოცულობა (უნკტადი, უპის გადინება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 1990-2017 წწ.). კორეა ავიღეთ მიმღებ ქვეყნად, ვინაიდან მის მიერ 2017 წელს უპი-ის მცირე მოცულობით მოზიდვა

თეორიულად შეიძლება გამომდინარეობდეს მისი დაბალი დონის საკუთრების უპირატესობებიდან.

საკუთრების უპირატესობებში იგულისხმება:

- მონოპოლიური ძალაუფლება;
- პროდუქციის დივერსიფიკაცია;
- ექსკლუზიური ხელმისაწვდომობა ტექნოლოგიაზე, პატენტებზე, ბაზარსა და წარმოების ფაქტორებზე;
- პროდუქციის ხარისხი;
- იაფი წარმოების ფაქტორები;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

მთლიანობაში, საკუთრების უპირატესობები მიუთითებს იმაზე, რომ ფირმას შესაძლოა ჰქონდეს მაღალი მოგება. 2017 წელს არ მომხდარა უპის შემოდინება სიერა ლეონედან კორეაში (2017 წელს სიერა ლეონედან უპი-ის გადინება იყო 0-ის ეკვივალენტი, არც კორეაში მომხდარა ამ ქვეყნიდან უპი-ის გადინება) (უნკტადი, უპის გადინება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 1990-2017 წწ.). სიერა ლეონე მიიჩნევა ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანად, ხოლო კორეა განვითარებული, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა. შესაბამისად, სიერა ლეონეში არსებული ფირმების მოგება უნდა იყოს ნაკლები ვიდრე კორეულის. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ ბაზირების ქვეყნის ფირმების საკუთრების უპირატესობები არ აღემატებოდა მიმღები ქვეყნის ფირმების საკუთრების უპირატესობებს, ამიტომ არ განხორციელდა უპი სიერა ლეონედან კორეაში მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კორეა იმყოფება 176-ე ადგილზე მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით, ხოლო სიერა ლეონე 185-ზე, თუმცა სამხრეთ კორეა იმყოფება 28-ე ადგილზე მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით (Wikipedia ვებსაიტი).

დანინგის ეკლექტიკური პარადიგმის მიხედვით, იმისათვის, რომ უპი განხორციელდეს, უნდა არსებობდეს ადგილმდებარეობის, ინტერნალიზაციისა და საკუთრების უპირატესობები სამივე ერთად. ავილოთ, მაგალითად, აშშ, სადაც 2016 წელს დაფიქსირდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი მშპ (WITS ის მონაცემთა ბაზა, ნომინალური მშპ \$, 1988-2017 წწ.). ამ ინდიკატორის მნიშვნელოვან

ადგილმდებარეობის უპირატესობად აღება განპირობებულია იმით, რომ მაღალი მშპ ასახავს მაღალ შემოსავალს და ასევე მსოფლიოში ჭარბობს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი, მაგალითად, საქართველოში 2007-2013 წლებში დაბანდდა ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი, რომლის წილი ქვეყანაში დაბანდებულ მთლიან ინვესტიციებში იყო 80%, რისი განხორციელების მნიშვნელოვანი დეტერმინანტია მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა (ჭარაია 2015,102). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეს მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის უპირატესობაა. აშშ-ში ყველა მაღალი მოცულობით უპი-ის მოზიდვა დაფიქსირდა გაერთიანებული სამეფოდან, ხოლო არ მომხდარა სიერა ლეონედან. (2016 წელს სიერა ლეონედან უპის გადინება დაფიქსირდა 0 –ის ეკვივალენტი), ასევე სიერა ლეონემ დაიკავა მე-14 ადგილი მსოფლიოში არსებულ ყველაზე ღარიბ 25 ქვეყანას შორის (მითითებულია Insider Inc-ის ვებსაიტზე <https://www.businessinsider.com/the-25-poorest-countries-in-the-world-2017-3#15-the-gambia-gdp-per-capita-1664-1357-16>). რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, ის მიიჩნევა მდიდარ ქვეყნად, სადაც მოსახლეობა უმაღლესი განათლებით გამოირჩევა. საკუთრების უპირატესობებში მოიაზრება მენეჯმენტის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მაღალი, თუ მოსახლეობის რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით იზრდება, ამ უპირატესობებს მიეკუთვნება აგრეთვე ფინანსური აქტივები.

საბოლოოდ, უპი-ის განხორციელება დამოკიდებულია საკუთრების, ინტერნალიზაციისა და ადგილმდებარეობის უპირატესობებზე ერთად. ამასთან, მხოლოდ აღნიშნული უპირატესობები არაა საკმარისი მათი განხორციელებისათვის, უნდა არსებობდეს მათი შესაბამისი დონე. მაგალითად, ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად, არსებობს დადებითი კავშირი საკუთრების უპირატესობასა და გამავალ ინვესტიციებს შორის. 2017 წელს განვითარებული ქვეყნებიდან უპი-ის გადინების მიხედვით ლიდერობდნენ შეერთებული შტატები, იაპონია, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, კანადა და საფრანგეთი (უნკტადი, უპის გადინება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 1990-2017 წწ.).

საკუთრების უპირატესობაში მოიაზრება ფირმის მიერ მენეჯმენტის მაღალი დონე, რაც განპირობებულია მოსახლეობის განათლების დონით. 2017 წელს

მოსახლეობის რიცხოვნობისა და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლიდან გამომდინარე, ამ ქვეყნებში მოსახლეობის რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით შემდეგნაირად გამოიყურება.(ცხრ. 4)

ცხრილი №4

ქვეყნები უპი-ის გადინების მიხედვით და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა, 2017 წელი

ქვეყნები უპი-ის გადინების ზომის კლებადობის მიხედვით	უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა
შვედეთი	148180639
იაპონია	64379647
გაერთიანებული სამეფო	30417056
გერმანია	23484668
კანადა	20608437
საფრანგეთი	22872801

წყარო: <https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx>
<https://www.cnbc.com/2018/02/07/the-10-most-educated-countries-in-the-world.html>

როგორც ცხრილიდან ჩანს, რაც უფრო მეტად ხდება უპის გადინება, მით უფრო მაღალია მოსახლეობის რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით, ანუ ამით დასტურდება ის, რომ რაც უფრო მეტია საკუთრების უპირატესობა, მით უფრო მეტად ხდება უპი-ის გადინება სხვა ქვეყანაში.

ქვეყნების მეკ-ს შორის განსხვავებები ასახავს სხვაობებს ამ ქვეყნების იმ ფაქტორებს შორის, რომელებიც ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად განაპირობებს უპის გადინებასა და შემოდინებას. მაგალითად, 2016 წელს უპი-ის შემოდინების მოცულობის მიხედვით განვითარებული ქვეყნებიდან ლიდერობდნენ: ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრალია და ლუქსემბურგი. (უნკტადი, უპის შემოდინება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 1990-2017 წწ.) რაც წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

ქვეყნების რანჟირება უპი-სა და მშპ-ის მიხედვით 2016 წელი

ქვეყნები უპი-ის შემოდინების კლებადობის მიხედვით	რანჟირების ნომერი მშპ-ის მიხედვით
შეერთებული შტატები	I
გაერთიანებული სამეფო	II
ნიდერლანდები	IV
შვეიცარია	V
ავსტრალია	III
ლუქსემბურგი	VI

წყარო: <https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx>; [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal))

ამდენად, რაც უფრო მაღალია მშპ, მით უფრო მაღალია უპი-ის შემოდინება ქვეყანაში, რაც ადასტურებს იმას, რომ უპის განხორციელების დონე ადგილმდებარეობის უპირატესობის დონეზეა დამოკიდებული.

ინტერნალიზაციისა და ადგილმდებარეობის უპირატესობები მწკ-ების არსებობის საკმარისი საფუძველია, რაც აიხსნება იმით, რომ ბაზირების ქვეყანაში ფირმა შეიძლება არ ფლობდეს საკუთრების უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს მისი ფლობის უნარი და იძენს მას უპის განხორციელების შემდეგ, ანუ უპი ხორციელდება მიუხედავად იმისა, რომ ბაზირების ქვეყანაში ფირმა არ ფლობს საკუთრების უპირატესობებს.

უპი-სგან სარგებლიანობის მიღების ერთ-ერთი ფაქტორი ფირმის კონკურენტული საკუთრების უპირატესობებია. ის, რომ უპი-ის განხორციელება დამოკიდებულია საკუთრების უპირატესობებზე, დასტურდება იმით, რომ შეერთებული შტატები არის ლიდერი ქვეყანა უპი-ის მოზიდვის მიხედვით. უცხოური ფირმები, რომლებიც აქ აბანდებენ ინვესტიციებს, ფლობენ კონკურენტულ უპირატესობებს და, შესაბამისად, ასეთ პირობებში საკუთრების უპირატესობებში მოიაზრება ფირმის მიერ კონკურენტული უპირატესობის ფლობა.

უპი-ის განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ ინვესტორის საკუთრების უპირატესობებზე, არამედ ასევე იმ საკუთრების უპირატესობებზე,

რომელსაც ფლობენ მიმღები ქვეყნის ფირმები. მაგალითად, ამას ადასტურებს ის, რომ უპი ძირითადად მდიდარ ქვეყნებს შორის ხორციელდება. მაგალითად, საკუთრების უპირატესობაში მოიაზრება ფინანსური აქტივი, ხოლო მდიდარი ქვეყნები ფლობენ მაღალ შემოსავალს მოსახლეობის ერთ სულზე და უღარიბესი მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში არის დაბალი, მაშინ როდესაც საშუალო შემოსავალი მაღალია. შესაბამისად, მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა მაღალია. ხოლო ფირმების რეალიზაცია და შემოსავლები იზრდება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ადგილობრივ ფირმებს აქვთ საკუთრების უპირატესობის ერთ-ერთი სახეობის მაღალი დონე.

ის, რომ უპი-ის განხორციელება მიმღები ქვეყნის ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობებზე არის დამოკიდებული და ამის გამო ის ხორციელდება მდიდარ ქვეყნებში, კიდევ უფრო მეტად დასტურდება იმით, რომ ასეთი ქვეყნები ხასიათდებიან ეკონომიკური ზრდის მაღალი დონით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ არის მშპ-ის მაღალი დონე და ახალი ტექნოლოგიის მქონე სექტორის წილი მთლიან მშპ-ში მზარდია.

უპი-ის განხორციელება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ფირმების საკუთრების უპირატესობებზე, რაც საქართველოს მაგალითზე დასტურდება შემდეგი სახით: მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იმ ფირმებში, სადაც 2009 წლის ბოლო კვარტლისათვის ბრუნვა იყო 1 მილიონზე მეტი (სულ 128 ფირმა), უპი დაბანდა მხოლოდ 102 ფირმაში. ჩვენს მიერ გაანალიზებულია ასევე ის ფირმები, სადაც 2009 წლის ბოლო კვარტლისათვის ბრუნვა იყო 1 მილიონზე ნაკლები (სულ 119 ფირმა), აქედან, უპი დაბანდა 91 ფირმაში. ამ შედეგების ანალიზის საფუძველზე რთულია ვალიდური დასკვნების გაკეთება. თუმცა ამ 28 ფირმიდან ჭარბობდა ის ფირმები (სულ 20), სადაც ბრუნვა იყო 500000 ლარზე ნაკლები. ამ ქეისით დასტურდება ის, რომ უპი-ის განხორციელება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ფირმების საკუთრების უპირატესობებზე და კერძოდ კი იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელსაც ისინი ფლობენ.⁹

⁹ ავტორის მიერ ჩატარებული საქსტატის მასალის ანალიზის შედეგები.

უპის განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ ადგილმდებარეობის უპირატესობაზე, არამედ ასევე მისგან სარგებლიანობის მიღებაზე. ის, რომ (1988-2017 წლებში), მსოფლიოში შეერთებული შტატები ყოველთვის იკავებდა 1-ლ ადგილს მშპ-ს მოცულობის მიხედვით, (WITS-ის მონაცემთა ბაზა, ნომინალური მშპ \$, 1988-2017 წწ.) რაც, თავის მხრივ, მიიჩნევა მნიშვნელოვან ადგილმდებარეობის უპირატესობად, მეტყველებს იმაზე, რომ თეორიულად, ამის გამო, აქ ყველა ქვეყანამ მეტ-ნაკლებად უნდა დააბანდოს ინვესტიცია.

ადგილმდებარეობის უპირატესობებში მოიაზრება ის სარგებლიანობა, რასაც მიმღები ქვეყანა სთავაზობს ინვესტორს: იაფი სამუშაო ძალა, ელექტროენერჯის დაბალი ხარჯი, ნედლეულის სიახვე, რესურსები, დაბალი გადასახადები, ტრანსპორტირების ხარჯები, სატარიფო და არასატარიფო ბარიერები და პოლიტიკური რისკის არარსებობა. შეერთებულ შტატებში არის უზარმაზარი ბაზარი, მცირეა გადასახადების დონე, მისი რესურსების საერთო ღირებულება არის 45 ტრილიონი დოლარი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ჩინეთის რესურსების საერთო ღირებულებას, რომელიც, თავის მხრივ, არის მე-6 ადგილზე ამ მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოში (WITS ის მონაცემთა ბაზა, ნომინალური მშპ \$, 1988-2017 წწ.). არსებული რესურსებით ყველაზე მდიდარ ქვეყნებს შორის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ტარიფებია მსოფლიოში. ბიზნესრისკის ფაქტორის მიხედვით რომ შევაფასოთ, შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი ძალზე დაბალია. (ამ ქვეყანას ახასიათებს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, თუმცა შეერთებული შტატები პროდუქციის საწარმოებლად ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ადგილად მიიჩნევა მსოფლიოში, რაც დასტურდება იმით, რომ აქ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხელფასის დონეა, ქვეყანა მსოფლიოში იმყოფება მე-5 ადგილზე. ეს ფაქტორები ნეგატიურად ვერ აისახება უპი-ის შემოდინებაზე, ვინაიდან აქ არის უზარმაზარი ბაზარი. ასეთ პირობებში ორი მიზეზის გამო შეძლებს ინვესტორი პროდუქციის მარტივად რეალიზაციას:

- ბაზრის დიდი მოცულობა;
- მოსახლეობის მაღალი მსყიდველობითი უნარიანობა.

მსოფლიოში ჭარბობს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი-ები. ამ მიზეზით, აშშ-ის უზარმაზარი ბაზრის გამო, ამ ქვეყანაში შესაძლოა შესულიყვნენ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები. სიერა ლეონეში არის მსოფლიოში ყველაზე დაბალი ხელფასის დონე-0.03 დოლარი საათში. შეერთებულ შტატებში მინიმალური ხელფასი არის 7.25 დოლარი საათში (Mariliza Karrera 2017). შესაბამისად ამ ორ ქვეყანას შორის ხელფასების სხვაობა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, თუ რატომაც არ დაბანდდა სიერა ლეონედან უპი აშშ-ი და ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

ავტორის მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზით დადასტურდა¹⁰, რომ ხელფასის ზრდა უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე საქართველოში. ამის გამო, დაბალი ხელფასი შესაძლოა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან ადგილმდებარეობის უპირატესობად, რასაც დამატებით ადასტურებს ისიც, რომ ლუქსემბურგი იყო მე-4 უდიდესი ინვესტორი შეერთებულ შტატებში და ეს ქვეყანა იმყოფებოდა მე-2 ადგილზე მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალი დონის ხელფასის მქონე სახელმწიფოებს შორის (Mariliza Karrera, 2017).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეერთებულ შტატების ადგილმდებარეობის უპირატესობებად მივიჩნევთ შემდეგ ფაქტორებს: ბაზრის დიდი მოცულობა, შემცირებული გადასახადები, რესურსების სიმრავლე, დაბალი ტარიფები, დაბალი პოლიტიკური რისკები. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ვაჩვენებთ, თუ რატომ არ მოხდა სიერა ლეონედან უპი-ის გადინება შეერთებულ შტატებში. სიერა ლეონე ვერ შეძლებდა ამ ადგილმდებარეობის უპირატესობებით სარგებლობას შემდეგი მიზეზებით: იგი არის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა, შესაბამისად უზარმაზარ ბაზარზე, ბევრი რესურსის პირობებში და მით უმეტეს, სადაც მაღალი ფასები ფიქსირდება, ის ვერ მიიღებდა მოგებას.

აღნიშნულით დასტურდება ის, რომ უპი-ის განხორციელება არაა დამოკიდებული მხოლოდ ადგილმდებარეობის უპირატესობაზე, არამედ მნიშვნელოვანია ამის შედეგად სარგებლიანობის მიღება.

მიმღები ქვეყნის ფირმების მიერ შთანთქმების უნარების არქონამ შეიძლება გამოიწვიოს უპი-ის შემოდინების შეზღუდვა. შთანთქმის უნარებში მოიაზრება

¹⁰ რეგრესიული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია 3.3 ქვეთავში

ფირმის მიერ ფასეული საგარეო ცოდნის ათვისება. მაგალითად, 2016 წელს უპი-ს გადინება არ მომხდარა მაროკოში. მაროკო იმყოფებოდა 140-ე ადგილზე 188 ქვეყანას შორის განათლების ინდექსის მიხედვით. 139 ქვეყანაში, რომელთა განათლების დონე იყო უფრო მაღალი ვიდრე მაროკოში, შედიოდნენ ისეთი ქვეყნები, რომელთა უპი-ის გადინება იყო 11 მილიარდზე მეტი (შეერთებული შტატები, ჩინეთი, ნიდერლანდები, იაპონია, კანადა, შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ესპანეთი, ირლანდია, სინგაპური, რუსეთი, ფინეთი, ბელგია, იტალია, ისრაელი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და ტაილანდი). აღნიშნულით დასტურდება, ის, რომ მიმღები ქვეყნის ფირმებში შთანთქმების უნარების არარსებობამ შეიძლება აქ უპი-ის შემოდინებისათვის ხელის შეშლა გამოიწვიოს, რადგან თუ სხვა ქვეყნის განათლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე მიმღები ქვეყნის, შესაძლოა მათ მიერ მოწოდებული ცოდნა ვერ იქნეს ათვისებული.

მნკ-ები უპი-ის დაბანდებისას საზღვარგარეთ მხედველობაში იღებენ საკუთრების უპირატესობების ყველა სახეობას. ამას ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: 2012 წელს ის ფირმები, სადაც წლიური ბრუნვა იყო 1 მილიონზე მეტი, საქართველოში იყო 200, ამავე წელს უპი დაბანდა სულ 150-ში, ამავე წელს იმ ფირმების ოდენობა, სადაც წლიური ბრუნვა 1 მილიონზე ნაკლებია, იყო 258, სადაც უპი დაბანდა 150-ში. ამდენად, ახსნა იმისა, თუ 2012 წლებში 1 მილიონზე მეტი და 1 მილიონზე ნაკლები ბრუნვის მქონე ფირმების რიცხვი, სადაც დაბანდა უპი თანაბარი შესაძლოა იყოს იმით, რომ ინვესტორებმა არ მიაქციეს ყურადღება, თუ რა ზომის ფინანსური აქტივები ექნებოდა ამ ფირმებს, რადგანაც უპი-ს შემოდინების ხელშემწყობი სხვა ფაქტორებიც არსებობდა ამ ქართულ კომპანიებში (საკუთრების უპირატესობები). აღნიშნული სტატისტიკა ამყარებს ჩვენ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ უპის დაბანდება არაა დამოკიდებული საკუთრების უპირატესობის ერთი სახეობაზე, რადგანაც ის შეიძლება განეიტრალებს სხვა სახეობებით, თუმცა, აქვე ყურადსაღებია რა ზომის ფინანსური კაპიტალი შემოიტანა ინვესტორმა კომპანიაში. თავდაპირველად აღნიშნული ჰიპოთეზის დასადასტურებლად ასევე მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: 2017 წელს შეერთებულ შტატებში 20 უდიდეს ინვესტორს შორის მექსიკა იყო მე-19 ადგილზე, ხოლო განათლების ინდექსის მიხედვით 101-ზე (მითითებულია: Friedrich Schwandt-ის ვებსაიტზე statista.com).

<https://www.statista.com/statistics/456713/leading-fdi-countries-usa/>), სხვა ქვეყნები, რომლებიც უსწრებდნენ მას შეერთებულ შტატებში უპის დაბანდების მიხედვით, მექსიკასთან შედარებით გამოირჩეოდნენ განათლების ინდექსის მაღალი დონით (https://en.wikipedia.org/wiki/Education_Index). აღნიშნული ადასტურებს, რომ უპი-ის განხორციელება ინვესტორის საკუთრების უპირატესობების დონეზეა დამოკიდებული. ლუქსემბურგი 46-ე ადგილზეა განათლების ინდექსის დონით და იყო მე-4 უდიდესი ინვესტორი შეერთებულ შტატებში, ხოლო ირლანდია იყო მე-6 ადგილზე განათლების ინდექსის დონით და იყო მე-9 უდიდესი ინვესტორი შეერთებულ შტატებში (მითითებულია: Friedrich Schwandt-ის ვებსაიტზე [statista.com](https://www.statista.com/statistics/456713/leading-fdi-countries-usa/). <https://www.statista.com/statistics/456713/leading-fdi-countries-usa/>).

ანალიზის პროცესში ირკვევა, რომ მნიშვნელოვანი საკუთრების უპირატესობა კონკურენტული უპირატესობაა და ადგილმდებარეობის უპირატესობა ბაზრის ზომას (რაც დგინდება ქვეყნის მშპ-თი). აღნიშნული დასტურება იმით, რომ მსოფლიოში ჭარბობს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ის უფრო დიდი მასშტაბებით ხორციელდება იქ, სადაც უფრო მარტივია პროდუქციის რეალიზაცია, ხოლო თუ ფირმა ფლობს კონკურენტულ უპირატესობას, მან შესაძლოა უფრო იაფად გაყიდოს საქონელი და მომსახურება, რაც განაპირობებს მის მიერ პროდუქციის იმ მიმღებ ქვეყნებში მიწოდებას, სადაც ბაზრის დიდი ზომა, ანუ მყიდველთა დიდი რაოდენობაა. ასევე ის, რომ მსოფლიოში ჭარბობს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი, დასტურდება იმით, რომ ის ხორციელდება ძირითადად მდიდარ ქვეყნებს შორის და ამას ხსნის ის, რომ მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა უფრო მაღალია, რაც განაპირობებს ასეთი ინვესტორის მიერ პროდუქციის იოლად რეალიზაციას. ჩინეთის მაგალითზე, უპის დიდი რაოდენობით შედინება აიხსნება ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპით (Farrell 2003, 239).

1.4 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოტივაციების დეტერმინანტები¹¹

¹¹ უპი-ის დეტერმინანტებში იგულისხმება ის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც უბიძგებს ინვესტორს ინვესტიციის განხორციელებას.

დანინგის ეკლექტიკური პარადიგმიდან გამომდინარეობს უპი-ის მოტივაციების დეტერმინანტები, ის ფაქტორები, რომლებიც უბიძგებს სხვადასხვა მოტივაციის მქონე ინვესტორებს კაპიტალის დაბანდებისაკენ. დანინგმა უპი-ის მოტივაციები დააჯგუფა შემდეგი სახით: ბაზრის, რესურსების ათვისებაზე, ეფექტიანობის ამაღლებასა და სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება მაშინ, როდესაც ექსპორტის დროს ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების გამო, ფასი, რომელიც უწესდება უცხოელ მომხმარებელს, არის მაღალი და შესაბამისად ასეთი უპი ხორციელდება იმისთვის, რომ მოვემსახუროთ კლიენტებს მიმღებ ქვეყანაში, დავუწესოთ მათ პროდუქციაზე დაბალი ფასები. ფირმა ახორციელებს ასეთი ტიპის უპის იმ მიზეზით, რომ ბაზირების ქვეყანაში ვერ ყიდის პროდუქციას სასურველ ფასად, ამიტომ ცდილობს ეს განახორციელოს მიმღებ ქვეყანაში. ზოგჯერ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება საწარმოო ხარჯების შესამცირებლად, აგრეთვე მიმღებ ქვეყანაში კონკურენციული უპირატესობის მოსაპოვებლად, თუმცა თუ მულტინაციონალური კომპანია მისდევს გლობალური წარმოებისა და მარკეტინგის სტრატეგიას, მაშინ ის შეიძლება განთავსდეს იქ, სადაც არიან მისი კონკურენტები.

პოლიტიკური სტაბილურობა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინვესტორის ასეთი მოტივაციის დროს. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება იმისათვის, რომ მომმარაგებელი მოემსახუროს იმ მომხმარებელს, რომელზეც ორიენტაციას იღებდა ბაზირების ქვეყანაში. აგრეთვე მოხდეს ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც მოთხოვნილია მიმღები ქვეყნის მოსახლეობის მიერ. ასეთ დროს ინვესტორი მოტივირებულია რეგიონული ბაზრების ხელმისაწვდომობით და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებით (Wadhwa 2011, 219). ეს უნიკალური შესაძლებლობაა იმ ფირმებისთვის, რომლებისთვისაც წარმოება და დისტრიბუცია უნდა იყოს ერთდროული (ტელეკომუნიკაციის ფირმები, წყლის მომარაგება და ენერჯის მიწოდება), ხორციელდება საწარმოო და მომსახურების სექტორში (Schulz 2017, 7). ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი უფრო ხშირად ხორციელდება იმ მიმღებ ქვეყანაში სადაც უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდაა. (Wadhwa 2011, 221)

ქვეყნებში არსებული უარყოფითი საინვესტიციო გარემო წარმოადგენს უპის მოზიდვის დამაბრკოლებელ ფაქტორს.

როგორც წესი, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის შემდეგ ხორციელდება ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი. მისი ეფექტიანობა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა არაა ინვესტორის მთავარი საზრუნავი მაშინ, როდესაც ის ბაზირების ქვეყანაში იღებს დიდი რაოდენობის შემოსავალს (Wadhwa 2011). მის მოსაზიდად ქვეყნები არ უწევვენ ერთმანეთს კონკურენციას (Zhou & Lall 2005, 1), განსაკუთრებით მომსახურების სექტორში (Zhou & Lall 2005, 10). მასზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების რენტა (Schulz 2017, 4-5), ნაკლებად არის დამოკიდებული კაპიტალის მოცულობაზე და არ საჭიროებს დიდი რაოდენობით კაპიტალისა და ტექნოლოგიის წინასწარ გადაცემას (Schulz 2017, 13). ასეთ დროს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში მწკ არის ღრმად ინტეგრირებული მომმარაგებლებთან, დისტრიბუტორებთან, მომხმარებლებსა და სამუშაო ძალასთან (Schulz 2017, 14).

მთავრობის პოლიტიკა ქვეყანაში იზიდავს ყველა სახეობის უპის, მაგრამ ყველაზე მეტად პრიორიტეტით სარგებლობს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული (Schulz 2017, 44). მის დროს ინვესტორი შეიძლება იყოს მოტივირებული როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნებით (Akbar & McBride 2014, 92). ასეთი უპის დროს ინვესტორს აქვს დიდი სურვილი, დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს მიმღებ ქვეყანაში, რადგან გარკვეული დროა საჭირო ფირმის დაფუძნებისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად (Akbar & McBride 2014, 90). ზოგჯერ ის ხორციელდება იმ სექტორებში, რომლის შემადგენლობაში შემავალი საქონელის ექსპორტს ახდენს ბაზირების ქვეყანა მიმღებ ქვეყანაში (Sáez 2010, 19).

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება ძირითადად დანახარჯების შემცირების მიზნით. ბაზრის ათვისებასა და რესურსებზე ორიენტირებული უპი, თავის მხრივ, განაპირობებს ინვესტორის მიერ ხარჯების შემცირებას. როდესაც პირდაპირი უცხოელი ინვესტორი ახორციელებს ასეთი ტიპის უპის, იგი მოტივირებულია ორგანიზაციული აქტივებით (მაგალითად, ცოდნა) და ისეთი წარმოების ფაქტორით, როგორცაა ბუნებრივი რესურსები. ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება იქ, სადაც ინვესტორის პროდუქცია

იქნება მასშტაბურად რეალიზებადი, ექსპორტი განხორციელდება მიმღები ქვეყნიდან. ასეთი უპის დროს ინვესტორის მოტივაციაა ტრანსაქციული ხარჯების შემცირება, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის, რომ დაუკავშირდეთ სხვა ბაზრებს. ხორციელდება იმიტომ, რომ ფირმები ფლობენ არაკვალიფიციურ სამუშაო ძალას და შესაბამისად მას ეძებენ მიმღებ ქვეყანაში (Schulz 2017, 5). ასეთი დადებითი კავშირები უფრო მაღალია ვიდრე ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის დროს (Schulz 2017, 5). ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ძირითადად საწარმოო სექტორში ხორციელდება, ზრდის ბაზირების და მიმღებ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებს (Wadhwa 2011, 221). ვაჭრობისადმი გახსნილობით ქვეყანა შეიძლება ჩაერთოს კორპორაციულ ქსელებში და ამით მიიღოს სარგებლიანობა ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპისგან (Nunnenkamp 2004, 674).

როდესაც ადგილმდებარეობის უპირატესობები მოიცავს ადამიან-კაპიტალსა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდას, მაშინ იმპორტის შემცველის მაგივრად, ქვეყანაში განხორციელდება ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი. მისი დეტერმინანტებია ისეთი სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის თავისუფალ გადინებას მესამე ქვეყანაში და ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები (Nunnenkamp 2001, 10). ასეთი უპის განხორციელების ტენდენციები მეტყველებს იმაზე, რომ იზრდება მომსახურების სექტორის უპი (International Institute for Sustainable Development 2002, 9). ნაკლებად დამოკიდებულია კაპიტალზე და არ საჭიროებს კაპიტალისა და ტექნოლოგიის დიდი რაოდენობით წინასწარ გადაცემას (Schulz 2009, 13). ასეთ დროს მწკ არის ფართოდ ინტეგრირებული მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში (Schulz 2009, 13). ასეთი ტიპის უპი ნაკლებად ზღუდავს უცხოელი ინვესტორის მოქმედებებს (Schulz 2009, 14). მის დროს მწკ-ის მოტივაციაა პროდუქციის უფრო მარტივი გაყიდვა და ამის მისაღწევად მწკ წარმოებას განათავსებს ქვეყნების სხვადასხვა ნაწილში მრავალი ბაზრის მომსახურების მიზნით.

სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპი ხორციელდება შთანთქმების მეშვეობით, მაშინ, როდესაც ინვესტორს აკლია მიმღებ ქვეყანაში არსებული რეგულაციის (მაგალითად, რეგისტრაციის წესები), ადმინისტრაციული და ბიზნესკულტურის დარგში ცოდნა. ასეთ უპის ახორციელებენ ის მწკ-ები, რომლებიც ფლობენ საკუთრების უპირატესობებს. მის დროს ინვესტორი მოტივირებულია

სტრატეგიული აქტივებით, საკუთრების უპირატესობების მოპოვებით (ეკონომია და უფრო მეტი ფინანსური აქტივი), ნიჭიერი, კვალიფიციური და განათლებული მუშახელით, ისეთი აქტივებით და რესურსებით, რომლებიც არ არსებობს ბაზირების ქვეყანაში.

სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპი-ს დროს ინვესტორი შესაძლოა არ იყოს მოტივირებული საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის ზრდით, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია კონკურენტების რეალიზაციის შემცირება. მის დროს დიდ როლს თამაშობს ინფრასტრუქტურასთან სიახლოვე (Franco & Rentocchini 2008, 18). მნკ მისდევს ინტეგრირებულ გლობალურ ან რეგიონულ სტრატეგიას (Gugler & Boie 2008, 9). ასეთი ინვესტორი უპის აბანდებს იმ ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი ინდუსტრია განვითარებულია (Gugler & Boie 2008, 19). (მისი შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ ფირმა არ ფლობს შთანთქმის უნარებს, რათა დაეუფლოს იმ შესაძლებლობებს, რომელსაც სთავაზობს მას მიმღები ქვეყანა (Gugler & Boie 2008, 20). ასეთი უპი-ის დეტერმინანტია ის, თუ რამდენად უწყობს მთავრობა ხელს ადგილობრივ წარმოებას.

რესურსებზე ორიენტირებული უპი ხორციელდება იმ ქვეყანაში, სადაც არის ამ რესურსების დიდი რაოდენობა. ცხადია, ინვესტორი მოტივირებულია იაფი ბუნებრივი რესურსების შეძენით. მნკ ასეთ ინვესტიციას აბანდებს მაშინ, როდესაც განსაზღვრულ სექტორში რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლიანობა აჭარბებს სხვა სექტორში ანალოგიურ სარგებელს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უპის დროს ინვესტორი მოტივირებულია იაფი, სპეციალიზებული ან არასპეციალიზებული სამუშაო ძალით, ამ ფაქტორის დეფიციტის შემთხვევაში მოცემული სახეობის ინვესტიცია მაინც ხორციელდება. ზოგჯერ, როდესაც ინვესტორი ახორციელებს ასეთი ტიპის უპის, ის მიმღებ ქვეყანაში შთანთქავს ადგილობრივ ფირმებს. მის დროს პირდაპირი უცხოელი ინვესტორი დახმარებას უწევს მიმღებ ქვეყანას, რომ ამ უკანასკნელმა აითვისოს ის რესურსები, რომელიც მას გააჩნია. როგორც წესი, ამ ტიპის უპი ხორციელდება განვითარებად ქვეყნებში. ქვეყნები არ უწევენ კონკურენციას ერთმანეთს ასეთი უპის მოსაზიდად (Zhou & Lall 2005, 5), ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია მომსახურების სექტორში (Zhou & Lall 2005, 10). მის მოზიდვაში იფრასტრუქტურა და ინსტიტუციური კანონმდებლობა არ

თამაშობს მნიშვნელოვან როლს (Zhou & Lall 2005, 28). ასეთი ტიპის უპისათავის პოლიტიკური სტაბილურობა არაა ძირითადი საზრუნავი, დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რომელიც წესდება მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ (Schulz 2012, 13), ხორციელდება სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე მიმღები ქვეყნის მთავრობასთან (Schulz 2012, 15-16). ქვეყანამ ის შეიძლება მოიზიდოს პრივატიზაციის მეშვეობით (te Velde 2006, 8). ასეთი ინვესტორი მოტივირებულია ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და მენეჯერული უნარ-ჩვევებით, ქვეყანაში მის მოზიდვას ხელს უწყობს საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზაცია (Prakash, Keshab and Mahua 2011, 110).

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის ხელს უწყობს პროდუქციის რეალიზაციის ზრდა, რის მიღწევასაც ცდილობს ინვესტორი, თუმცა ის არ ცდილობს ამის მიღწევას ფასების შემცირებით, რასაც ინვესტორი მიმღებ ქვეყანაში ცდილობს ხარჯების შემცირებითა და კონკურენციული უპირატესობის მოპოვებით. მსოფლიოში ჭარბობს ასეთი უპიები, რადგანაც მისი განხორციელება არაა რთული და ინვესტორის მიერ მცირე კაპიტალის ფლობის პირობებშიც კი ხორციელდება.

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორი მოტივირებულია სხვადასხვა ხარჯების შემცირებით და ექსპორტის ზრდით. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის მსგავსად მისი განხორციელება მარტივია.

რესურსებზე ორიენტირებული უპის დროს ინვესტორი ცდილობს სარგებლიანობა მოუტანოს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მიმღებ ქვეყანასაც დაეხმაროს მას. ასეთი სახეობის უპი ხორციელდება, რაც აიხსნება იმით, რომ განვითარებად ქვეყნებს მეტი დახმარება ესაჭიროება, ვიდრე განვითარებულებს. მის მოზიდვას ხელს უწყობს მიმღებ ქვეყანაში საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზაცია, რაც დასტურდება საქართველოს მაგალითზე, სადაც არსებობს ლიბერალური საინვესტიციო რეჟიმი, რითაც ქვეყანამ მოიზიდა რესურსებზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

1.5 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოტივაციების ეფექტი და

მახასიათებლები

უპი-ის მოტივაციების ეფექტის განხილვა საჭიროა იმისათვის, რომ მოვიზიდოთ ქვეყნის ინტერესების შესაბამისი ინვესტიციები. ამასთან, უნდა ვიცოდეთ,

კონკრეტული მოტივაციის შემთხვევაში რა ქვემოტივები უბიძგებს ინვესტორებს მოცემული სახეობის ინვესტიციის განხორციელებისკენ.

რესურსებზე ორიენტირებული უპის დროს მიმღებ ქვეყანაში იზრდება დასაქმება, ის ხასიათდება ჩათრევის ეფექტით, ვინაიდან ასეთი უპის დროს წარმოებული პროდუქცია არ მიედინება მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისკენ, იზრდება ადგილობრივი ფირმების ექსპორტი, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ მცირდება მათი წარმოების ხარჯები, ხასიათდება ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპით, კონცენტრაციით ანკლავურ წარმონაქმნებში, ადგილობრივ ეკონომიკაში ინტეგრირაციის დაბალი დონით და ახასიათებს შეზღუდული ეკონომიკური ზრდის ეფექტი.

იმის გამო, რომ ასეთი უპის დროს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია არ ხდება მიმღებ ქვეყანაში, მიიჩნევა რომ ის ხასიათდება მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენით. ასევე მან შეიძლება ჩაითრიოს მიმღები ქვეყანა ე.წ. "ჰოლანდიურ დაავადებაში". ასეთ დროს ინვესტორი მცირე რაოდენობით იძენს ნედლეულს სხვა ფირმებისგან და სხვა ინდუსტრიებისგან, საქონლის წარმოებისას ის დამოკიდებულია ადგილობრივ ნედლეულზე. ოზავასა და კოჯიმას მოსაზრებით, ასეთი უპი იწვევს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უფრო მეტად, ვიდრე ჰორიზონტალური უპი მისი ვაჭრობის ხელშემწყობი ეფექტების გამო, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ის ხასიათდება ეკონომიკურ განვითარებაზე მოკლევადიანი ზეგავლენით. ასეთი უპის ძირითადი ბენეფიციარი არის მთავრობა, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს გადასახადების სახით, რაც, თავის მხრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ასეთი უპის დროს იზრდება მიმღები ქვეყნის დასაბეგრი ბაზა. ის ხასიათდება დემონსტრაციული ეფექტით და ვინაიდან მნკ-ები ჩართულები არიან სავაჭრო ქსელებში, ეს ადგილობრივ ფირმებს აძლევს საშუალებას გავიდნენ ისეთ საექსპორტო ბაზარზე, სადაც მათი პროდუქტი იქნება მოთხოვნადი და რეალიზებადი. ასეთი უპი აბინძურებს მიმღები ქვეყანის ბუნებრივ გარემოს (Mabey & McNally 1999, 15), ხასიათდება რეციპიენტი ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე შეზღუდული დადებითი ზეგავლენით.

ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული უპი ხასიათდება პირველად სექტორში კაპიტალის, ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს გადაცემით. მისი სარგებლიანობა

შეიძლება ადვილად დაექვემდებაროს ადგილობრივ კორუფციულ ელიტას (Nunnenkamp & Spatz 2003, 6), ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული უპი ნეგატიურად მოქმედებს პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხზე იმის გამო, რომ მიმღებ ქვეყანაში არ ხორციელდება შესაბამისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები (Zu Selhausen 2009, 5), მიმღებ ქვეყანაში სიღარიბის დონეს ამცირებს მაშინ, როდესაც მნკ-ები წარმართავენ მას ადგილობრივ კომპანიებთან შეთანხმებით და როდესაც მნკ-ები ასეთი უპის დროს მოქმედებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, აქვს მცირე ზეგავლენა ადგილობრივ ფირმებზე, შრომით ბაზარსა და მომხმარებლებზე.

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ხელს უწყობს იმავე ქვეყანაში ადრე განხორციელებული უპის დადებითი შედეგების ზრდას. ასეთი სახეობის უპიმ შეიძლება დადებითად იმოქმედოს მიმღები ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინვესტორზე. რაც უფრო მაღალია სავაჭრო პირობები (ექსპორტი გაყოფილი იმპორტის ფასებზე), მით უფრო მეტად უწყობს ხელს ასეთი უპი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და შეიძლება მიმდინარე ანგარიშის პროფიციტაც კი მივიღოთ. ეს პრობლემა (მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის) აღმოიფხვრება მაშინ, როდესაც ინვესტორი ძირითადად ეფექტიანობის ამაღლებაზეა ორიენტირებული და გამოდევნის ადგილობრივ ფირმებს ექსპორტის სექტორში, გამოიმუშავებს დამატებით უცხოურ ვალუტას ქვეყნისათვის. იგი ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის განათლების დონე არის დაბალი. თავის მხრივ, იაფფასიანი სამუშაო ძალა არის საჭირო მაშინ, როდესაც ასეთი უპი ხორციელდება იმ ინდუსტრიებში, სადაც იწარმოება იაფი საქონელი. ის იწვევს მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, რადგან ასეთ დროს ინვესტორი უზრუნველყოფს მას ტექნოლოგიითა და ნოუ-ჰაუთი, რომელიც შეესაბამება მიმღები ქვეყნის განვითარების დონეს. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ინვესტორზე და მიმღებ ქვეყანაზე, ვინაიდან ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი იწვევს მწარმოებელთა ექსპორტის კონკურენტულობას და ქვეყნის შეფარდებით უპირატესობას, იძლევა უცხოური ვალუტის გამოიმუშავების საშუალებას, მის საფუძველზე უფრო მარტივია ქვეყნის მიერ საჭირო რესურსების მიღება. დანიინგისა და ნარულას (Skråmestø 2008, 14) აზრით,

ის ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ექსპორტს, ვინაიდან ასეთი უპის დროს ინვესტორი არის ორიენტირებული მსოფლიო ბაზარზე და შესაბამისად მიმღები ქვეყნის უცხოური ვალუტის ზრდას იწვევს.

ასეთი სახეობის უპის განხორციელება ახალი ფორმის დაფუძნების სახით, ხასიათდება დასაქმებისა და შემოსავლის დიდი მოცულობით ზრდით, თუ ის განხორციელდა ისეთ ინდუსტრიებში, რომლებიც იყენებს სამუშაო ძალის დიდ რაოდენობას (Kubny & Hinrich 2018, 6). მაშინ, როდესაც ის განხორციელდება გრინფილდ ინვესტიციების სახით, თანამედროვე ტექნოლოგიითა და მენეჯმენტით, ექსპორტზე ორიენტაციით ის მიმღები ქვეყნის უფრო მეტ განვითარებას გამოიწვევს (Barthel, Busse and Osei 2008, 390), ხასიათდება ადგილობრივი წარმოების კონკურენტულობის გაზრდით (Bonelli 1998, 20), იწვევს დასაქმებას (Bond 2011, 28), ხელს უწყობს მშობელ კომპანიასა და ფილიალს შორის ვერტიკალურ ინტეგრაციას (Nunnenkamp & Spatz 2003, 24).

უპის წარმოების სექტორში აქვს მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი თუ ის ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულის ნაცვლად, არის ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული. მას აქვს დადებითი ეფექტი ადგილობრივ შრომით ბაზარზე (Schulz 2016, 11-12), ვინაიდან ასეთ დროს ინვესტორი მიმღებ ქვეყანაში განათავსებს წარმოების მხოლოდ განსაზღვრულ სტადიას, ხელს უწყობს იმ მომმარაგებელთა ჩამოყალიბებას, რომელთაც ფირმა გამოიყენებს მისი ნედლეულის შესაძენად (Schulz 2016, 11-12), საწარმოო პროცესების გლობალიზაციას (te Velde 2006, 8).

აქტივებზე ორიენტირებული უპი ხასიათდება მიმღები ქვეყნისკენ კაპიტალის სწრაფი მოძრაობით, ასეთი უპის დროს დადებითი ეფექტი შეიძლება გავრცელდეს კავშირების დამყარებით მიმღები ქვეყნის მომხმარებლებსა და მწარმოებლებთან, მათდამი უკეთესი ტექნოლოგიის გადაცემით. ამასთან, უკეთესი ტექნოლოგიის საფუძველზე წარმოების გაუმჯობესება რომ მოხდეს, მიმღები ქვეყანა უნდა ფლობდეს განსაზღვრული რაოდენობის აქტივებს. ასეთ დროს ინვესტორი აწვდის ადგილობრივ ფირმებს ნედლეულს, რომ მათ მომხმარებლებისთვის შედარებით იაფად აწარმოონ მზა პროდუქცია. მან შეიძლება გაზარდოს მიმღები ქვეყნის ექსპორტი, ვინაიდან საბაჟო ტარიფები არის დაბალი, ვინაიდან ინვესტორი მიმღებ ქვეყანაში იაფად იძენს მესამე ქვეყანაში სარეალიზაციო პროდუქციას. მისი ძირითადი სარგებლიანობა

მიმღები ქვეყნისათვის არის ის, რომ იწვევს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ლოჯისტიკის განვითარებას (Mortimore 2003, 5), აძლიერებს საწარმოო პროცესების გლობალიზაციას (te Velde 2006, 8).

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი მიმღებ ქვეყანაში ქმნის რამდენიმე მექანიზმს, რითაც ხელი ეწყო ეკონომიკურ ზრდას და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის აღმოფხვრას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინვესტორი ადგილობრივ ფირმებს გადასცემს ტექნოლოგიას, მენეჯმენტსა და ორგანიზაციულ უნარებს, ის დამოკიდებულია ადგილობრივ ნედლეულზე. იმისათვის, რომ ქვეყანამ ისარგებლოს ასეთი ტიპის უპისგან, მან უნდა გაზარდოს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე. ასეთი უპი მიმღები ქვეყნის მთავრობას არ აძლევს დიდ შემოსავალს, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ინვესტორი ახდენს მისი შემოსავლების რეკატრიაციას. ინვესტორი აწვდის მომხმარებელს იაფ პროდუქციას, იზრდება ადამიანების რეალური შემოსავალი და ასევე ინვესტორის მიერ მიწოდებული პროდუქცია არის უკეთესი ხარისხის, ვიდრე ადგილობრივი ფირმების.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი დადებითად ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის ექსპორტის ინტენსიურობაზე, ხასიათდება ნეგატიური კონკურენციული ეფექტებით (CANTWELL & SMEETS 2008, 8). ასეთ დროს მიმღები ქვეყნის მიერ უპისგან დადებითი ეფექტების მიღება დამოკიდებულია იმ კავშირებზე, რასაც ინვესტორი ამყარებს მწარმოებლებსა და მომხმარებლებთან. მისი ძირითადი სარგებლიანობა მიმღები ქვეყნისათვის არის ის, რომ ინვესტორის მოქმედებები ხორციელდება ძირითადად მიმღებ ქვეყანაში და ხდება ფირმების მიერ სარგებლიანობის მიღება ერთმანეთთან ახლოს განთავსებით. მას გააჩნია ადგილობრივ ეკონომიკაში კონცენტრაციის მაღალი დონე (Skråmestø 2008, 14). ხასიათდება შეზღუდული განვითარების პერსპექტივებით მიმღები ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მნკ არ ახორციელებს სხვა ქმედებას გარდა მარკეტინგისა და რეალიზაციისა (Hanne 2006, 24-25).

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს კაპიტალის შემოდინებას მიმღებ ქვეყანაში, როდესაც ის აქტიურად მიმართავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ პოლიტიკას, როდესაც ინვესტორი

მოტივირებულია ძირითადად ბაზრის ათვისებით. მიმღები ქვეყნის ღიაობა არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის ეკონომიკური ზრდის დადებითი ეფექტის მიღწევაში (Nunnenkamp & Spatz 2003, 36). ნუნენკამპისა და სპაცზის მიხედვით, ასეთი ტიპის უპი მომსახურების სექტორში იწვევს უმნიშვნელო დადებით ეფექტებს, რადგანაც მომსახურების სექტორი ხასიათდება ნაკლებად აშკარა კავშირებით სხვა დარგებთან (Dullien 2005, 146). ასეთი ტიპის უპი ხასიათდება გრძელვადიანი დადებითი ეფექტებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის (Akbar 2004, 89).

ბლომმტრომისა და სჯოჰოლმის მიხედვით (Glass & Saggi 2017, 8), 1991 წელს ინდონეზიაში უცხოური მფლობელობის დონე არ ახდენდა ზეგავლენას ადგილობრივი პარტნიორების მწარმოებლურობაზე. ფაქტობრივად ყველა ემპირიული კვლევის თანახმად, განვითარებად ქვეყნებში უცხოელების მფლობელობაში არსებული ფირმები უფრო მეტად მწარმოებლური არიან, ვიდრე ადგილობრივი, თუმცა მაროკოს შემთხვევაში იყო გამონაკლისიც. ჩინეთში უცხოური ფირმების შესვლა ასოცირდება ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობის ზრდასთან, ეს ასოციაცია კი უფრო ძლიერია, როდესაც უცხოური ფირმები ახორციელებენ მცირე ექსპორტს, ნაკლებად იყენებენ არამატერიალურ აქტივებს და მიმღებ ქვეყანაში ხასიათდებიან რეგულარული შესვლით (Zhang 2007, 18). დადებითი კორელაცია უპისა და ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობას შორის შეიძლება იყოს განპირობებული იმით, რომ მნკ-ები განთავსდებიან იქ, სადაც წარმოების დანახარჯები მცირეა. უცხოური ფირმები არიან ბევრად მწარმოებლური ვიდრე ადგილობრივი ფირმები, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში უპი ამცირებს მწარმოებლურობის სხვაობას ბაზირებისა და მიმღებ ქვეყნებს შორის, რასაც ადასტურებს მრავალი ავტორი (Umoh, Augustine and Chuku 2012, 54). ის, რომ უპი ამცირებს მწარმოებლურობას ბაზირების და მიმღებ ქვეყნებს შორის, აიხსნება იმით, რომ ის ბაზრიდან გამოდევნის დაბალმწარმოებლურ ადგილობრივ ფირმებს ან უბრალოდ იმის გამო, რომ მნკ-ები კონცენტრირდებიან მაღალ მწარმოებლურ ინდუსტრიებში.

მიმღებ ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდას მაშინ ექნება ადგილი, თუ ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიიღებს ახალ ტექნოლოგიას, მენეჯერულ უნარ-ჩვევებს, მარკეტინგულ ნოუ-ჰაუს დასაქმების შანსებსა და წვდომას ბაზარზე. ადგილობრივი ფირმების მიერ მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობა დამოკიდებულია ადგილობრივი ფირმების ტექნოლოგიურ უნარებზე, ადამიან-კაპიტალზე, ეფექტიან და კარგად ფუნქციონირებად ინსტიტუტებსა და ინფრასტრუქტურაზე, რაც, თავის მხრივ, საჭიროა ტექნოლოგიის ასიმილაციისა და მიმღები ქვეყნის შთანთქმითი უნარების გასაზრდელად (Seila 2011, 24).

უნკტადის¹² თანახმად, უპის აქვს მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლურობის ზრდის პოტენციალი. დემონსტრაციული ეფექტით უპის საფუძველზე მწარმოებლურობის ზრდა აიხსნება იმით, რომ ასეთ დროს ადგილობრივი ფირმა იღებს ტექნოლოგიას. უცხოური ინვესტიციები ზრდის სამუშაო ძალის მწარმოებლურობას, ახალი ტექნოლოგიის, თანამედროვე დანადგარების, უკეთესი ცოდნის, გამოცდილებისა და ბიზნესის საწარმოო უნარების გადაცემით. უპი არის მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ვინაიდან იგი გადასცემს ამ ქვეყანას ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუს, ქმნის ახალ ბაზრებს და ხასიათდება დემონსტრაციის ეფექტით. ბელისა და მარტინის თანახმად, უპი ზრდის მწარმოებლურობას მიმღებ ქვეყანაში არა იმ ცოდნის გამო, რასაც გადასცემს მშობელი კომპანია ფილიალს, არამედ იმ ცოდნის საფუძველზე, რასაც ქმნის თვითონ ფილიალი. ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობა იზრდება მაშინ, როდესაც იზრდება იმ წარმოების წილი, რომელსაც იძენს უცხოური ფირმა (Blalock & Gertler 2007, 20). ბორენშტეინის, გრეგორიოსა და ლის (Ehimare 2011, 255) დასკვნით, ინდუსტრიული ქვეყნების უპი განვითარებადში იწვევდა დადებით ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა ისინი მიუთითებენ იმავეს, რომ მიმღები ქვეყანა უნდა ფლობდეს ადამიან-კაპიტალის მინიმალურ დონეს, რომ მიიღოს დადებითი ეფექტი უპისგან.

¹² გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე (უნკტადი) არის გაეროს გენერალური ასამბლეის ძირითადი ორგანო ვაჭრობისა და განვითარების საკითხებში. იგი დაფუძნდა როგორც მუდმივი მთავრობათაშორისო ორგანო 1964 წელს ჟენევაში ჩატარებული კონფერენციის პირველ სესიაზე. მისი დაფუძნება მიზნად ისახავდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და ეკონომიკურ განვითარებას, პირველ რიგში, განვითარებად ქვეყნებში.

გოროდნიჩენკოს, სვეჯნარისა და ტერელის მიხედვით (Lin, Liu and Zhang 2009), უპის აქვს ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე უმნიშვნელო ეფექტი მომსახურების სექტორში. ინვესტორებს ჰონკონგიდან, მაკაოდან და ტაივანიდან, ჩინეთში უნდა გამოეწვიათ ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობის ზრდა მსგავს ინდუსტრიაში. გირმას, გორგისა და პისუს თანახმად (Lin, Liu and Zhang 2009), გაერთიანებულ სამეფოში ადგილობრივი ფირმების უპის საფუძველზე მწარმოებლურობის ზრდა დამოკიდებულია უცხოური ფირმების საექსპორტო ორიენტაციაზე. ასევე ჩანგის (Slaughter 2001, 10) მიხედვით იაპონურს არ გაუზრდია ამერიკული ფირმების მწარმოებლურობა აშშ-ში ტექნოლოგიის გადაცემის საფუძველზე. უპიმ შეიძლება არა მხოლოდ არ გამოიწვიოს ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობის ზრდა, არამედ შეიძლება შეამციროს ის. ეს უკანასკნელი კი ჰარისონისა და აიტკენის (Bayar & Gavriletea 2018) თანახმად, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ფირმებში საკმარისი რაოდენობით არ განხორციელებულა უპი.

მიმღებ ქვეყანაში უპი ხელს უწყობს ადამიან-კაპიტალის ინოვაციური უნარების გაუმჯობესებას. მაგალითად, ჩენგისა და ლინის თანახმად, ასე მოხდა ჩინეთში (Lin, Liu and Zhang 2009, 4). თუმცა გირმას, გონგისა და გორგის თანახმად (Lin, Liu and Zhang 2009, 5), უპის აქვს ნეგატიური ეფექტი ჩინური სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების საინოვაციო საქმიანობაზე.

უპიმ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ის ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობას და გადასცემს ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ უნარებს, ახალი საქონელი და მომსახურების წარმოებისა და ექსპორტის გაფართოების მიზნით. ღარიბ ქვეყანებში უპი იწვევს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს იმის გამო, რომ უცხოური ფირმები ეწევიან იმპორტს და მოგების დიდი ნაწილის რეპატრაციას, რაც ამცირებს ქვეყნის შემოსავალს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება შეიძლება აიხსნას იმით, რომ მსოფლიო ლიდერთა მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქციის მოცულობა თითქმის იგივე ხდება, რაც მიმღები ქვეყნის მიერ წარმოებული იმავე პროდუქციის ოდენობა უპის გამო და შესაბამისად მიმღებმა ქვეყანამ შესაძლოა გაყიდოს

პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მიმღებ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის აღმოფხვრას ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდა. ბალასუბრამანიამის (Umoh, Augustine and Chuku 2012, 54) თანახმად, ეკონომიკურ ზრდაზე უპი ახდენს დადებით ზეგავლენას იმ ქვეყნებში, რომლებიც ხელს უწყობენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას. აღსანიშნავია ერთიც, მიუხედავად იმისა, რომ უპიმ მიმღებ ქვეყანაში შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, იგი ასევე ხასიათდება იმპორტის სტიმულირებით. მაგალითად, კუმარმა და პრადჰანმა აჩვენეს, რომ უცხოური ფირმები ინდურ ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ახდენდნენ წამლების დიდი რაოდენობით იმპორტს და ამ პროდუქციას აგრეთვე ყიდდნენ ადგილობრივ ბაზარზე.

უპიმ შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. "ჰოლანდიური დაავადება" ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში. უპის საფუძველზე არაპირდაპირი გზით ექსპორტის ზრდა აიხსნება იმით, რომ მის დროს იზრდება ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობა. უპის მეშვეობით კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ზრდის გამო, სავაჭრო დეფიციტი არ ქმნის პრობლემას. ის, რომ უპი ამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს დასტურდება იმით, რომ მას აქვს დადებითი ეფექტი საგადასახდლო ბალანსზე, თუმცა იმპორტის ზრდის დროს ქვეყანა იღებს უფრო მეტ სარგებლიანობას უპისგან, ვიდრე ის ქვეყნები, სადაც იმპორტი იზღუდება. უპის გამო გამოწვეული ექსპორტი ხასიათდება წარმატების დიდი ალბათობით. უპის წვლილი ექსპორტის ზრდაში დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში ინვესტორის შესვლის მოტივაციაზე, ხოლო ინვესტორის მოტივი დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სურს მიმღებ ქვეყანას ექსპორტის განხორციელება. უპი ინდოეთში, ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკის სექტორებში ზრდიდა ქვეყნის ექსპორტს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ უპის საფუძველზე იზრდება ქვეყნის ექსპორტი. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დანიურ ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ის უცხოური ფირმები, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებული არიან, თუმცა ბალასუბრამანიამის და ასევე მორანის (Prasanna 2010, 66) მოსაზრება ეწინააღმდეგება დანიაში არსებულ მდგომარეობას, რაც არ შეესაბამება იმ მოსაზრებას,

რომლის თანახმადაც ექსპორტზე ორიენტირებული უპი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი უფრო მეტად განვითარებული ევროპული ქვეყნებისათვის. თუმცა საწინააღმდეგო სიტუაციაა ესტონეთში, როგორც ამას აღნიშნავს ესტონეთის მთავრობა. ის, რომ დანიურ ეკონომიკაზე უარყოფითი ეფექტები წარმოიქმნება იმ უცხოური ფირმებისგან, რომლებიც არიან ექსპორტზე ორიენტირებული, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მნკ-ის ინტერესებში არ შედის ადგილობრივი მომხმარებლების მხარდაჭერა, როდესაც ისინი ორიენტირებულია ექსპორტზე და ასევე ასეთი მნკ-ები უფრო მწარმოებლურია ვიდრე ადგილობრივი ფირმები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი ფირმების ბაზრიდან განდევნას. უპის მოზიდვით ქვეყნის კომპანიების ექსპორტი ხდება უფრო წარმატებული იმის გამო, რომ ისინი სწავლობენ მნკ-ისგან და აუმჯობესებენ ხარისხსა და ფასს (Blalock & Gertler 2007, 403).

უპის საფუძველზე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება ხდებოდა ბუნებრივი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით. ზოგიერთი ავტორის თანახმად (Prasanna 2010, 66), ექსპორტზე ორიენტირებული უპი იწვევდა ადგილობრივი ფირმების საექსპორტო მოქმედებებში ჩათრევას და მათ ექსპორტზე ორიენტირებას, თუმცა ბარიოსის, რუანისა და სუზერლანდის თანახმად (Prasanna 2010, 66), საპირისპირო სურათი იყო ესპანეთსა და ირლანდიაში. ის, რომ უპი ასოცირდება მიმღები ქვეყნის ექსპორტთან, დასტურდება იმით, რომ ის ფირმები, რომელთაც ნაწილობრივ ან მთლიანად ფლობენ მნკ-ს ხასიათდებიან ექსპორტისა უფრო მაღალი დონითა და მიდრეკილებით. მაგალითად, მექსიკასა და არგენტინაში, სადაც იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა ტარდება, ბევრი უცხოური ფირმის გამო მოხდა ექსპორტის ზრდა. ალტომონტესა და გუაგლიანოს კვლევებით უპი ზრდის ადგილობრივი ფირმების ექსპორტს (Šabić & Vujadinović 2012, 67). იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი დიდი ინვესტორი ინდივიდუალურად წარმოადგენდა ქვეყნის ექსპორტის დიდ წილს (8%-მდე) (Szalavetz 2004, 28). უნკტადის თანახმადვე უპის აქვს მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში ექსპორტის გაზრდის დიდი პოტენციალი (Skråmesto 2008, 11). აღმოსავლეთ ჩინეთში უპი ხელს უწყობს ექსპორტს, რომლის ზრდის შემთხვევაშიც აქ შემოედინება დამატებითი უპი, თუმცა ცენტრალურ ჩინეთში უპი არ უზიბებს ამ ქვეყანას ექსპორტის განხორციელებისკენ. ასევე უპიმ გამოიწვია

ექსპორტი კამბოჯიდან და ვიეტნამიდან. ვიეტნამში ინვესტორი ნაკლებად ახორციელებს იმპორტს, ვიდრე ადგილობრივი სექტორი (Seila 2011, 5).

ზოგჯერ უპი აუარესებს საგადასახდელი ბალანსს, მიუხედავად იმისა, რომ ანაცვლებს იმპორტს. ზოგიერთი უცხოური ფირმა ორიენტირებულია ექსპორტზე, ზოგიერთი კი არა. ხოლო ბლომშტრომისა და კოკოს თანახმად უპი იწვევს ექსპორტს მიმღები ქვეყნიდან ინვესტიციის დაბანდებიდან მოკლევადიან პერიოდში (Skråmesto 2008, 13).

ის, რომ უპიმ შეიძლება შეამციროს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი დასტურდება იმითაც, რომ უპი საშუალებას აძლევს მიმღებ ქვეყანას, გაყიდოს მან უფრო მეტი საერთაშორისო ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ უპიმ შეიძლება გაზარდოს მთლიანი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და ამის გამო ექსპორტი ხანგრძლივი პერიოდით შეიძლება იყოს წარმატებული.

უპის დროს ინვესტორი უფრო მაღალ ხელფასს უხდის სამუშაო ძალას ვიდრე ადგილობრივი ფირმა, რადგანაც ისინი არიან უფრო მეტად მწარმოებლური, რაც, თავის მხრივ, აიხსნება უფრო დიდი მნიშვნელობის ნოუ-ჰაუთი და თანამედროვე მენეჯერული უნარ-ჩვევებით. უპიმ შეიძლება შექმნას როგორც მაღალანაზღაურებადი, ასევე დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები. მაგალითად, როგორც ეს მოხდა იმ უპის დროს, რომელიც დაბანდდა სავაჭრო მომსახურებაში (Foreign Direct Investment (FDI) in Tradable Services გვ.6).

არსებობს ენდოგენურობა უპის დროს გადახდილ მაღალ ხელფასსა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულ განათლებას შორის. ბორენშტეინმა და სხვებმა (Ehimare 2011, 259) დაამტკიცეს, რომ არსებობს მაღალი დადებითი კავშირი უპისა და მიმღებ ქვეყანაში განათლების სტანდარტებს შორის.

რუმინეთისა და უკრაინის შემთხვევაში ადგილობრივი ფირმები იყენებენ ნაკლებ სამუშაო ძალას იქ, სადაც არის უცხოური ფირმების დიდი რაოდენობა, რაც შესაძლებელია აიხსნას კორუფციის მაღალი დონით, ხოლო რუსეთში ადგილობრივი ფირმები იყენებენ უფრო მეტ ადგილობრივ სამუშაო ძალას იქ, სადაც დაბანდებულია უპი, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ რუსული ფირმები იცავენ თავს უცხოური კონკურენციისგან. რუმინეთისა და უკრაინის ანალოგიური სიტუაციაა პოლონეთში.

გარდა ამისა, პოლონეთის იმ რეგიონებში სადაც განათლების დონე შედარებით დაბალია, ის ფირმები, სადაც უცხოელები არიან უფრო მეტად მწარმოებლურია, ვიდრე ადგილობრივი ფირმები (Tytell & Yudaeva 2005, 14).

ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით უპი მიიჩნევა ადამიან-კაპიტალის მნიშვნელოვან წყაროდ, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ უპი იწვევს მიმღებ ქვეყანაში ადამიან-კაპიტალის გადაცემას, მკ-იდან ადგილობრივ ფირმაში ინაცვლებს კვალიფიციური სამუშაო ძალა.

უპი ზოგჯერ იწვევს გარემოს დაბინძურებას, რაც იმით აიხსნება, რომ უპის გამო ინფრასტრუქტურაში არ ხდება თანხების ინვესტირება. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც უპის მოაქვს სარგებლიანობა ინფრასტრუქტურისათვის და ასევე იწვევს გარემოს გაუმჯობესებას ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ნაკლებად აზიანებს მას. ზოგჯერ უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით ქვეყანები არბილებენ გარემოსდაცვით რეგულაციებს. საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ოპონენტები ამტკიცებენ, რომ არსებობს ენდოგენურობა უპისა და გარემოს რეგულაციების სიმკაცრეს შორის.

უპი ასოცირდება ეკონომიკურ განვითარებასთან, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ არის დადებითი კორელაცია უპისა და მოსახლეობის კეთილდღეობას შორის, თუმცა გოროდნიჩენკოს, სვეჯნარისა და ტერელის (Lin, Liu, and Zhang 2009, 4) თანახმად, აღნიშნული დადებითი ეფექტი არსებობს მხოლოდ მომსახურების სექტორში.

უპის დროს ხდება ტექნოლოგიის გადაცემა იმისათვის, რომ შემცირდეს ფასები და გაიზარდოს პროდუქციის ხარისხი, რაც ხელმისაწვდომია როგორც მკ-ისათვის, ასევე მისი კონკურენტებისათვის. მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე უპის მეშვეობით დასტურდება ასევე მსოფლიო ბანკის კვლევებით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანებმა სცადეს უპი-ს მოზიდვა იმისათვის, რომ ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის მიეღწიათ (Dejan & Vujadinović 2012, 67). უპიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკურ განვითარებაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში კონკურენციის ზრდის საფუძველზე, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ამ ქვეყნების კეთილდღეობისა და სიმდიდრის ზრდა (Dejan & Vujadinović 2012, 72).

თუმცა სინგერის თანახმად, უპი პირველად სექტორში, როგორცაა სამთო მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება, განვითარებად ქვეყნებში ხასიათდება ნაკლები მწარმოებლურობის ზრდით. ჩენერისა და სტოუტის თანახმად (Umoh, Augustine and Chuku 2012, 56), უპის ნიგერიაში უარყოფითი ეფექტი აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე.

მენსფილდის, რომეოსა და სმარზინკას თანახმად, უპის აქვს ახალი ტექნოლოგიის გავრცელების უფრო მაღალი პოტენციალი, ვინაიდან განვითარებად ქვეყნებში არის სუსტი ბაზა იმ სექტორებში, რომლებიც იყენებს ამ ტექნოლოგიას (BRAITHWAITE & GREENIDGE 2005, 174). ჯულიოსენის (Skråmestø 2008, 29) მიხედვით, მიმღები ქვეყნის უნარი, ისარგებლოს უპისგან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საწარმოო მეთოდს იყენებენ ადგილობრივი ფირმები. აქვე აღსანიშნავია ის, რომ ტექნოლოგიის გადაცემა შეიძლება არ მოხდეს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე, როცა აქ არ არის საკმარისი დონის ადამიან-კაპიტალი (Prasanna 2010, 67). უცხოური ფირმები უფრო მაღალ ხელფასს უხდიან იმ მენეჯერებს, რომლებმაც სხვა კომპანიებში გადასვლით შეიძლება გათქვან ტექნოლოგიური სიახლეები (Blalock & Gertler 2007, 4). უცხოური ფირმებისგან ადგილობრივი კონკურენტებისადმი ტექნოლოგიის გადაცემა ყველაზე ხშირად ხდება იმ ფირმებს შორის, რომლებიც გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ (Blalock & Gertler 2007, 14). ტექნოლოგიის მიღებაში ადგილობრივი მომმარაგებლების მიერ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კავშირები მწკ-ებსა და ამ მომმარაგებლებს შორის, რაც დასტურდება იმით, რომ ადგილობრივი ფირმები აყალიბებენ სტრატეგიულ ალიანსებს ტწკ-ებთან იმისათვის, რომ გაიზარდოს მათი ტექნოლოგიური განვითარების დონე. აღნიშნული დასტურდება აფრიკის მაგალითზე, რომელმაც მოიზიდა უპი ანკლავურ წარმონაქმნებში და შესაბამისად მოხდა ცოტა ცოდნის გადაცემა ადგილობრივ ფირმებზე (UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT 2005, 20). ექსპორტზე ორიენტირებულ უცხოურ ფირმებს ადგილობრივ ეკონომიკასთან გრძელვადიანი კავშირების დამყარების უფრო მაღალი პოტენციალი აქვთ და შესაბამისად იზრდება ამ ფირმებისგან ადგილობრივ ფირმებზე ცოდნის გადაცემის პოტენციალი, ასევე მათ გადაეცემათ ინფორმაცია იმისათვის, რომ შევიდნენ საექსპორტო ბაზარზე. თუმცა საარემაში დანიური ფილიალის ექსპორტზე დიდად ორიენტირების მიუხედავად, აღნიშნული ფილიალი

იშვიათად იყენებდა ადგილობრივ მომმარაგებლებს და არ თანამშრომლობდა მათთან (Skråmestø 2008, 72). ადგილობრივ ფირმებსა და მომმარაგებლებთან არ თანამშრომლობდნენ ასევე პირდაპირი უცხოელი ინვესტორი ელექტრონული კომპანიები, თუმცა ფინური კომპანია „სტორა ენსო“, რომელსაც ჰყავს ფილიალები ესტონეთში, თანამშრომლობს ადგილობრივ მომმარაგებლებთან, რომლებიც ყიდიან მის ხე-ტყის მასალებს (Skråmestø 2008, 16). ის ფილიალები, რომლებიც იყენებენ კვალიფიციურ მუშახელს, ხასიათდებიან უფრო ღრმა კავშირებით, ვიდრე ისინი ვინც არ იყენებენ მას (Skråmestø 2008, 53). ესტონეთში უცხოური ელექტრონული კომპანიებისა და ნავმშენებელი კომპანიების ძირითადი წილი ღრმა კავშირებს ამყარებდა ადგილობრივ კომპანიებთან (Skråmestø 2008, 77), ხოლო ის ფილიალი,[აქამდე] რომელსაც მართავს მშობელი კომპანია და რომლებიც ფლობენ ნაკლებ განათლებას, ნაკლებ კავშირებს ამყარებენ ადგილობრივ ფირმებთან (Skråmestø 2008, 76). ტექნოლოგიის საფუძველზე მიღებული სარგებლიანობა იქნება უფრო მაღალი, როდესაც მიმღები ქვეყანა ფლობს ადამიან-კაპიტალს (Mazhar 2016, გვ.121).¹³

მიღებული ტექნოლოგიისგან სარგებლიანობა დამოკიდებულია ასევე მიმღები ქვეყნის პოლიტიკაზე, მწარმოებლურ აქტივებზე, ინფრასტრუქტურასა და ორგანიზაციებზე (Laura და სხვები. 2003, 3). ინვესტორის ტექნოლოგიისგან სარგებლიანობის მიღებაში ადგილობრივი ფირმები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიმღები ქვეყნის განვითარების დონეს (BRAITHWAITE & GREENIDGE 2005, 180). მორანის თანახმად, უცხოური ფირმების ადგილობრივი მომმარაგებლები მნიშვნელოვნად სარგებლობდნენ უპის საფუძველზე მიღებული ცოდნისგან (Pradhan 2006, 4) ასევე ტექნოლოგიის გადაცემას სარგებლიანობა მოაქვს ადგილობრივი ექსპორტიორებისათვის (Blalock & Gertler 2007, 18). მიღებული ტექნოლოგიისგან სარგებლიანობა წარმოადგენს მაღალ მოგებას. უპისგან ეფექტები კვლავ დამოკიდებულია კავშირებზე ფილიალსა და ადგილობრივ მომმარაგებლებს შორის

¹³ Mazhar M. Islam, The Role of FDI, R&D Expenditures, Financial Institutions, and International Trade on Economic Growth in Selected Developing Countries: An Empirical Analysis, Phd, Alabama A&M University. გვ.1.

(Skråmestø 2008, 13). აღსანიშნავია, რომ ყოველთვის არ მყარდება კავშირები მნკ-ებსა და ადგილობრივ მომმარაგებლებს შორის.

კუმარის თანახმად, ცოდნის გადაცემის დონე და მისი დიფუზია მიმღებ ქვეყანაში არის ვერტიკალური ინტეგრაციის პროპორციული (Pradhan 2006, 3), თუმცა ზოგიერთი კვლევის მიხედვით, უცხოური ფირმები ადგილობრივ ფირმებს მცირე ცოდნას გადასცემენ და ზოგჯერ ამცირებენ კიდევაც მას, რაც, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ მნკ-ამ შეიძლება არ მიიღოს მხედველობაში გაზრდილი კონკურენციის სოციალური სარგებლიანობა. თუმცა ყველა უცხოური ფირმა არ ეწევა ერთი და იგივე დონემდე კვლევასა და განვითარებას, მაგალითად ინდოეთში უპის დროს ინვესტორის კვლევისა და განვითარების შედეგი არის მნიშვნელოვნად დაბალი, ასევე მაღალხარისხიანი უცხოური ფირმები არიან უფრო მეტად ექსპორტზე ორიენტირებული და ეწევიან კვლევასა და განვითარებას უფრო მეტად, ვიდრე დაბალხარისხიანი უცხოური ფირმები (Pradhan 2006, 15). ხოლო მაღალხარისხიანი ფილიალის შექმნა და შესაბამისად კვლევისა და განვითარების განხორციელება დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში არსებულ სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებზე, ძლიერ ინდუსტრიულ და მომსახურე ფირმებზე, კლასტერებსა და ძლიერ მხარდამჭერ ინსტიტუტებზე, ასევე განვითარებულ რესურსებსა და დაწესებულებებზე.

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულმა უპიმ შესაძლებელია უფრო მეტად გადასცეს მიმღებ ქვეყანას ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ (Seila 2011, 31). ლალისა და ნარულას მიხედვით, მნკ-ების როგორც კაპიტალისა და ტექნოლოგიის წყაროს როლი დროთა განმავლობაში გაიზარდა (Skramesto 2008, 11). ჯაკობსენი და სხვები მიუთითებენ, რომ უპიმ ადგილობრივ საწარმოებში შეიძლება გამოიწვიოს ცოდნის, კომპეტენციის, წარმოებისა და პრაქტიკის გაღრმავება, თუმცა, იმავე ავტორების თანახმად, უპის ხანგრძლივმა ეფექტებმა შეიძლება გამოიწვიოს ინოვაციის, ეკონომიკური და რეგიონული განვითარების შეზღუდვაც (Skramesto 2008, 19). ადგილობრივი ფირმა ცოდნას იღებს ასევე იმ კვალიფიციური მუშახელის მეშვეობით, რომელიც გადადის უცხოური ფილიალიდან (Skramesto 2008, 52).

ტექნოლოგია შეიძლება მნკ-ისგან ადგილობრივ კონკურენტებს გადაეცეთ შემდეგი გზით: მნკ-ამ შეიძლება ასტიმულიროს საერთაშორისო სავაჭრო ბროკერების,

საკონსულტაციო და საბუღალტრო ფირმების შემოსვლა, რაც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ადგილობრივი ფირმებისათვის (Blalock & Gertler 2007, 4). ხოლო ტექნოლოგიის გადაცემით მიმღებ ქვეყანაში გროვდება კაპიტალი. ასევე ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ უნდა მოიზიდოს უპი ვინაიდან იგი დაეხმარება მათ იმ ტექნოლოგიის მიღებაში რაც მათ არ გააჩნიათ (Lin, Liu and Zhang 2009, 1). თუმცა, რიგ შემთხვევაში, პოლონეთში ინვესტორები არ გამოირჩეოდნენ ტექნოლოგიის გადაცემით. უპის საფუძველზე ვრცელდება ტექნოლოგია განვითარებულიდან განვითარებად ქვეყნებზე, რომელიც დიდად სასარგებლოა უკანასკნელებისათვის კოსა და ჰელფმენის დასკვნების შესაბამისად (Lee 2012, 4).

იმისათვის, რომ უპის საფუძველზე მიმღებმა ქვეყანამ მიიღოს სარგებლიანობა, მან უნდა გააუმჯობესოს რეგულაციები და პროცედურები, შექმნას უპის შემოდინებისათვის ხელშემწყობი გარემო. უპი, რომლის მიზანია ადგილობრივი ბაზრის ათვისება, აძლევს უფრო მეტ შესაძლებლობას მიმღები ქვეყნის მთავრობას, რომ დააწესოს უფრო მკაცრი პოლიტიკა, იმ უპიზე, რომლის მიზანია მესამე ქვეყნის ბაზრის მომსახურება. ის, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა შეიძლება არ მოხდეს, რაც აისახება ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავალში, სადაც განხორციელდა პირდაპირ უცხოური ინვესტიციები, დასტურდება ასევე ბლომშტრომისა და კოკოს კვლევებში (Skråmestø 2008, 20). ბლომშტრომის თანახმად, იმისათვის, რომ მიმღებმა ქვეყანამ მიიღოს უპისგან სარგებლიანობა, იგი უნდა ფლობდეს ადგილმდებარეობის უპირატესობებს. ბლომშტრომის მოსაზრებას ადასტურებს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში უპის ბუმი 1997 წლამდე, რომელმაც აჩვენა ის, რომ უპის სარგებლიანობა დამოკიდებულია მოსახლეობის შემოსავალსა და შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სამუშაო ძალის ზრდაზე.

უპი ავითარებს ადამიან-კაპიტალს უფრო მეტად, ვიდრე მოკლევადიან პერიოდში ადგილობრივი ფირმები, ზრდის სამუშაო ადგილებს და შესაბამისად ამცირებს უმუშევრობას. ბლონიგენისა და სლაუტერის (ODI 2002, 2) თანახმად, მწკ-ების საქმიანობა არ იყო მნიშვნელოვნად კორელირებული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასთან შეერთებული შტატების საწარმოო სექტორში. ინდუსტრიები,

რომლებმაც ვერ მოიზიდეს უპი-ს მნიშვნელოვანი მოცულობა დაზიანდნენ კაპიტალის ნაკლებობით, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუშალა ინვესტიციების დაბანდებას ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში (Szalavetz 2004, 195). უპი უფრო მეტად იწვევს დასაქმებასა და უმუშევრობის შემცირებას ღია ეკონომიკაში, რაც დასტურდება ასევე ბალასუბრამანიამის (<http://www.ukessays.com/essays/economics/negative-effects-of-fdi-in-host-countries-economics-essay.php>) მოსაზრებით.

უპის ეფექტების სხვადასხვაობა აიხსნება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონით. თუმცა უპისგან ეფექტები დამოკიდებულია არა მხოლოდ მიმღები ქვეყნის, არამედ ინვესტორის მახასიათებლებზე. გრინფილდ და ბრაუნფილდ ინვესტიციები პროდუქციის წარმოებისას უდიდეს ეფექტებს იწვევენ თუკი მიმღებ ქვეყანაში არის შესაბამისი პირობები (Skramestø 2008, 53). იმ ქვეყნებმა, რომელთაც აქვთ უკეთესი ფინანსური ბაზარი, შეიძლება უპი გამოიყენონ უფრო ეფექტიანად და მიაღწიონ უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას (Gaurav 2015, 422). (ჩრდილოეთ ირლანდიაში იმ უპიმ, რომელიც განხორციელდა სავაჭრო მომსახურებაში, გამოიწვია დასაქმების მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა გაერთიანებულ სამეფოში ბევრად ნაკლები. უპიმ, რომელიც განხორციელდა სავაჭრო მომსახურებაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში უზრუნველყო ხაზინა 311 მილიონი ფუნტი სტერლინგით, საიდანაც თანხები გაიცემოდა განათლებაზე, ხოლო განათლებულები ზრდიდნენ დასაქმებას. უნკტადის თანახმად, 2016 წელს ტნკ-ის ფილიალებმა დაასაქმეს 19 მილიონი ადამიანი განვითარებად ქვეყნებში (CIVIL SOCIETY ORGANISATION 2017, 5), თუმცა ჩუანგისა და ლინის (Lee 2012, 13) თანახმად, უცხოური ფირმები ხელს უწყობს კადრების დენადობის ზრდას, რომელიც თავის მხრივ ამცირებს ადგილობრივი ფირმების მოტივაციას, რომ აიყვანონ სამსახურში ტექნიკური ექსპერტები. ჩინეთში ინვესტორები ჰონკონგიდან, მაკაოდან და ტაივანიდან ასაქმებდნენ სამუშაო ძალას დიდი ოდენობით (LIN, LIU and ZHANG 2009, 2). თუმცა განაში უპის მასიურად შემოდინებას არ გამოუწვევია აქ დასაქმების მნიშვნელოვნად ზრდა, რაც აიხსნება იმით, რომ აქ ის განხორციელდა შერწყმებისა და შთანთქმების სახით (ODI 2002, 1) ამ უკანასკნელს კი ადასტურებს ის, რომ გრინფილდ და არა ბრაუნფილდ ინვესტიციებს ექნება უფრო მეტი დადებითი ეფექტი დასაქმებაზე. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი: (ცხრ.6)

ქვეყანა	კვარტილური რანჟირება დასაქმებისა უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად 2009 წელს	2009 წელს შესაბამის ქვეყანაში დაბანდებული გრინფილდ ინვესტიციების რაოდენობა
ჩეხეთი	1	129
რუმინეთი	1	212
ჰონ კონგი ჩინეთი	1	283
პოლონეთი	1	246
გაერთიანებული სამეფო	1	1123
ირლანდია	1	177
შრი ლანკა	1	23
ლუქსემბურგი	1	16
დომინიკის რესპუბლიკა	4	13
ბოსნია ჰერცეგოვინა	4	20
ჰონდურასი	4	7
იამაიკა	4	3
ურუგვაი	4	8
რუსეთი	4	411
ბარბადოსი	4	1
ვენესუელა	4	17
პარაგვაი	4	3
ბაჰამის კუნძულები	4	2
ბერმუდი	4	1

წყარო: Web table 33. Country rankings by FDI Contribution Index, 2009 და UNCTAD, world investment report 2012, TOWARDS A NEW GENERATION OF INVESTMENT POLICIES, გვ.227-230 ის დამუშავების შედეგები

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩეხეთი, რუმინეთი, ჰონ კონგი ჩინეთი, პოლონეთი, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია იმყოფებოდნენ პირველ ადგილზე უნკტადის

უპის კონტრიბუციის ინდექსის დასაქმების კვარტილური რანჟირების მიხედვით და ეს ქვეყნები დომინიკის რესპუბლიკის, ჰონდურასის, იამაიკის, ურუგვაის, ბარბადოსის, ვენესუელის, პარაგვაის, ბაჰამის კუნძულებისა და ბერმუდთან შედარებით ილებდნენ ბევრად უფრო მეტ პირდაპირ დადებით ეფექტებს დასაქმებაზე უცხოელი პირდაპირი ინვესტორებისგან რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ქვეყნების ნახსენებ პირველ ჯგუფში ბევრად უფრო მეტი გრინფილდ ინვესტიცია დაბანდდა ვიდრე მეორე ჯგუფში. გრინფილდ ინვესტიციები მნიშვნელოვნად ასტიმულირებს დასაქმებას მიმღებ ქვეყანაში ბრაუნფილდ ინვესტიციებთან შედარებით (NDORICIMPA 2009, 50).

თუმცა აქვე დაისმის შეკითხვა თუ რატომ ჰქონდა უპის უფრო მეტი პირდაპირი დადებითი ეფექტი დასაქმებაზე ლუქსემბურგში ვიდრე რუსეთში მაშინ როდესაც ლუქსემბურგში ბევრად ნაკლები გრინფილდ ინვესტიცია იქნა დაბანდებული ვიდრე რუსეთში. პირველ რიგში უპის დადებითი ეფექტი დასაქმებაზე უფრო მაღალია მაშინ, როდესაც უპი ბანდდება შრომატევად დარგებში (Basnett & Sen 2013, 29). რუსეთში 2009 წელს ზოგიერთ შრომატევად დარგში უპის პროცენტული განაწილება შემდეგნაირია: სოფლის მეურნეობა (უმნიშვნელოვანესი შრომატევადი დარგი)-0.6%, სამთო მრეწველობა-12.6%, მშენებლობა-1.2%. (Latypova 2011, 202) ანუ, როგორც აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს 2009 წელს რუსეთში ზოგიერთმა შრომატევადმა დარგმა მცირე მოცულობის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია მოიზიდა. მეორე რიგში 2009 წელს რუსეთსა და ლუქსემბურგში დაბანდდა თითქმის თანაბარი ზომის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია. მესამე რიგში, ის უცხოელი ინვესტორები, რომლებიც აბანდებენ ინვესტიციებს ლუქსემბურგში, ხშირად აღნიშნავენ, რომ მთავარი მიზეზი რის გამოც ისინი აქ უპის აბანდებენ არის შრომითი კავშირები (ონლაინენციკლოპედია ვიკიპედია, https://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Luxembourg). ასეთი შრომითი კავშირები არის სიმბიოზური ანუ ორივე-დამსაქმებლისა და დასაქმებულისათვის სარგებლიანობის მომტანი, რის გამოც ინვესტორებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ზომით დაესაქმებინათ ადამიანები ლუქსემბურგში.

ასევე იბადება შეკითხვა - რამ განაპირობა ის, რომ შრი ლანკაში ინვესტორებს ჰქონდათ ბევრად უფრო მეტი პირდაპირი დადებითი ეფექტი დასაქმებაზე ვიდრე

ბოსნია ჰერცეგოვინაში მაშინ როდესაც ორივე ქვეყანაში დაბანდა თითქმის თანაბარი ზომის გრინფილდ ინვესტიციები. ამაზე პასუხი გამომდინარეობს შემდეგიდან: მნიშვნელოვანმა ექსპორტის სტიმულებმა შესაძლოა განაპირობოს ქვეყანაში უპის შემოდინება შრომატევად დარგებში (Basnett & Sen 2013, 30). 2009 წელს რომ შევადაროთ ამ ორი ქვეყნის ექსპორტის მოცულობა (რაც მეტია ექსპორტი შესაძლოა მით მეტად ხდება ექსპორტის სტიმულირება) შრი ლანკამ განახორციელა 2-ჯერ უფრო მეტი ექსპორტი ვიდრე ბოსნია ჰერცეგოვინამ (WITS ის მონაცემთა ბაზა, სავაჭრო ინდიკატორები, ბოსნია ჰერცეგოვინა, 2009 წელი). აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა შრი ლანკას მოეხიდა უფრო მეტი უპი შრომატევად დარგებში და ამიტომ ეთამაშა აქ უპის უფრო მეტი პირდაპირი დადებითი ეფექტი დასაქმების ზრდაში.

გრინფილდ ინვესტიციები ქმნის დაუყოვნებლივ და ხანგრძლივ ეფექტს, ამიტომ არიან ისინი ყველაზე სასურველი. ასევე ის, რომ გრინფილდ ინვესტიციები არის უკეთესი ვიდრე ბრაუნფილდი შესაძლოა აიხსნას იმ ქეისით, რომ იყო შემთხვევები, როდესაც უცხოელი ინვესტორი არ იყო დაინტერესებული შეძენილი პოლონური ფირმის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შემძენი ფირმა არ სარგებლობდა მისი ბაზირების ქვეყნის წარმოებით¹⁴ (Brzozka, 33). უნკტადი ამტკიცებდა, რომ გრინფილდ და ბრაუნფილდ ინვესტიციებს შორის სხვაობა ქრება გრძელვადიან პერიოდში (Pradhan 2006, 5).

მნკ-ები მოსახლეობის კეთილდღეობას არაპირდაპირი გზებითაც ზრდიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ მნკ აიძულებენ მთავრობას, გაზარდოს მოსახლეობის ცოდნის დონე. ის, რომ უპი ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას, აიხსნება ასევე იმით, რომ მნკ-ები იწვევენ კონკურენციას და შესაბამისად იზრდება ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობა და მცირდება მათი ფასები ტექნოლოგიის გავრცელების საფუძველზე. თუმცა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის მხოლოდ დაბალი ფასები არაა საკმარისი. მოსახლეობის შემოსავალი უნდა იყოს

¹⁴ Katarzyna Brzozka, 'Phenomenon of Foreign Direct Investment- its Role and Impact on the Receiving Country-the Case of Poland', გვ.33.

საკმარისი იაფი პროდუქციის შესაძენად. უპის ჭარბად შედინებამ ინდოეთში გამოიწვია ინფლაცია.

უპი ხასიათდება ტექნოლოგიის გადაცემით მიმღები ქვეყნისადმი, რაც იწვევს მოთხოვნილების ზრდას კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, როგორც მნკ-ის ფილიალებში, ასევე ადგილობრივ ფირმებში. უპის საფუძველზე ირლანდიაში შეიქმნა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის რამდენიმე პირობა. მიმღები ქვეყნის შემოსავალი იზრდება მნკ-ის ეკონომიკური აქტივობის ზრდის საფუძველზე (Slaughter 2001, 10), ხოლო შემოსავლის ზრდა იძლევა სამუშაო ძალის განათლების ამაღლების საშუალებას.

უპი იწვევს კეთილდღეობას მიმღებ ქვეყანაში კაპიტალის გადაცემით. უპიმ გამოიწვია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა ქვესაჰარულ აფრიკაში. ასევე, ერთ-ერთი ავტორის თანახმად, უპის საარემაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის კეთილდღეობისათვის (Skråmestø 2008, 77). უპი აწვითარებს ადამიან-კაპიტალს მაგალითად, ქვესაჰარულ აფრიკაში. ქვესაჰარულ აფრიკაში უპი ქმნის ფაქტორს ეკონომიკური ზრდისათვის. სწორედ ამ ფაქტორის გამო გაიზრდებოდა ამ ქვეყნის მინიმუმ 3 სექტორში დასაქმებული მოსახლეობის კეთილდღეობა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც უპის დროს მოსახლეობის კეთილდღეობის კონცენტრაცია იყო საზიანო. ასევე მოსახლეობის კეთილდღეობა შეიძლება გაიზარდოს უპის საფუძველზე, როდესაც მიმღებ ქვეყანაში არის მაღალი საგადასახადო განაკვეთი. უპის შედინება ქვესაჰარულ აფრიკაში გამოიწვევდა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. უპი აწვდის ქვეყანას დამატებით უცხოურ კაპიტალს იმისათვის, რომ ქვეყანაში მოისპოს უკიდურესი სიღარიბე და შიმშილობა (Chowdhury and Mavrotas 2006, 2). (უპის საფუძველზე უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილობის მსოპობა დასტურდება იმით, რომ უპი ამცირებს ფასებს მიმღებ ქვეყანაში, ფასების შემცირება კი უპის საფუძველზე იმით აიხსნება, რომ პირდაპირი უცხოელი ინვესტორი გადასცემს ტექნოლოგიას. მაგალითად, არსებობდა აშკარა და შესაბამისი დადებითი ეფექტები ჩინურ მზა პროდუქციის დამამზადებელ ფირმებზე. დეგრეგორიოსა და გუიდოტის (Balamurali & Bogahawatte 2004, 37) თანახმად, პირველ რიგში ფინანსურ ბაზარსა და ბანკებს უნდა

მიეცეთ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა და მხოლოდ ამის მერე გაიზრდება მოსახლეობის კეთილდღეობა მიმღებ ქვეყანაში უპის საფუძველზე.

აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის უცხოური ფირმების ცოდნის დონე არ უნდა უდრიდეს ადგილობრივი ფირმების ცოდნის დონეს, რასაც ადასტურებს ერნსტის (Prasanna 2010, 67) მოსაზრება, რომლის თანახმადაც უპის სარგებლიანობა იყო მცირე იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ფირმები ფლობდნენ დიდ უნარებს. უპის დადებითი ეფექტი ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე აიხსნება იმით, რომ ინვესტორს აქვს უპირატესობა ადგილობრივ ფირმებთან მიმართებაში უკეთესი ცოდნისა და მენეჯერული უნარების მიხედვით.

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ხელს უწყობს იმავე ქვეყანაში ადრე განხორციელებული უპის დადებითი ეფექტების ზრდას. ასეთი სახეობის უპიმ შეიძლება დადებითი ზეგავლენა მოახდინოს მიმღები ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინვესტორზე. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პრობლემის გადაჭრის მიზნით ასეთი უპი-ის დროს რეკომენდებულია სავაჭრო პირობების (ექსპორტის ფასები გაყოფილი იმპორტის ფასებით) გაზრდა 1-ის ზევით და ამ გზით მიმდინარე ანგარიშის პროფიციტიც კი შეიძლება მივიღოთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარსულში ქვეყანაში არსებობდა დიდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ასეთი უპი ხასიათდება დადებითი ზეგავლენით ადგილობრივ შრომით ბაზარსა და ფირმებზე.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ქმნის მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს და ხელს უწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას არაპირდაპირი გზით, თუმცა მან შეიძლება ეკონომიკური ზრდის კონტექსტში შეაჩეროს განსაზღვრული პროდუქციის წარმოება არაპირდაპირი გზით და პირდაპირი გზით არ უწყობს ხელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის აღმოფხვრას. მას არ გააჩნია არანაირი მაღალი პერსპექტივა, რომ დაუყოვნებლივ შეცვალოს ექსპორტის სტრუქტურა.

აქტივებზე ორიენტირებული უპი-ის დროს ინვესტორი მოტივირებულია დახელოვნებული მუშა ძალის დასაქმებით და შესაბამისად ანვითარებს მას.

რესურსებზე ორიენტირებულ უპი-ის აქვს დასაქმებაზე მასტიმულირებელი ზემოქმედების უნარი მიმღებ ქვეყნებში. ასეთი უპი ითვლება ექსპორტის სტიმულირების მძლავრ ბერკეტად. იგი ხასიათდება დემონსტრაციის ეფექტით და ვინაიდან მნკ-ები ჩართული არიან სავაჭრო ქსელებში ეს ყველაფერი ადგილობრივ ფირმებს აძლევს საშუალებას გავიდნენ ისეთ საექსპორტო ბაზარზე, სადაც მათი პროდუქტი იქნება მოთხოვნადი და რეალიზებადი. ასეთი უპი-ის დროს ხდება მოსახლეობის შეზღუდულად დასაქმება.

რესურსებზე ორიენტირებული უპი დადებით როლს ასრულებს მიმღებ ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრაში, თუმცა ასეთი უპი ყველა გზით არ უწყობს ხელს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას მიმღებ ქვეყანაში. ასევე, ასეთმა უპიმ უნდა გამოიწვიოს ექსპორტი დიდი მოცულობით მიმღები ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში. თუმცა სიღარიბის შემცირებისათვის ასეთი უპის დროს სასურველი იქნებოდა, ინვესტორს, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის.

ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი ხელს უწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პრობლემის მოგვარებას, როდესაც ინვესტორი და ადგილობრივი ფირმები ორივე ახორციელებს ექსპორტს. ასეთი უპი ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას რამდენიმე გზით მიმღებ ქვეყანაში და, ასევე, ასეთი უპის შემოდინების შემთხვევაში მთავრობამ შესაძლოა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს იმაზე ფიქრს, თუ როგორ გაისტუმროს მისი ვალეები. ასეთი გრინფილდ ინვესტიციები კონკრეტულ შემთხვევებში ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის უფრო მეტად განვითარებას, ასევე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

აქტივებზე ორიენტირებულმა უპიმ შესაძლოა უფრო მალე შეუწყოს ხელი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. დიდი შესაძლებლობაა, რომ ასეთი უპის დროს ინვესტორის მიერ მესამე ქვეყანაში სარეალიზაციოდ გატანილ პროდუქციას მოჰყვეს მიმღებ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება.

უპიმ შესაძლოა ნეგატიური როლი შეასრულოს ადგილობრივი ფირმების მიერ ფორმირებულ ეკონომიკურ ზრდაში, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა ამის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზის აღმოფხვრა და ზოგჯერ შესაძლოა, უპიმ არ იქონიოს

ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა ტექნოლოგიის გადაცემით, სავარაუდოდ, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ფირმების წარმოებას. უპი ასევე ზოგჯერ გამოდევნის ადგილობრივ ფირმებს ვინაიდან ხანდახან მათ ხელი ეშლებათ საქმიანობის გაგრძელებაში, რაც ერთ-ერთი ახსნაა იმისა, თუ რატომ აქვს უპის უფრო ნაკლები დადებითი ეფექტები განვითარებად ქვეყნებში ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა დადებითი ეფექტების ზომა განვითარებად ქვეყნებში არაა ერთი და იგივე. მაგალითად, ფაქტობრივად, ყველა ემპირიული შესწავლის თანახმად, მაროკოში ადგილობრივი ფირმების განდევნა ნაკლებდაა შესაძლებელი ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყნებში. შესაძლოა, რომ, თუ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვან დონეზეა მიმდებ ქვეყანაში უპის გამო შემცირდეს ეს ეკონომიკური ზრდა, ხოლო თუ დაბალ დონეზეა ის მაშინ დამატებით მოხდეს ეკონომიკური ზრდა. იმისათვის, რომ მიმდებ ქვეყანაში უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა იქნეს მიღწეული, პირდაპირმა უცხოელმა ინვესტორმა, მისი საქმიანობის ხელშეწყობის გარდა, ხელი უნდა შეუწყოს ასევე ადგილობრივი ფირმების საქმიანობას. ღია ეკონომიკა უფრო მეტად სარგებლობს უპისგან ეკონომიკურ ზრდაზე, რაც, შესაძლოა, თავის მხრივ აიხსნას იმით, რომ როდესაც ინვესტორი ახდენს ექსპორტს მიმდები ქვეყნიდან ამ მიზეზის გამო იგი ითრევს ზოგიერთ ადგილობრივ ინვესტორს. თუმცა ჩინეთში უცხოური ფირმების შემოსვლასა და ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობას შორის ასოციაცია უფრო ძლიერია, როდესაც უცხოური ფირმები მცირედით ახორციელებენ ექსპორტს და ამ დადებით ეფექტებს ადგილი აქვს როგორც იმავე, ასევე სხვა ინდუსტრიაში. თუმცა სხვა ინდუსტრიაში ინვესტორების დადებითი ეფექტი ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე დამოკიდებული იყო იმაზე თუ რომელი ქვეყნიდან ბანდდებოდა უპი ამ ქვეყანაში. ასევე, მაგალითად, ჩანგის თანახმად, იაპონურ ფირმებს არ გაუზრდიათ ამერიკული ფირმების მწარმოებლურობა აშშ-ში ტექნოლოგიის გადაცემის საფუძველზე, რაც ადასტურებს იმას, რომ უპის დადებითი ეფექტი მიმდები ქვეყნის შთანთქმით უნარებზეა დამოკიდებული ვინაიდან შესაძლოა აშშ-ში უპი დაბანდებულიყო იმ დარგებში, სადაც იაპონური ფირმები ბევრად უფრო მეტად მცოდნე ყოფილიყვნენ ვიდრე ადგილობრივი ამერიკული ფირმები და ამ მიზეზის გამო ზოგიერთმა ამერიკულმა ფირმამ ვერ გამოიყენა ის ცოდნა, რომელიც მიიღო იაპონური ფირმებისგან. ის, რომ უპის დადებითი ეფექტი მიმდებ ქვეყანაზე ამ

ქვეყნის შთანთქმით უნარებზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული, დასტურდება იმით, რომ ადგილობრივი ფირმების განდევნა ნაკლებადაა შესაძლებელი იმ სექტორში არსებული ფირმებისა სადაც მოქმედებს უცხოელი პირდაპირი ინვესტორი, რაც თავის მხრივ აიხსნება იმით, რომ ერთი და იმავე სექტორში მოქმედი ფირმა ერთი და იმავე საქმიანობას ეწევა და შესაბამისად შესაძლოა ისინი იყენებენ ერთი და იმავე მეთოდს წარმოებისა და შესაბამისად ინვესტორის მიერ გადაცემული ტექნოლოგია უფრო ადვილად არის გამოყენებული ადგილობრივი ფირმის მიერ რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შედარებით უფრო უკეთესი მეთოდების უფრო ადვილად ათვისებას ადგილობრივი ფირმის მიერ და შესაბამისად უფრო ხანგრძლივად იარსებებს ადგილობრივი ფირმა და ამიტომ მისი წარმოება უფრო დიდი ხნის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული მიმღებ ქვეყანაში, თუმცა, ჩვენი მოსაზრებით შესაძლოა მოხდეს იმ ადგილობრივი ფირმების განდევნაც, რომელიც ფლობენ შთანთქმით უნარებს რასაც კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ის, რომ შთანთქმითი უნარების გამოსაყენებლად ადგილობრივ ფირმებს ზოგჯერ უწევთ მათთვის არასასურველი ქმედებების განხორციელება. თუმცა შთანთქმითი უნარების არსებობა დიდ როლს ასრულებს უპისგან მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. თუმცა უპი ჩინეთში, რომელიც დაბანდებული იყო ჰონკონგიდან, მაკაოდან და ტაივანიდან აქ ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე უარყოფით ეფექტებს იწვევდა იმავე ინდუსტრიაში, სანამ ანალოგიური მაჩვენებელი არის დადებითი ამ ქვეყანაში სხვა ქვეყნებიდან დაბანდებული ინვესტიციების დროს. ის, რომ უპის ნაკლები დადებითი ეფექტი აქვს განვითარებად ქვეყნებზე ვიდრე განვითარებულზე, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ განვითარებად ქვეყნებში მწკ მონოპოლიურ ძალაუფლებას მოიპოვებს ბაზრიდან ადგილობრივი ფირმების განდევნისას. მაგალითად, ლათინოამერიკაში განდევნის ეფექტი იყო სავსებით აშკარა, თუმცა არსებობს ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს უცხოური ფირმების განდევნას და ადგილობრივი ფირმების მიერ მნიშვნელოვანი მოგების მიღებას. ზოგჯერ მწკ-ამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მიმღები ქვეყნის ფირმების შთანთქმით უნარებსაც.

ის, რომ უპის განვითარებად ქვეყნებში ნაკლები დადებითი ეფექტი აქვს იმითაც დასტურდება, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ბევრ ღარიბ ქვეყანაში უპი იწვევს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს იმის გამო, რომ უცხოური ფირმები

ეწვეიან იმპორტს, ახდენენ მოგების დიდი ნაწილის რეპატრიაციას და ეროვნული შემოსავალი უზარმაზარ დანაკარგს იღებს იმის გამო, რომ უცხოურ ფირმებს უმცირდებათ გადასახადი ან საერთოდ თავისუფლდებიან მისგან ან არასწორად მოახსენებენ მთავრობას თავიანთ მოგებას. თუმცა უპი ასევე ხელს უწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას ვინაიდან უპის მერე ექსპორტის განხორციელებას მოჰყვება პროდუქციის რეალიზაცია მესამე ქვეყანაში. უპი ასევე ქმნის მიმღებ ქვეყანაში საექსპორტო აქტივობის ზრდის ზოგიერთ ფაქტორს, თუმცა ამ ფაქტორებით შესაძლოა დიდი ხანი არ გაგრძელდეს საექსპორტო აქტივობა. განვითარებულ ქვეყნებში აქ დადებითად აისახება როგორც შემოდინებული, ასევე გადინებული უპი. აღნიშნული ფაქტიდან შესაძლოა თანამშრომლობა დამყარდეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის უპის განხორციელებასთან დაკავშირებით. ვინაიდან უპის შემდეგ ექსპორტის განხორციელებას მოჰყვება მესამე ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაცია, თუმცა უპი იწვევს ასევე იმპორტს მიმღებ ქვეყანაში. თუმცა მიმღები ქვეყნის საგადასახდლო ბალანსზე უარყოფითი ეფექტები მხოლოდ იმპორტის ზრდაში არ გამოიხატება. თუმცა, თუ იმპორტი ხორციელდება, მაშინ ქვეყანა იღებს უფრო მეტ სარგებლიანობას უპისგან ვიდრე ის ქვეყნები, სადაც იმპორტი იზღუდება. ასევე აღსანიშნავია რომ ექსპორტზე ორიენტირებულმა უპიმ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მიმდინარე ანგარიშის პროფიციტიც კი შეიძლება მივიღოთ. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი დიდი ინვესტორი ინდივიდუალურად წარმოადგენდა ქვეყნის ექსპორტის დიდ წილს (8%-მდე). ის, რომ უპი ნაკლები დადებითი ეფექტებით ხასიათდება განვითარებად ქვეყნებზე აიხსნება ასევე იმით, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება შეიძლება არ მოხდეს მნიშვნელოვნად როდესაც მცირდება რამდენიმე ფირმის მწარმოებლურობა მიუხედავად იმისა, რომ მსკ გადასცემს ტექნოლოგიას ადგილობრივ ფირმებს. (განვითარებად ქვეყნებში ნაკლებია ცოდნის დონე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და შესაბამისად შესაძლოა, განვითარებად ქვეყნებში შემცირდეს რამდენიმე ფირმის მწარმოებლურობა). თუ განვიხილავთ უპის სხვადასხვა მოტივაციას დავინახავთ, რომ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ყველა მათგანი უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას მიმღები

ქვეყნიდან, თუმცა მხოლოდ ექსპორტის ზრდა შესაძლოა არ იყოს საკმარისი მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემის მოსაგვარებლად

თავი 2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა

2.1 ვერტიკალური უპი-ის ზეგავლენა მიმღებ ქვეყანაზე

ვერტიკალური არის ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი. შესაბამისად, ამ ქვეთავში სიღრმისეულადაა განხილული ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი-ის მიმღებ ქვეყანაზე ზეგავლენა, რასაც ნაწილობრივ შევხებით წინა თავებში.

სანამ დავიწყებდეთ ვერტიკალური უპის ეფექტების განხილვას ჯერ ავხსნით, თუ რატომ განვიხილეთ ის მაშინ, როდესაც ვერტიკალური უპი მიიჩნევა ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულად, ხოლო ეს უკანასკნელი უკვე გვქონდა წინა თავებში განხილული. რატომ განვიხილეთ მხოლოდ ვერტიკალური უპი მაშინ, როდესაც არსებობს ჰორიზონტალურიც. მიუხედავად იმისა, რომ განვიხილეთ ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპი, რომელიც არის ვერტიკალურის მსგავსი, მათ შორის მაინც არსებობს სხვაობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული უპის დროს ინვესტორი მოტივირებულია მასშტაბის ეკონომიის მიღწევაზე, ხოლო ვერტიკალური უპის დროს ინვესტორი ყოველთვის არ

რის ამაზე მოტივირებული. ასევე ჩვენ განვიხილავთ ვერტიკალური უპის ეფექტებს და არ ვხსნით ჰორიზონტალური უპის შედეგებს. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, უპრიანია უფრო ვერტიკალური უპის ეფექტის ანალიზი. ჰორიზონტალური უპი ჭარბობს მსოფლიოში, ამასთან, ვერტიკალურის მნიშვნელობა იზარდება, რაზეც მეტყველებს უნკტადის მონაცემები, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ვერტიკალური უპის მოცულობა იზრდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ვერტიკალური უპის დროს ბაზირების ქვეყანები განვითარებულია, შესაბამისად მიმღებ ქვეყანაში შესაძლოა გაიზარდოს მოსახლეობის კეთილდღეობა, ვინაიდან ინვესტორი არის კვლიფიციური, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საქმიანობის რაციონალურობას და ფასების შემცირებას იმ პროდუქციაზე, რომელსაც ინვესტორი მიმღებ ქვეყანაში ყიდის. შესაბამისად, ვერტიკალური უპის მოზიდვა საქართველოში ხელს შეუწყობს ღარიბი ფენის კეთილდღეობის ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ ვერტიკალური უპი არ არის ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული. განვითარებად ქვეყნებში ჰორიზონტალური უპი ტრადიციულად იყო ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ვერტიკალური. არსებობს მსგავსება ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ უპის შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ორივე შემთხვევაში ინვესტორი შეიძლება იყოს ხარჯების შემცირებაზე ორიენტირებული. ასევე მაღალი რეალური ხელფასი მიმღებ ქვეყანაში ზოგჯერ ამცირებს აქ ორივე ტიპის (ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ) უპის, თუმცა ზოგჯერ, მიმღებ ქვეყანაში შემოსავლის ზრდა აქ ორივე სახეობის უპის იზიდავს. მსგავსება ამ ორ უპის შორის დასტურდება იმითაც, რომ ორივე შემთხვევაში ინფლაციის მაღალი დონე აფერხებს მათ შემოდინებას ქვეყანაში. ორივე უპის დროს ინვესტორი მოტივირებულია ბიზნესის წარმოების ხარჯების შემცირებით. ვერტიკალური უპი არის უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ამას ზოგადად მიიჩნევენ. ორივე ტიპის უპი ფერხდება ქვეყანაში მაღალი სავაჭრო ხარჯების (ტრანსპორტირების ხარჯები და ტარიფები) გამო. ორივე ტიპის უპის დროს ინვესტორის მოტივაცია მოგების მაქსიმიზაციაა, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში.

ვერტიკალური უპი ბევრად უფრო მეტ დადებით ზეგავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსზე ვიდრე ჰორიზონტალური. განსხვავება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ უპის შორის გამოიხატება იმაში, რომ პირველ შემთხვევაში

ინვესტორი საკუთრივ ახდენს ექსპორტს მიმღები ქვეყნიდან, ხოლო მეორეში არა. ასევე, ვერტიკალური უპი ადგილობრივ ფირმებს უმარტივებს ექსპორტის განხორციელებას. ჩინეთმა მოიზიდა მნიშვნელოვანი ვერტიკალური უპი, რამაც 2004 წელს განაპირობა ჩინეთის ექსპორტის 57%-მდე ზრდა (Morrison & Labonte 2007, 12). ვერტიკალური უპის დროს ინვესტორმა შესაძლოა არ გაყიდოს პროდუქცია მიმღებ ქვეყანაში, რაც დასტურდება საქართველოს მაგალითით: 2007 წლიდან ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები და მცირე ბაზრის პირობებში მათ შესაძლოა მთლიანად აეთვისებინათ ის, ასევე, ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტორები (რომლებიც მიიჩნევა ვერტიკალურ უპიდ). ისინი შესაძლოა ქვეყანაში შემოვიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მცირე ეკონომიკის ქვეყანაში რთულია პროდუქციის რეალიზაცია, რაც არ უნდა წარმოადგენდეს მათვის დიდ პრობლემას, ვინაიდან ვერტიკალური ინვესტორები არ არიან მოტივირებული მიმღებ ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციით. ვერტიკალურმა ინვესტორმა შესაძლოა არ გამოიწვიოს დიდი ცვლილებები სავაჭრო ბალანსში, მათი განხორციელების დროს ინვესტორის ორიენტაცია ექსპორტზე, შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ის უფრო მარტივად ყიდის პროდუქციას ბაზირების ან მესამე ქვეყანაში. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აშშ-დან დაბანდებული ვერტიკალური უპის დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკა აქვთ გატარებული ბაზირების ქვეყანას მიმღებ ქვეყანასთან ტარიფებთან მიმართებაში. ვერტიკალური უპი იყო ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩინეთსა და ინდოეთში (Kostov 2011, 3).

მიმღებ ქვეყანაში ვერტიკალური უპი ზრდის მოსახლეობის კეთილდღეობას ვინაიდან საქმდება არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომლის დასაქმებაც ასეთი ტიპის უპის შემოდინებამდე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. ვერტიკალური უპის დროს უფრო მეტად იზრდება ადამიანების კეთილდღეობა, ვიდრე ჰორიზონტალურის დროს, რაც დასტურდება პროტენსკოს კვლევებით (Beugelsdijk, Smeets and Zwinkels 2008, 458), რომელმაც აჩვენა, რომ ჩეხეთში 1999 წელს ვერტიკალური უპი უფრო უწყობდა ხელს დასაქმებას, ვიდრე ჰორიზონტალური. მნკ-ამ, ვერტიკალური უპის დროს შეიძლება გაზარდოს ზოგიერთი ადამიანის კეთილდღეობა მიმღებ ქვეყანაში. თუმცა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა ასეთი

ტიპის უპის დროს შესაძლოა, არ მოხდეს ფასების შემცირების გამო. კეთილდღეობის ზრდა ხდება სხვა ფაქტორების საფუძველზე. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას არის უფრო მაღალი ჰორიზონტალური უპი ვერტიკალურთან შედარებით. ამავდროულად, ვერტიკალურმა უპიმ შესაძლოა აზარალოს ადგილობრივი მოსახლეობა, როდესაც ის განხორციელდება მოსახლეობის დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. იგივე შესაძლოა მოხდეს მაღალ ხელფასიან ქვეყნებში თუკი მნკ ინვესტიციას განახორციელებს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური უპის სახით ერთდროულად.

განვითარებულ ქვეყნებში ჰორიზონტალურ უპის ეკონომიკურ ზრდაზე გააჩნია მეტი ზეგავლენა ვიდრე ვერტიკალურს, რაც დასტურდება მარკუსენისა და მასკუსის კვლევებით (Alfaro & Charlton 2007, 2100), სადაც ჩანს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ჰორიზონტალური უპი არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ვერტიკალური. ამ კვლევების თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში ჰორიზონტალურ უპის აქვს 50%-ით მაღალი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ვიდრე ვერტიკალურს (Beugelsdijk, Smeets and Zwinkels 2008, 452). ეს დასტურდება ასევე იმით, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ვერტიკალური უპი თამაშობს უფრო დიდ როლს ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ბეუგელსდიჯკმა ასევე დაადგინა (Sangjoon 2015, 46-47), რომ ჰორიზონტალური უპის დროს ინვესტორი ამყარებს უფრო მეტ კავშირებს ადგილობრივ ფირმებთან, ნაცვლად ვერტიკალური და ექსპორტზე ორიენტირებული უპისა. ვერტიკალური უპის ნეგატიური შედეგი გამოიხატება იმაში, რომ მას აქვს მცირე დემონსტრაციული ეფექტები, ნაკლები კავშირები ადგილობრივ ფირმებთან და ხასიათდება მუშახელის დენადობით. ჰირშმენის მოსაზრებით, კავშირთა ნაკლებობა ვერტიკალური უპი დროს ეკონომიკურ ზრდაზე შეზღუდული ეფექტების გამომწვევია. ვერტიკალური უპისგან მეტი დადებითი ეფექტების მისაღებად საჭიროა ინვესტორებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების გაფართოება. ჰერზერმა (Mohd Nor, 7) შეისწავლა 28 განვითარებად ქვეყანაზე ორივე ტიპის უპის ზეგავლენა და უმეტეს ქვეყნებში ვერ აღმოაჩინა უპის მშპ-ზე ზეგავლენის დადებითი ეფექტი. შემდეგი ცხრილის შეჯამებული მონაცემების თანახმად, ორი ქვეყნის მშპ-სა და სავაჭრო ხარჯების ჯამი არის უფრო დიდი ჰორიზონტალური უპის დროს, ვიდრე ვერტიკალურის (Yokota & Tomohara 2009, 471).

Table 1: Summary Statistics

Total Sample	Mean	Std. Dev.	Min	Max	Obs.
HOR.INDEX	7.072	2.223	0.000	13.339	1108
SALE	6.613	1.771	1.674	11.027	1108
GDPSUM	41.830	1.245	38.615	44.736	1108
[MKTDIF]	3.637	1.432	0.021	8.633	1108
[SKILDIF]	0.635	0.420	0.001	1.844	1108
LENDRATE	2.520	0.628	0.770	4.475	1108
DSPEAK	0.605	0.489	0	1	1108
TCOST	0.081	0.377	-4.576	0.583	1108
DADJ	0.127	0.333	0.000	1	1108
DIATANCE	8.407	0.609	6.981	9.154	1108

Horizontal	Mean	Std. Dev.	Min	Max	Obs.
HOR.INDEX	8.230	1.323	6.159	13.339	776
SALE	7.210	1.495	3.618	11.027	776
GDPSUM	42.291	1.054	38.800	44.736	776
[MKTDIF]	3.230	1.329	0.021	8.633	776
[SKILDIF]	0.637	0.438	0.001	1.844	776
LENDRATE	2.522	0.650	0.770	4.475	776
DSPEAK	0.634	0.482	0	1	776
TCOST	0.089	0.333	-2.641	0.510	776
DADJ	0.179	0.384	0	1	776
DIATANCE	8.356	0.645	6.981	9.154	776

Vertical	Mean	Std. Dev.	Min	Max	Obs.
HOR.INDEX	4.364	1.390	0.000	6.158	332
SALE	5.216	1.569	1.674	8.868	332
GDPSUM	40.752	0.961	38.615	43.746	332
[MKTDIF]	4.588	1.194	0.755	7.661	332
[SKILDIF]	0.630	0.377	0.015	1.803	332
LENDRATE	2.516	0.575	1.666	4.097	332
DSPEAK	0.536	0.499	0	1	332
TCOST	0.060	0.463	-4.576	0.583	332
DADJ	0.006	0.077	0	1	332
DIATANCE	8.524	0.498	6.981	9.148	332

All variables are defined in Section 3. All variables except D/M, LENDRATE, DSPEAK, and DADJ are measured as natural logarithms.

პროცენკო ამტკიცებს, რომ ვერტიკალური უპი ისეთივე მიმზიდველია, როგორც ჰორიზონტალური, ხოლო რაც ეხება მიმღებ ქვეყანაში ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობის ზრდას, განვითარებულ ქვეყნებში ვერტიკალურ უპის აქვს ნაკლები ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე, ვიდრე ჰორიზონტალურს, რაც აიხსნება იმით, რომ ვერტიკალურ ინვესტორს შეუძლია მიყიდოს პროდუქცია კონკურენტს შედარებით მაღალ ფასში, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობას. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ვერტიკალური უპი, რომელიც უმეტესწილად გრინფილდ ინვესტიციებით ხორციელდება უფრო მეტ დადებით ეფექტს იქონიებს ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე, ვიდრე დასავლეთ ევროპის ჰორიზონტალური უპი, რომელიც ხორციელდება ძირითადად შერწყმებითა და შთანთქმებით. უპი, რომელიც ხორციელდება ვერტიკალურად ინტეგრირებული მნკ-ის მიერ, არ ქმნის რამე ფორვარდულ კავშირებს ადგილობრივი მზა პროდუქციის მწარმოებლებისათვის და არც ქმნის უკუკავშირებს ადგილობრივი შუალედური მომმარაგებლებისათვის ვინაიდან შუალედურ საქონელს ის აწარმოებს თვითონ (LIN & SAGGI 2010, 20). თუმცა ორივე უკუ და ფორვარდული ვერტიკალური უპი ზოგჯერ ამყარებს კავშირებს ადგილობრივ ნედლეულის მომმარაგებელთან.

ვერტიკალური უპი არაპირდაპირი გზით უწყობს ხელს მიმღები ქვეყნის ინოვაციებს. ადგილობრივი ფირმების ინოვაციაზე დადებითი ეფექტი აიხსნება კავშირებით ვერტიკალურ ინვესტორთან და შესაბამისად ტექნოლოგიის გადაცემით. კოკო ამტკიცებს (Beugelsdijk, Smeets and Zwinkels 2008, 453), რომ დადებითი ეფექტები არ უნდა იყოს მოსალოდნელი მაშინ, როდესაც ფირმები მოქმედებენ ანკლავურ წარმონაქმნებში, ვინაიდან ეს მცირე შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ეკონომიკას. ეს ეხება კერძოდ ექსპორტზე ორიენტირებულ და ვერტიკალურ უპის, რომლებიც მოტივირებული არიან ეკონომიკური ეფექტიანობით და რესურსებით. თუმცა კავშირების არსებობის დროსაც კი ზოგჯერ ცოტა რაოდენობის ცოდნაა გადაცემული. თუმცა ეს არ ეხება ყველა ვერტიკალურ ინვესტორს, ცოდნის გადაცემა

არის განსაკუთრებით აშკარა ვერტიკალური უპის შემთხვევაში, როდესაც მწკ-ები ნოუ-ჰაუს გადასცემენ მიმღები ქვეყანის ადგილობრივ მწარმოებლებს (Jinji, Zhang and Haruna 2011, 12).

ვერტიკალური უპი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს მიმღები ქვეყნიდან, რაც კარგად ჩანს ჩინეთის მაგალითზე, რომელმაც 2004 წელს მოიზიდა იმ რაოდენობის უპი, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის ექსპორტის 57%. თუმცა შესაძლოა, ექსპორტის ასეთი მკვეთრი ზრდა არ იყოს საკმარისი სავაჭრო დეფიციტის პრობლემის მოსაგვარებლად.

2.2 უპი-ის ზეგავლენა ექსპორტის დივერსიფიკაციაზე და მიმღები

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

ამ ქვეთავში განვიხილავთ უპი-ის მახასიათებლებს, ზეგავლენას ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა მზარდი სავაჭრო დეფიციტია, რომლის შემცირება შეიძლება მოხდეს ექსპორტის დივერსიფიკაციის გზით.

უპი ხელს უწყობს ექსპორტის დივერსიფიკაციას საინვესტიციო კაპიტალის ზრდით, ვინაიდან ადგილობრივი კაპიტალი შეზღუდულად არის გამოყენებული, რაც დასტურდება იმით, რომ არსებობს ძლიერი დადებითი კორელაცია მშპ-ში უპის წილის და ექსპორტის ზრდას შორის ისეთ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ ღია სავაჭრო რეჟიმი. აღნიშნული კარგად ჩანს ჩინეთის მაგალითზე, როდესაც ამ ქვეყანამ გამოიყენა უპის საფუძველზე მიღებული რესურსები და შესაბამისად ჩაერთო ახალ საექსპორტო მოქმედებებში. რამდენიმე დაბალშემოსავლიანმა ქვეყანამ სცადა უპის მოზიდვა იმისათვის, რომ განვითარებულიყო ახალი და არსებული საექსპორტო ინდუსტრიები და მომხდარიყო მათი საექსპორტო ბაზის დივერსიფიცირება. უპი დადებითად მოქმედებს ექსპორტის დივერსიფიკაციაზე ვინაიდან უცხოური ექსპორტიორი ფირმები უფრო მეტად იყენებენ უნარ-ჩვევებსა და კაპიტალს, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. ბერნარდის (Méon & Sekkat 2018, 7) თანახმად, ეს ტენდენცია გამოვლინდა განვითარებულ ქვეყანაში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები

ან ალვარეზისა და ლოპეზის თანახმად, განვითარებად ქვეყანაში, როგორც ჩილეა (Méon & Sekkat 2018, 12).

ადამიანური კაპიტალი, რომელიც გაედინება მნკ-ის ფილიალებისგან, ადგილობრივი ფირმებში იწვევს უფრო მაღალი დონის მწარმოებლურობის მიღწევას და ბაზრის ცოდნის შესახებ ცოდნის ამღლებას, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ექსპორტის დივერსიფიკაცია. უპი დადებითად მოქმედებს ექსპორტის დივერსიფიკაციაზე ტექნოლოგიის გადაცემით, რაც აუმჯობესებს ქვეყნის საწარმოო უნარებს. ტექნოლოგიის გადაცემის საფუძველზე ექსპორტის დივერსიფიკაცია დასტურდება ასევე იმით, რომ ადგილობრივი ფირმები სწავლობენ უცხოური ფირმების საექსპორტო შესაძლებლობებს და ეცნობიან უცხოურ ბაზრებს. შესაბამისად, ადგილობრივი ფირმების ექსპორტის ინტენსიურობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მიმღები ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაცია. მაგალითად, მნკ-ების მიერ ტექნოლოგიის გადაცემის გამო, მოხდა ექსპორტის დივერსიფიკაცია ინდოეთში (Banga 2006). ტექნოლოგიის გადაცემის საფუძველზე ექსპორტის დივერსიფიკაცია დასტურდება ასევე იმით, რომ უპიმ შეიძლება ხელი შეუწყოს ცოდნის გადაცემის მეშვეობით გამოცდილების დაგროვებას ახალი პროდუქციის სფეროებში, რაც ზრდის საექსპორტო ბაზის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას. უპის საფუძველზე მიმღები ქვეყნის ფირმების მწარმოებლურობა იზრდება შემდეგი არხების მეშვეობით: სწავლის ეფექტი; გაზრდილი ადგილობრივი კონკურენცია და სხვა (Jayaweera 2009, 10); დემონსტრაციის ეფექტითა და ფორვარდული კავშირებით (Jayaweera 2009, 34). უპი მიჩნეულია ექსპორტის დივერსიფიკაციის გამომწვევად თუკი ის არის ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული და მოქმედებს, როგორც არხი, რომელიც გადასცემს ტექნოლოგიასა და ინფორმაციას საზღვარგარეთიდან ადგილობრივ ფირმებს. თუმცა ექსპორტის დივერსიფიკაციას იწვევენ არა მხოლოდ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოელი ინვესტორები. ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა რეკომენდებულია იმისათვის, რომ მოხდეს ექსპორტის დივერსიფიკაცია. იმისათვის, რომ უპიმ დადებითად იმოქმედოს ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, საჭიროა რომ მიმღები ქვეყნის ფირმები არ ფლობდნენ ისეთ უნარებს, რასაც ფლობენ მნკ-ები. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მნკ-ები უფრო მეტად იწვევენ ექსპორტის დივერსიფიკაციას

განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში. ბალიამოუნ-ლუთზის თანახმად, უპის აქვს დადებითი ეფექტი განვითარებადი ქვეყნების ექსპორტზე, განსაკუთრებით ისეთს, რომლის მიზანია ინვესტიციების დაბანდება საექსპორტო სექტორში (Kamuganga 2012, 8). ერთ-ერთი ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ექსპორტის დივერსიფიკაცია განვითარებად ქვეყნებში არის ის, რომ აქ უპი ბანდება საშუალო და მაღალ ტექნოლოგიურ სექტორებში. ტექნოლოგიის გადაცემის საფუძველზე ექსპორტის დივერსიფიკაცია დასტურდება ასევე იმით, რომ ადგილობრივი ფირმები განსაკუთრებული კავშირებით არიან ჩართული უცხოურთან, რის საფუძველზეც ისინი იღებენ მხარდაჭერას და ამის გამო მარკეტინგის გაუმჯობესებისა და ცოდნის მიღების საფუძველზე იწყებენ ახალი პროდუქციის ექსპორტს. უპი დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევს ექსპორტის დივერსიფიკაციას.

ზოგჯერ უპის არ აქვს ზეგავლენა ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსზე, რაც აიხსნება იმით, რომ ხდება მხოლოდ ექსპორტის განახლება, მეტიც, ზოგჯერ უპის მარაგი არ იწვევს ექსპორტის დივერსიფიკაციას და მან შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეფექტი იმიტომ, რომ უპი ზოგჯერ ზრდის ექსპორტის კონცენტრაციას. უპის აქვს დადებითი ეფექტი ექსპორტის დივერსიფიკაციაზე შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი, ინდოეთი, ბანგლადეში, ჩილე, კოსტა რიკა, დაბალ შემოსავლიანი ქვეყნები, შუა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, ლესოთში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მავრიკი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, აფრიკა, მექსიკა, სამხრეთაღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, სამხრეთ აზიური რეგიონული თანამშრომლობის ასოციაციის წევრი ქვეყნები, პორტუგალია, ირლანდია, მალაიზია, ალჟირი და ცენტრალური ამერიკა.

უპი არის მაკროეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც ფირმის ზრდის ტემპით ახდენს დადებით ეფექტს ექსპორტის დივერსიფიკაციაზე. არაპირდაპირი გზით უპიმ შეიძლება გამოიწვიოს ექსპორტის დივერსიფიკაცია მაშინ, როდესაც ის მოცემულ ინდუსტრიაში ზრდის ადგილობრივი ფირმების ექსპორტის ინტენსიურობას.

მნკ-ების შემოსვლამ შეიძლება იქონიოს ზეგავლენა ექსპორტის შემადგენლობაზე. მნკ-ები, რომლებიც ქვეყანას საექსპორტო ბაზად იყენებენ,

შეიძლება ჩაერთონ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაში, რომელიც მანამდე ექსპორტირებული იყო მიმღები ქვეყნის მიერ (Harding & Javorcik 2012, 2). ბანგა ასევე აღნიშნავს, რომ უპის წყარო ასევე მნიშვნელოვანია. მაგალითად, შეერთებული შტატებიდან წარმოქმნილი უპი ხასიათდება ექსპორტის დივერსიფიკაციაზე დიდი ზეგავლენით (Jayaweera 2009, 23-24).

იმისთვის, რომ უპიმ გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდა საჭიროა, მიმღებმა ქვეყანამ და ინვესტორმა ხელი შეუწყოს ამ პროცესს (Umoh, Augustine and Chuku 2012, 54). დემელომ დაადგინა უპის დადებითი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში (Umoh, Augustine and Chuku 2012, 53). თეორიულად, უპისგან მოსალოდნელია, რომ შეიტანს წვლილს ეკონომიკურ ზრდაში, რადგან ის განვითარებად ქვეყნებში მიჩნეულია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან კატალიზატორად. მაგალითად, შიგა ინვესტიციების, ადამიან-კაპიტალის ფორმირებით და ტექნოლოგიის გადაცემით უპი გახდა ინდური ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. მალაიზიაში, ტაილანდში, ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში უპისა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს ენდოგენურობა. (მაგალითად, ჩინეთში ის რომ უპისა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს ენდოგენურობა იქიდან ჩანს, რომ ამ ქვეყანაში უპის ზრდა მშპ მატების პროპორციულია) (Jayaweera 2009, 23-24). უპის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია ეკონომიკურ კლიმატზე. უნკტადის თანახმად აფრიკაში უპის ეკონომიკურ ზრდაზე ეფექტი არის შეზღუდული, ვინაიდან ეს ქვეყანა იზიდავს ცუდი ხარისხის უპის. უპი განსაკუთრებით ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ჩინეთში, ინდოეთში, მალაიზიასა და სინგაპურში. უპის ერთი დოლარით ზრდა იწვევს მშპ-ის ზრდას 3.27 დოლარით (Dwivedi & Badge 2013, 123). უპი ქმნის ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ფაქტორებს, მაგალითად სერბეთში უპის სარგებლიანობა განისაზღვრებოდა იმ ფაქტორებით, რომლებიც ხელს უწყობდა ეკონომიკურ ზრდას. (Dejan და სხვები 2012, 65).

უპი ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. დემელოს მიხედვით უპის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ ადგილობრივ ფირმებს მშპ-ის მიერ გადაცემული ცოდნის გამოყენება (Islam, 2). განვითარებად ქვეყნებში უპი-ს

ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სექტორებშია დაბანდებული ის. თუმცა დუტამ ვერ ნახა იმის სიცხადე, რომ უპის სექტორულ შემადგენლობას მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისათვის. განვითარებული ქვეყნების უპი აქტიურ ზეგავლენას ახდენს ასეთი სახელმწიფოების ეკონომიკის განვითარებაზე. შეერთებული შტატებიდან განხორციელებული უპი დადებითად მოქმედებდა საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის და გაერთიანებული სამეფოს საწარმოო ინდუსტრიების მწარმოებლურობის ზრდაზე (Ehimare 2011, 255). საჩისა და ვუს მიხედვით, ინვესტორები ჰონკონგიდან, მაკაოდან და ტაივანიდან თამაშობდნენ დიდ როლს ჩინეთის ეკონომიკურ წარმატებაში (Lin, Liu and Zhang 2009, 686). უპი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს უნგრული ეკონომიკისა და მოდერნიზაციის პროცესში, რაც დასტურდება იმით, რომ უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, უნგრეთი იმყოფებოდა პირველ ადგილზე. მნკ-ების დაფუძნების გამო, მიმღებ ქვეყნაში შეიძლება იყოს ნაკლები ეკონომიკური ზრდა თუ დაფუძნებული მნკ-ების რაოდენობა ნაკლებია განდევნილი ადგილობრივი ფირმების რაოდენობაზე. აღნიშნული დასტურდება პოლონეთის მაგალითზე, რომელიც იზიდავდა უპის მნიშვნელოვან მოცულობას და ის თამაშობდა დიდ როლს პოლონურ ეკონომიკაში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ინვესტორები ახდენდნენ კონკურენტი ფირმების შთანთქმას, რის შედეგად ხდებოდა ამ ფირმებში წარმოებისა და პერსონალის შემცირება.

თავი 3. საქართველოში განხორციელებული უპის გავლენის შეფასება

3.1 უპის მოტივაციები და ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველოში, ადგილი აქვს ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტიციების განხორციელებას, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ და საშუალო-ტექნოლოგიურ დარგებში ინტერესს იწვევს, რაც, თავის მხრივ იძლევა საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირების შესაძლებლობას. გრძელვადიან პერიოდში აუცილებელია ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპის მოზიდვა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. უპის მოზიდვის თვალსაზრისით

ინვესტორებისთვის მიმზიდველ დარგად კვლავინდებურად ითვლება ელექტროენერგეტიკა. 2009 წელს ენერგეტიკის სექტორში დაბანდებული უპი შეადგენდა -2 მილიონ დოლარს და ამავდროულად 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად ექსპორტის კოეფიციენტი იყო დაბალი, რაც ადასტურებს იმას, რომ ენერგეტიკის სექტორში დაბანდებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვან დადებით როლს თამაშობს ქართული ექსპორტის ზრდაში. ასევე მაგალითად, 2013 წელს უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად საქართველოსათვის ექსპორტის კოეფიციენტი იყო 47. და ამავე წელს ენერგეტიკის სექტორში შემოვიდა 198 მლნ დოლარის მოცულობის უპი (ჭარაია 2015, 101).

უნკტადის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, საქართველოში დამატებული ღირებულების, დასაქმების, ექსპორტის, საგადასახადო შემოსავლის, ხელფასისა და კაპიტალის ფორმირების კოეფიციენტები არის 33, 18, 47.9, 46.5, 15 და 40 შესაბამისად (ჭარაია 2016, 62). აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ ქართული ექსპორტის თითქმის ნახევარი განხორციელებული იყო ინვესტორების მიერ. ინვესტიციები უძრავ ქონებასა და ქსელურ ინდუსტრიებში დადებითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ იწვევს წარმოებისა და ექსპორტის მცირე ზრდას, რაც ადასტურებს იმას, რომ საშინაო ბაზრის მაძიებელი უპი არ ასრულებს დიდ როლს ექსპორტის ზრდაში, უკანასკნელი ძირითადად დაბანდდა უძრავი ქონების სექტორში.

ცხრილი №7

ეფექტიანობის მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ.(ათასი აშშ დოლარი)

ათასი აშშ დოლარი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	სულ	
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15330.86	10612.73	22326.87	8631.876	16837.84	16119.35	12512.7	12290.31	18591.35	8264.605	12437.91	-3307.4	150649	2068480
დამამუშავებელი მრეწველობა	282735.5	188287.8	130077.4	178956	119968.5	189456.4	107256.7	253648.5	104668.3	123439.6	99347.96	139988.4	1917831	

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

რესურსების მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ.(ათასი აშშ დოლარი)

ათასი აშშ დოლარი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	სულ
სამთომპოვებითი მრეწველობა	82726	18105.16	15023.42	55986.48	60259.34	19116.52	43704.92	45349.23	88027.83	49730.71	51835.21	62203.6	592068.4

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

ბაზრის მაძიებელი უპი საქართველოში 2007-2018 წწ.(ათასი აშშ დოლარი)

ათასი აშშ დოლარი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	სულ	
ენერჯეტიკა	331572.2	294864.8	-2130.63	26991.52	212501.1	179421.1	246093.9	190019.8	123680.6	145008.1	280557.5	120794.9	2149375	13877445
მშენებლობა	157951.7	56725.32	105218.8	8582.719	79613.61	107612.9	79564.31	324456.9	144370.8	176511.7	172521.4	172968.3	1586098	
სასტუმროები და რესტორნები	222849.4	184582.9	37542.34	23923.58	30387.5	25550.93	-6595.75	140648.4	170200.1	120219.1	106896.1	77818.44	1134023	
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	310683	422970.8	98926.45	233052.7	130499.3	92277.33	151644.5	440536	608150.6	662781.9	524927.9	163018.7	3839469	
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	404.1898	550.6249	289.0543	1182.416	16827.03	18339.48	924.7126	-8861.3	140306	29572.42	5917.666	12418.72	217871.1	
უძრავი ქონება ¹	14017.82	283098.3	149762	124200.7	165259.1	57951.44	69673.48	168463.8	94437.74	55358.63	215284.2	131400.7	1528908	
საფინანსო სექტორი ²	151883.2	10959.59	49663.41	107586.5	167566.9	162273.7	174492.3	126558.4	201988.3	123350.8	307753.3	270700.2	1854777	
დანარჩენი სექტორები ³	194566.9	104485.1	60075.51	96543.14	134251	180107.9	159902.3	143870.1	34666.22	156090	185134.4	117231.5	1566924	

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

ექსპორტის ხელშეწყობისა და დამატებითი ეკონომიკური ეფექტების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, პრივატიზაციის შედეგად მოზიდული ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი მომსახურების სექტორში ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას. აღნიშნული მოსაზრება ადასტურებს იმას, რომ გრინფილდ ინვესტიციებს აქვს უფრო მეტი დადებითი ეფექტი ვიდრე ბრაუნფილდ ინვესტიციებს. ბრაუნფილდ ინვესტიციებში მოიაზრება შერწყმები და შთანთქმები, ხოლო პრივატიზაციის დროს ხდება სახელმწიფო ქონების შექმნა ინვესტორის მიერ.

რესურსებზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის დამახასიათებელია კონცენტრირება ანკლავურ წარმონაქმნებში თუ ქვეყანაში ინსტიტუციური გარემო არ

არის ხელსაყრელი. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, საქართველო ინსტიტუციური გარემოს განვითარებით მე-60 ადგილზეა (The Global Competitiveness Report 2011) და გააჩნია სერიოზული პრობლემები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ადგილობრივი კანონმდებლობის ეფექტიანობა და ა.შ., რაც ნიშნავს, რომ რესურსებზე ორიენტირებულ ინვესტიციების შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგი.

კუდრინასა და ჯაკუბიაკის მიერ განხორციელებული კვლევით საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა და ყირგიზეთში[აქამდე ჩასწორდა] უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით დაფუძნებული 30-30 კომპანია გამოიკითხა (საქართველოში: სოფლის მეურნეობა - 1 კომპანია; კვების მრეწველობა - 4 კომპანია; საფინანსო სექტორი - 8 კომპანია; ენერგეტიკა - 3 კომპანია და სხვ.). მნიშვნელოვან კითხვებს შორის იყო ადგილობრივი (ქართველი) ინვესტორების საქართველოს ბაზრით დაინტერესების საკითხიც, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში ისინი ინტერესს ყველაზე მეტად იაფი წარმოების ფაქტორებსა და ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაში გამოხატავენ (ჭარაია 2015).

მსოფლიოში უფრო მეტად ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ჭარბობს, რაც ჩანს შემდეგ ცხრილში. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოშიც.

რატომ აირჩიეთ მოცემული ქვეყანა ინვესტიციის განსახორციელებლად?
(შეფასება 1-დან 5 ქულამდე)

	უკრაინა	მოლდოვა	ყირგიზეთი	საქართველო	საშ.
იაფი წარმოების ფაქტორები (სამუშაო ძალა, ნედლეული)	2,8	3,4	3,4	3,2	3,2
კვალიფიციური სამუშაო ძალა	2,6	3,5	3,6	3,0	3,2
ადგილობრივი ბაზრის მომსახურება	4,1	3,8	4,6	3,3	4,0
რეგიონული ბაზრის ათვისება	2,3	3,6	3,2	3,0	3,0
ქვეყნის კვლევითი და ტექნოლოგიური მიღწევები	1,5	2,3	1,3	1,2	1,6
სხვა	-	-	-	-	-

წყარო: THE MOTIVES AND IMPEDIMENTS TO FDI IN THE CIS, p. 28

<http://www.oecd.org/investment/globalforum/40401047.pdf>

Activate V
Go to Setting

ანუ, როგორც ცხრილიდან ჩანს, უკრაინაში, მოლდოვაში, ყირგიზეთსა და საქართველოში ინვესტორები ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი ბაზრის მომსახურებას.

საქართველოს მთავრობა ცდილობს არა მხოლოდ რესურსებზე ორიენტირებული, ასევე ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის მოზიდვას, რაც ზოგადად სწორ პოლიტიკად უნდა იქნეს მიჩნეული ვინაიდან ნურბაქმის, პალონისა და ალის თანახმად (Ehimare 2011, 152) ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ხელს უწყობს ქვეყნების მაღალ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში.

აღნიშნული მოსაზრება, რომ 2009 წელს საქართველოში ექსპორტის კოეფიციენტი დაბალი იყო ვინაიდან ინვესტორები უპის დაბანდებისას ძირითადად ბაზრის ათვისებით არიან მოტივირებული, რომლის დროსაც მათ არ აქვთ მოტივაცია, განახორციელონ ექსპორტი, დასტურდება ქართულ კომპანიებში დაბანდებული ინვესტიციებით (ეს ის ქართული კომპანიებია, სადაც ინვესტორთა მიერ უპის დაბანდებისას მოტივაცია ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული).

ქართული კომპანიები, სადაც 2009 წელს დაბანდა უპი და რომლებმაც არ განახორციელა ექსპორტი
ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია,
სოკარ ენერჯი ჯორჯია,
ქართული ცემენტი,
დილის პროდუქტები,
კავკასიის ბეტონი 2007,
ჯაზა,
საქართველოს მარანი,
უშბა დისტილერი,
კანარგო ჯორჯია,
სანტე ჯი ემ თი პროდუქტები,
პოსეიდონი, ელიტა ბურჯი,
ქართულ-ევროპული მაკარონის ინდუსტრია,
ლოსაუჩი,
ჯი ემ თი ღვინის კომპანია,
ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს,
თბილისის წარმომადგენლობა,
გელათი 2007,
პოულტრი ჯორჯია,
ზო-ბაბა და საი გლობალ ჯორჯია.

ავტორის მიერ „ბიასგან“ და საქსტატიდან გადმოგზავნილი მასალის დამუშავების შედეგები

მიმღებ ქვეყნებში უპი-ის აქვს დასაქმებაზე მასტიმულირებელი ზემოქმედების უნარი.

ქართული კომპანიები სადაც უპიმ გაზარდა დასაქმება

2015-2018 წლებში ის ქართული კომპანიები რომლებშიც უპი-ს შედეგად გაზარდა დასაქმება			
2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
შპს "შუხმან ვაინს ჯორჯია",	შპს "კარმენ",	შპს „გალაქსი“ ყოფილი („სისკონი“),	სს ხიდმშენი",

სს "ხიდმშენი", შპს "მეგარონი",	შპს „მელვინეობა ხარება“,	შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანია“,	შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“,
შპს ზიმო“,	შპს „სისტემინშაათის“ წარმომადგენლობა საქართველოში	შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი",	შპს "ველაჯიო".
სს"საქჰიდროენერგო მშენი",	შპს "ქინძმარაულის მარანი",	შპს"მონოლითპრო",	
შპს " კარგი ველი".	შპს ინერმასინვესტი",	სს „სისტემინშაათის“ წარმომადგენლობა საქართველოში	
	შპს "საქართველოს მარანი",	შპს "აერკომპანი",	
	შპს „თიმალი“,	შპს „აიბი მთიები“,	
	შპს "არგონათის".	შპს კავკასუს ელექტრო მარკეტი'	
	შპს "კარმენ",	შპს „გალაქსი“ ყოფილი („სისკონი“),	
	შპს „მელვინეობა ხარება“,	შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანია“,	
	შპს „სისტემინშაათის“ წარმომადგენლობა საქართველოში	შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი",	
	შპს "ქინძმარაულის მარანი",	შპს"მონოლით-პრო",	

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის ინფორმაციის საფუძველზე

ზოგჯერ უპი-ის დროს ინვესტორების მიწოდება ადგილობრივ ბაზარზე ჭარბი არ არის და შესაბამისად მიმღები ქვეყნის მოსახლეობაზე დადებით ეფექტებს უპი-ის გამო ნაკლებად უნდა ველოდოთ. ამასთან, რიგ შემთხვევაში უპი მიმღებ ქვეყანაზე დადებით ზეგავლენას ახდენს ექსპორტის სტიმულირებით. 2015-2017 წლებში ჩვენ მიერ შესწავლილ 115 კომპანიაში ექსპორტის განხორციელება უპი-ის დაბანდების შემდეგ წამოიწყეს შემდეგმა ქართულმა კომპანიებმა:

ცხრილი №13

2015-2017 წლებში ექსპორტის სტიმულირება უპი-ის დაბანდების შედეგად საქართველოში ფუნქციონირებად კომპანიებში:

ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი

ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი
კავკასიის ციფრული ქსელი
ჯეოსელი
თელიანი ველი
ერიქსონ საქართველო
EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა EMCoS
დი-ელ-ეი ჰაიპერ საქართველო
აგრიჯორჯია
ვიტელ ჯორჯია
სილქნეტი
იბერია რეფრეშმენტსი
რისკ ჯორჯია
თი-ვი-ემ-არ საქართველო
ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედ
ახალი ქსელები
ჭიათურმანგანუმ ჯორჯია
ჯეოსთილი
ბადაგონი
საირმე მინერალ ვოთერს
ჯორჯიან მანგანუმი
ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის ინფორმაციის საფუძველზე

უპის ძირითადი ბენეფიციარი არის მთავრობა, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს გადასახადების სახით, რაც, თავის მხრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ უპის დროს იზრდება მიმღები ქვეყნის დასაბეგრი ბაზა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წელს შემდეგ კომპანიებში დაბანდებული ინვესტიციების შედეგად გაიზარდა ბრუნვა და შესაბამისად დასაბეგრი ბაზა: შპს "შავი ზღვის ტერმინალი", შპს "ინტერპლასტი", სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", სს კომპანია "მედინსერვისი", შპს "პოულტრი ჯორჯია", შპს "ეარ ბიპი ჯორჯია", შპს "ბლოკ-ჯორჯია", შპს "ბესტ ტობაკო", შპს "ეისა", შპს "ურეხი", სს

"საქჰიდროენერგომშენი", შპს "ელექტრონი", შპს "ეფორი", შპს "ომეგა", შპს "და გ ტექნოლოგი", შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია", შპს "ტიფლისსკი ვინნი პოგრებ", შპს "ნატუსანა", შპს "პროგრესი", შპს "გერმანულ-ქართული სამშენებლო საზოგადოება", შპს "ტსვ", შპს "ჰიუნიკ-ჯორჯია", შპს "ავტოკომპლექსი", შპს "დოკი", შპს "მატექს ჯორჯია", შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი", შპს "ქართ. ღვინისა და ალკ. სასმ. კომპანია", შპს "ასტრა-დიდომი" (სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან შეკვეთილი მონაცემების საფუძველზე).

ინვესტორის ძირითადად ეფექტიანობის ამალეებაზე ორიენტირება მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად. მაგალითად, ეს შესაძლოა დადასტურდეს იმით, რომ საქართველოში ეფექტიანობის ამალეებაზე ორიენტირებული უპი ბევრად უფრო ნაკლები იყო ვიდრე ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული და ამავე პერიოდში გვქონდა მზარდი სავაჭრო დეფიციტი.

უპი-ის მოზიდვა მოკლევადიან პერიოდში ითვლება მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ბერკეტად. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საგრძნობლად გაიზარდა გამოშვება შემდეგ კომპანიებში ამავე წელს ამავე კომპანიებში დაბანდებული უპი-ის შემდეგ: შპს "ინტერპლასტი", სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", სს "ხიდმშენი", შპს "ზიმო", შპს "ბლოკ-ჯორჯია", სს "ქართ. ღვინისა და ალკ. სასმ. კომპანია", შპს "ბადაგონი". შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია", შპს "კარმენ", სს იბერია რეფრეშმენტსი, შპს „მელვინეობა ხარება", შპს "კასტელი-საქართველო", შპს "ომეგა", შპს ზიმო, შპს „ალიანსი საქართველო", შპს "მატექს ჯორჯია", შპს "ბელ-ბაუ", შპს შპს "კინდ-სმენა", შპს "ასე გრუპი", შპს "ტავრიდა ელექტრიკ საქართველო", სს „იბერია უძრავი ქონება", შპს საქართველოს მარანი, შპს "არგონათსი", შპს „რედინეტი" (სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან შეკვეთილი მონაცემების საფუძველზე).

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ნაკლებად ჭრის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პრობლემას. მაგალითად, 2009 წელს საქართველოში ექსპორტის კოეფიციენტი დაბალია, ვინაიდან ინვესტორები უპის დაბანდებისას ძირითადად მოტივირებული არიან ბაზრის ათვისებით, რომლის დროსაც

ინვესტორებს არ აქვთ მოტივაცია, განახორციელონ ექსპორტი, რაც დასტურდება საქართველოში ფუნქციონირებად შემდეგ კომპანიებში დაბანდებული ინვესტიციებით. (ეს ის კომპანიებია, სადაც ინვესტორთა მიერ უპის დაბანდებისას მოტივაცია ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული): ნერჟი, ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია, სოკარ ენერჯი ჯორჯია, კავკასიის ბეტონი 2007, ჯაზა, საქართველოს მარანი, უშბა დისტილერი, კანარგო ჯორჯია, თიმალი, თბილისელები პლუს, პოსეიდონი, ელიტა ბურჯი, ლოსაუჩი, ჯი ემ თი ღვინის კომპანია, ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, გელათი 2007, პოულტრი ჯორჯია, საზღვაო ლოიდი, კოკა-ტაური, ზო-ბაბა და საი გლობალ ჯორჯია (საქსტატიდან და “ზია“-გან შეკვეთილი მონაცემების საფუძველზე).

უპი ზოგჯერ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცხოვრების სტანდარტების ზრდას, რაც შემდეგში გამოიხატება: უპი-ის დროს იზრდება დასაქმება და მომხმარებელთა არჩევანი. ეს დასტურდება იმით, რომ ადრე ამავე ქვეთავში აღვნიშნეთ კომპანიების მაგალითზე, რომ უპი ხელს უწყობდა დასაქმებას და ასევე იზრდებოდა ზოგიერთ კომპანიაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა რამაც შესაძლოა თავის მხრივ განაპირობოს მომხმარებელთა არჩევანის გაზრდა.

დასკვნა: საქართველოში შემოდინებულ უპის, რომელიც ეფექტიანობის ამაღლებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, უნდა განეპირობებინა პირდაპირი გზით ექსპორტის ზრდა, რაც გამომდინარეობს შემდეგიდან: თუ დავაკვირდებით 2009, 2011 და 2013 წლებში ეფექტიანობის მაძიებელი უპის ზომას საქართველოში, ისინი თითქმის თანაბარი იყო. რესურსებზე ორიენტირებული უპი, რომელიც ასევე უწყობს ხელს ექსპორტს მიმღები ქვეყნიდან, იყო დაბალი ანუ ამ ინვესტიციებს არ უნდა ეთამაშა დიდი როლი ექსპორტის ზრდაში. რაც შეეხება ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულ უპის, რომელიც დიდი მოცულობით შემოვიდა ქვეყანაში, ისიც ვერ შეასრულებდა დიდ როლს ექსპორტის ზრდაში, რადგანაც ასეთი უპი ორიენტირებულია მიმღებ ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციაზე.

საქართველოში რეკომენდებულია ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის მოზიდვა, რასაც მთავრობა ისედაც ცდილობს, რაც სწორი პოლიტიკაა, ვინაიდან ასეთი სახეობის უპი ხელს უწყობს ქვეყნების მაღალ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში. ამ სახეობის უპი თუ რა ზომით შეუწყობს ხელს ეკონომიკურ

ზრდას დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სექტორში მოვიზიდავთ მას და მის ფორმებზე (ბრაუნფილდ თუ გრინფილდ ინვესტიციები).

3.2 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი

საწარმოთა ხარჯების შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტიციის შემოდინებას, რომლის ერთ-ერთი სარგებლიანობა მიმღები ქვეყნისათვის ექსპორტის ზრდაა, რაც საქართველოსთვის ძალიან აუცილებელია, ვინაიდან ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა მზარდი სავაჭრო დეფიციტია, რომლის დაძლევა შეიძლება ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობით.

საქართველოში შემცირდა გადასახადების რაოდენობა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ერთნაირად მომხდარიყო მიდგომა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისადმი. შესაბამისად გათანაბრდა ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ბიზნესის პირობები, შემცირდა ტარიფები და რამდენიმე ქვეყანასთან ასევე ძალაში შევიდა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამ ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში ძირითადად ბაზრის ათვისებასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორები შემოვიდნენ. ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორები მოტივირებული არიან ხარჯების შემცირებითა და მესამე ქვეყანაში ექსპორტის ზრდით, ხოლო ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, რომ განახორციელონ ექსპორტი, რაც განპირობებულია კონკურენციის ზრდით მიმღებ ქვეყანაში.

2006 წლამდე საქართველოში ინვესტორების შემოსვლის ძირითადი მოტივი იყო იაფი რესურსების ათვისება (Sikharulidze 2012, 71), ხოლო 2006 წლის შემდეგ მთავრობამ განახორციელა რეფორმები იმისათვის, რომ მომხდარიყო საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და შექმნილიყო პოტენციური ინვესტორებისათვის ბიზნესზე მორგებული გარემო, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ინვესტორთა ხარჯების შემცირებაში, რამაც გამოიწვია ეფექტიანობის ამაღლებაზე

ორიენტირებული ინვესტიციების სტიმულირება (რომლის დროსაც ინვესტორები ექსპორტს ახორციელებენ მიმღები ქვეყნიდან), ასევე 2007-2013 წლებში ქვეყანაში შემოვიდნენ საშინაო ბაზრის და რესურსების მაძიებელი ინვესტორები. ამის გამო, მოხდა ექსპორტის მკვეთრი ზრდა, რაც ადასტურებს იმას, რომ 2007 წლის შემდეგ გვაქვს ქვეყანაში შემოდინებული უპი-ის მოტივაციების დივერსიფიკაცია (სამივე სახეობის უპი ასოცირდება ექსპორტის განხორციელებასთან). თუმცა ასევე ისმის კითხვა: რატომ შემოვიდნენ საშინაო ბაზრის მაძიებელი ინვესტორები და რატომ განახორციელეს მათ ექსპორტი? არსებობს ამის რამდენიმე მიზეზი: პირველი, გადასახადების შემცირებამ განაპირობა ინვესტორთა ხარჯების შემცირება, პროდუქციის დაბალ ფასში გაყიდვა და ბაზრის მომსახურების გამარტივება. მეორე, ასეთი ინვესტორები ექსპორტს ახორციელებდნენ შემდეგი მიზეზების გამო: გადასახადების შემცირების პირობებში მცირდებოდა ინვესტორებისა და ადგილობრივი კომპანიების ხარჯები და მათ ერთ და იმავე პროდუქციაზე აწესებდნენ თითქმის თანაბარ ფასებს. რიგ შემთხვევებში უცხოელი ინვესტორები მოგების მაქსიმიზაციით არიან მოტივირებული. ამის გამო, მათ შეეძლოთ უფრო მაღალი ფასის დაწესება, ვიდრე ადგილობრივ ფირმებს. შესაბამისად, თუ ინვესტორს გაუჭირდებოდა პროდუქციის რეალიზაცია, მას შეიძლება შემდეგ განეხორციელებინა ექსპორტი.

ასევე ინვესტიციების შემოდინების ზრდას განაპირობებს ის, რომ ახალი შრომის კოდექსი ამცირებს სამუშაო ძალის ხარჯს და უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს კონტრაქტთან მიმართებაში დამქირავებელსა და დაქირავებულს. ჩვენ მიერ ჩატარებულ რეგრესიულ ანალიზში დადასტურდა, რომ ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა (1 ლარით) მნიშვნელოვნად ამცირებს უპის შემოდინებას ქვეყანაში (კირკიტაძე 2018, 146).

ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტები მკაცრ მოთხოვნებს არ უყენებენ უცხოურ კომპანიებს. ის, რომ ეს ფაქტორი ხელს უწყობს უპის შემოდინებას იმიტაც დასტურდება, რომ 1996 წლიდან სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან ერთად უპი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა ბაზა (საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, კვარტლებისა და წლების

მიხედვით) და საქსტატის მასალები (უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში 1996-2018 წლებში).

2012-2017 წლებში უპის არასტაბილური მატების დინამიკა მეტყველებს, რომ ბევრია გასაკეთებელი ქვეყანაში ინვესტორების მოსაზიდად. აქ იგულისხმება: ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება, რომელიც ამცირებს ბიზნესის წარმოების ხარჯებს, გადასახადების შემცირება, ან მთავრობის თანადაფინანსების საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, საკანონმდებლო რეფორმა და სხვა. როდესაც განვიხილავთ საქართველოს მიმზიდველობას უპისთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, რომელიც არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი ინვესტორებისათვის საზღვარგარეთ; თუკი არანაირი ზომები არ იქნა მიღებული საკანონმდებლო სისტემის სამართლიანობის გარანტირებისათვის, მაშინ შეიძლება სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორები შეიქმნას უპის მოზიდვისათვის მომავალში; სხვა პრობლემა, რომელიც აიძულებს ინვესტორებს, იყვნენ ფრთხილი ინვესტიციების დაბანდებისას, არის ლარის კურსის არასტაბილურობა და მზარდი ინფლაცია და ეს ასევე ეხება საქართველოს; ნაყოფიერი გზა უპის მოზიდვისა შეიძლება იყოს საგადასახადო პოლიტიკა, რთულია უპის მოზიდვა საგადასახადო პრივილეგიების დაწესების გარეშე, ასეთი პრივილეგიები შეიძლება იყოს საგადასახადო არდადეგები; მსოფლიო პრაქტიკა მეტყველებს, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის საგადასახადო პრივილეგიები უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დიდი კომპანიებისათვის.

საქართველოში სამუშაო ძალის ფასი ევროპულ ქვეყნებთან შედარებით არის უფრო დაბალი, რაც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომაც ჩამოდიან უცხოელები საქართველოში ბიზნესის დასაწყებად; სავაჭრო ლიბერალიზაცია დადებითად აისახება უპის მოზიდვაზე; სავაჭრო ლიბერალიზაცია იწვევს ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას და აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს მიმღებ ქვეყანაში. ქვეყნები, სადაც დაბალი სავაჭრო ბარიერებია, ასევე ფლობენ დაბალ ბარიერებს უპისადმი.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ქვეყნის საექსპორტო სექტორში უპის მოზიდვის ერთ-ერთი გზაა,

ვინაიდან ქვეყანას ესაჭიროება კაპიტალი და ცოდნა, რომ ვაწარმოოთ და ექსპორტზე გავიტანოთ პროდუქცია; ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი ასტიმულირებს იმ უცხოელი პირდაპირი ინვესტორების შემოდინებას საქართველოში, რომლებიც მოტივირებული არიან ბიზნესის წარმატებულად წარმოებით. სახელმწიფომ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საერთაშორისო ვაჭრობის წახალისებაში ინვესტიციების სტიმულირებით და თანამშრომლობის გაღრმავებით ცალკეულ ქვეყნებთან, მთავრობებსა და ფირმებთან. არაპირდაპირი გადასახადები, რომელებიც უფრო მაღალია, ვიდრე პირდაპირი უცხოელების საშემოსავლო გადასახადები, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს უპის შემოდინებას; არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია ბიზნესის წარმოების ინდიკატორებსა და უპის ნაკადებს შორის; ასევე უცხოური ბიზნესის დასაწყებად პროცედურების რაოდენობა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს უპიზე.

საქართველოში შემდეგი ინდუსტრიები ხასიათდება უპის მოზიდვის მაღალი პოტენციალით: ჰიდროელექტროენერგეტიკა, ლოჯისტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი. ინვესტიციებისათვის საქართველოში ჰიდროელექტროენერჯის სექტორი მიჩნეულია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველად, ვინაიდან ამ სექტორში ინვესტორების მიერ შესაძლოა მაღალი მოგების მიღება. ამ სექტორის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პოტენციალის 65% ჯერ კიდევ არაა გამოყენებული (<http://www.mkd.ge/resources/newsletter/510-georgia-is-the-best-place-to-invest-in-hydro-power>). ენერჯეტიკის სექტორი შესაძლოა მივიჩნიოთ მიმზიდველად, რადგან ინვესტორები პირველ რიგში მაღალი უკუგების მქონე დარგებით არიან დაინტერესებული. ტურიზმი და სატრანსპორტო სექტორი ასევე მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, ვინაიდან ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით ქვეყანას აქვს პოტენციალი, გახდეს მთავარი კომერციული და ლოჯისტიკური ცენტრი კავკასიაში.

დადებითი საინვესტიციო აქტივობა განპირობებულია კარგი ეკონომიკური კლიმატით. უპი-ის გრავიტაციული მოდელის თანახმად, მიმღები ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა (მშპ, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე) და აქ დაბანდებულ უპი-ის შორის არსებობს დადებითი კავშირი. 2017 წელს ჩინეთმა მოიზიდა ყველაზე მეტი უპი განვითარებად ქვეყნებს შორის და ამავე წელს მისი მშპ

იყო ყველაზე მაღალი (უნკტადი, უპის შემოდინება მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 1990-2017 წწ. WITS-ის მონაცემთა ბაზა, ნომინალური მშპ \$, 1988-2017 წწ.). ეკონომიკური ზრდა აუმჯობესებს ბიზნესკლიმატს. ამ პირობებში ქვეყანაში მეტი ინვესტორი შემოდის ინვესტიციების დასაბანდებლად (KBILTSETSKHLASHVILI 2008, 53). ცხადია ისიც, რომ მუდმივი ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ინვესტიციების დონესთან ჩვენს ქვეყანაში. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ პერიოდამდე ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ისეთ პრობლემებს, როგორცაა: ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ნაკლებობა, სისტემური კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი ხვედრითი წილი (KBILTSETSKHLASHVILI 2008, 12). ის, რომ ამ ფაქტორების დაძლევა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უპი-ის მოზიდვას ადასტურებს შემდეგი ცხრილი:

ცხრილი №14

საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები 1996-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
1996	3.8
1997	242.6	38.8	48.5	97.0	58.2
1998	265.3	19.1	97.8	45.0	103.4
1999	82.2	19.4	22.3	20.0	20.6
2000	131.2	32.7	30.0	28.9	39.5
2001	109.8	20.0	30.8	29.8	29.2
2002	160.2	24.4	44.6	36.4	54.8
2003	334.6	56.3	80.4	83.4	114.4
2004	492.3	118.2	117.2	133.0	123.9
2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7
2006	1,171.2	145.2	318.0	332.4	375.5
2007	1,764.7	330.8	375.3	470.6	588.0
2008	1,575.2	540.1	607.7	136.1	291.3
2009	666.8	114.5	178.3	179.1	194.9
2010	865.6	176.1	211.5	236.8	241.2
2011	1,134.0	222.6	273.1	309.1	329.2
2012	1,048.2	312.4	248.0	220.5	267.3
2013	1,039.2	291.8	224.1	271.6	251.6
2014	1,837.0	331.9	217.6	749.5	538.0
2015	1,729.1	343.4	493.2	531.1	361.3
2016	1,650.3	392.2	452.1	506.5	299.5

2017	1,962.6	411.7	394.0	627.9	529.0
2018	1,265.2	323.5	403.6	367.0	171.0


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>; ნანახია
 9/29/2019

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003 წლის შემდეგ გაიზარდა ინვესტიციების შემოდინება.

საქართველოს ოფიციალური მაკროეკონომიკური პარამეტრები არის ოპტიმისტური (HE Ortwin Hennig 2010). ზრდა ეკონომიკაში დაიწყო 2004 წლიდან, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გამო, რომელიც შეიცავდა ბიზნესის ლიბერალიზაციას, კრიმინალის შემცირებასა და პრივატიზაციის დაჩქარებას. ამ ყველაფერს დადებითი ეფექტი ჰქონდა ეკონომიკაზე და გამოიწვია უპის მოცულობის გადიდება (Gursoy 2007, სათაურის „Miscellaneous INVESTMENT CLIMATE IN GEORGIA AND ATTRACTING FOREIGN DIRECT INVESTMENT“ ქვეშ) აღნიშნული ფაქტი შესაბამისობაშია უპი-ის გრავიტაციულ მოდელთან. მთავრობის რეფორმების წარმატებულობამ განსაზღვრა ის, რომ ინვესტორები ამ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებას უწევდნენ რეკომენდაციას. მუდმივი ეკონომიკური განვითარება არის დაკავშირებული საკმარისი ინვესტიციების დონესთან ჩვენს ქვეყანაში.

დიაგრამა №1

რეალური მშპ საქართველოში 2010-2018 წწ. (მილიარდი ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>; ნანახია
 9/29/2019

როგორც ზედა ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, რეალური მშპ-ის მუდმივ ზრდასთან ერთად უპი 1000 მლნ. აშშ დოლარზე მეტი იყო.

მშპ-ის შემცირებამ მნიშვნელოვნად გამოიწვია უპის შემცირება. ეკონომიკურმა პრობლემებმა სერიოზულ კრიმინალურ პრობლემებთან ერთად, შეაფერხა ქვეყანაში უპის შემოდინება (Gursoy 2008, 20). 2011 წლის 1 ივლისს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომელმაც დამატებით შეამცირა მთავრობის ჩარევა ბაზარზე, ეკონომიკური სტრუქტურა უფრო ლიბერალური გახდა რამაც განაპირობა მაღალი ეკონომიკური ზრდა. აღნიშნული ფაქტები შესაბამისობაშია უპი-ის გრავიტაციულ მოდელთან. ამ მოდელის თანახმად, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში მეტი უპი შემოვა. ქვეყანაში მოხდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ლიბერალიზაცია და უცხოელი ინვესტორებისათვის გამარტივდა უპი-ის განხორციელება. საქართველოში შეიქმნა უფრო მეტად ინვესტორზე მორგებული კანონმდებლობა. ქვეყანაში გატარდა რეფორმები, რომლებიც ხელს უწყობს ინვესტორთა დიდი ხნით დარჩენას ქვეყანაში, ვინაიდან უპი-ის დაბანდების შემდეგ არ წარმოექმნებათ დამატებითი პრობლემები.

ორგანიზაცია „ტიაი ჯორჯიას“ კვლევის მიხედვით, ინვესტორებმა განაცხადეს, რომ ახალი კანონმდებლობა არ ზღუდავდა ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობებსა და ინვესტიციებს. ქვეყანაში გატარდა ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს გრინფილდ ინვესტიციების შემოდინებას. ამავდროულად, კანონმდებლობა, რომელიც ქმნის სერიოზულ პრობლემებს ინვესტორებისათვის საქონლის ტრანსპორტირების ბიზნესში (Transparency international georgia 2015).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უცხოელი ინვესტორების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არის ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, რომლის დონე მაღლია სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით. თუმცა, ინვესტორები პრობლემად მიიჩნევენ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის არასაკმარისობას საქართველოში. ამას აქვს უარყოფითი ეფექტი უპი-ის ბიზნეს კლიმატზე (KBILTSETSKHLASHVILI 2008, 36). ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დიდი რაოდენობით უპი იმის გამო მოიზიდეს, რომ მათ ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა (DOING BUSINESS 2017, 56). ქვეყანას არ აქვს ისეთი

ენერგიული ადამიანების დეფიციტი, რამაც შეიძლება მიიზიდოს ინვესტორთა ყურადღება საქართველოში.

ქვეყანაში არსებული ინვესტორზე მორგებული გარემო გამოიხატება შემდეგში: ბიზნესთან დაკავშირებული სასამართლო დავები წყდება მთავრობის ჩარევის გარეშე; არსებობს ნაწილობრივ თავისუფალი სასამართლო სისტემა; მთავრობა აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ იყოს თავისუფალი საბაზრო პირობები. საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდინან ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები, რადგან თავისუფალი ბაზრის პირობებში ხდება ორ მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე საქონლის გაყიდვა ან სერვისის გაწევა, გამყიდველისათვის სასურველ ფასში; საქართველოს საბანკო სისტემამ დადებითი გამოხმაურება მიიღო ინვესტორებისგან. უმეტესმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საბანკო სექტორი აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, თუმცა სხვებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მას სჭირდება დამატებითი განვითარება. უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საქართველოს მიმზიდველად ხდის, რომ მოვემსახუროთ სხვა ბაზრებს, კერძოდ ევროკავშირსა და თურქეთს. აღნიშნული ფაქტორის შესაბამისობას უპი-ის მოსაზიდად ადასტურებს ის, რომ 2018 წელს ქვეყანაში მეორე ადგილი დაიკავა ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულმა ინვესტიციებმა, რომლის დროსაც ინვესტორი მოტივირებულია ექსპორტის განხორციელებით მიმდები ქვეყნიდან. ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი და მინერალური რესურსებით; დაჩქარდა სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესი და გამარტივდა საკუთრების რეგისტრაციის პროცედურები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გრინფილდ ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

სახელმწიფოს საკუთრების პრივატიზაცია ზრდის ინვესტიციებს და აუმჯობესებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. ინვესტორმა შეიძლება დაიწყოს აქტივების პრივატიზებისათვის დაჩქარებული პროცესები; აგრესიულმა ანტიკორუფციულმა ზომებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია და გაზარდა სახელმწიფო შემოსავლები, შეამცირა ჩრდილოვანი ეკონომიკა. არსებობს უარყოფითი კავშირი კორუფციასა და ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულ უპი-ის შორის (Munga 2012, 11).

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება გაზრდის საქართველოს საინვესტიციო მიზიდველობას და დაიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რისი შესაბამისობაც უპი-ის მოზიდვისათვის დასტურდება იმით, რომ საქართველოში მე-2 ადგილი დაიკავა ეფექტიანობის მაძიებელმა ინვესტიციებმა, რომლის დროსაც ინვესტორი ექსპორტის განხორციელებით არის მოტივირებული მესამე ქვეყანაში. თუმცა ქვეყანაში არსებობს ნეგატიური ფაქტორები: შეზღუდული შიგა ბაზარი; რუსეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური განუსაზღვრელობა; სუსტი კონკურენცია; ქართული საკრედიტო ბაზრის სიმცირე. აშკარაა ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა - 3.7 მილიონი, ცოტაა უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად; ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო ხარჯები და ადამიან-კაპიტალი საჭიროებს გაუმჯობესებას. დიდი კომპანიების მოზიდვა რთულდება პატარა შიგა ბაზრის გამო, თუმცა აღნიშნული პრობლემა მხოლოდ დიდი, და არა მცირე და საშუალო კომპანიების მოზიდვას აფერხებს. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის მერე ინვესტორებს ეშინათ საქართველოში უპის დაბანდება და ეს პროცესი პოლიტიკური მიზეზების გამო შეზღუდულია; ქვეყანას გააჩნია ორი კონფლიქტური რეგიონი; არსებობს პრობლემები ბიზნესკლიმატთან მიმართებაში ამ მიზეზების გამო ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები 2007-2017 წლებში შეადგენდა შემოდინებული უპი-ის მხოლოდ 17 %-ს. საქართველო კვლავ დამოკიდებულია მის მეზობლებზე ენერჯის რესურსების მხრივ (გაზი, ნავთობი, ელექტროენერჯია და სხვა).

ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება, რაც ინვესტორებს აქვთ ქვეყანაში არის სასამართლო სისტემა. ამ სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევით დადგინდა, რომ მოსახლეობის 62% არ ენდობა სასამართლო სისტემას, 38% ენდობა და მხოლოდ 7% ენდობა სრულად. ზოგიერთი კომპანია ენდობა სასამართლო სისტემას მაშინ, როდესაც აქვს კონფლიქტი კერძო სექტორთან, მაგრამ არ ენდობა როდესაც კონფლიქტი მთავრობასთანაა (Gursoy 2008, 30).

სხვადასხვა ნაშრომის თანახმად უპის მოზიდვის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ბუნებრივი რესურსები (Dinda 2009, 4). საქართველოში ეს რესურსები ჭარბი რაოდენობითაა, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ინვესტორებისათვის.

ქვეყანაში შეიქმნა ადგილმდებარეობის უპირატესობები, რამაც 2006 წლის მერე მკვეთრად გაზარდა ინვესტიციების შემოდინება საქართველოში. ეს იმითაც აიხსნება, რომ 2006 წლის მერე სახეზე გვაქვს შემოდინებული უპის მოტივაციების დივერსიფიკაცია, რამაც გაზარდა ექსპორტი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყანაში ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემის მზარდი სავაჭრო დეფიციტის დასაძლევად. ანალიზის პროცესში ირკვევა, რომ საქართველოში შემოდინებული უპის ზომა დამოკიდებულია ადგილმდებარეობის უპირატესობების დონეზე (მაგალითად იმაზე, თუ საპროცენტო განაკვეთი რამდენად შემცირდება) და თუ არ მოხდა ადგილმდებარეობის უპირატესობების დამატებით დივერსიფიკაცია მაშინ შესაძლოა ვერ მოხდეს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. როგორც ავტორის მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზიდან ირკვევა, ხელფასის შემცირება მნიშვნელოვნად ზრდის უპის შემოდინებას. ტარიფების შემცირება ასევე ხელს უწყობს უპის შემოდინებას, რაც, მაგალითად, საქართველოში 2007-2017 წლებში შემოდინებული უპის ჯამური მოცულობიდან მე-2 ადგილი დაიკავა ეფექტიანობის მაძიებელმა ინვესტიციებმა, რომლის დროსაც ინვესტორები მიმღები ქვეყნიდან ექსპორტის განხორციელებით არიან მოტივირებული. ქვეყანაში უპის შემოდინებას ხელს უწყობს ადგილმდებარეობის უპირატესობები ვინაიდან საქართველოში ინვესტორები პირველ რიგში ყველაზე მაღალი უკუგების მქონე დარგებით არიან დაინტერესებული, ხოლო ადგილმდებარეობის უპირატესობა, ეს ის ფაქტორებია, რომლებიც მიმღებ ქვეყანაში ინვესტორის მიერ უფრო მაღალი მოგების მიღებას განაპირობებს, ვიდრე ბაზირების ქვეყანაშია.

სტატისტიკური მასალის (რეალური მშპ-ს და უპის) ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში უპის შემოდინება შესაძლოა ავხსნათ უპის გრავიტაციული მოდელით. საქართველოში შემოდინებული უპის სტატისტიკით ირკვევა, რომ “ვარდების რევოლუციამ” მნიშვნელოვნად განაპირობა უპის შემოდინების ზრდა. საქართველოში არ მოიძებნა სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპის სტატისტიკა, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ასეთი ინვესტორი კვალიფიციური სამუშაო ძალის დასაქმებით არის მოტივირებული, ეს კი საქართველოში პრობლემადაა მიჩნეული. საქართველოში ანტიკორუფციულმა ზომებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის ზრდა.

3.3 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დეტერმინანტების ანალიზი

საქართველოში

დანინგის ეკლექტიკური პარადიგმისა და უპი-ის სხვა თეორიების განხილვის შემდეგ აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები განაპირობებს უპი-ის შემოდინებას ქვეყანაში. ამ ქვეთავში ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ უპი-ის შემოდინების ერთ-ერთი ფაქტორია მეგშ, რაც დანინგის ეკლექტიკური პარადიგმის თანახმად, უნდა მოვიაზროთ ადგილმდებარეობის უპირატესობად, რადგან მაღალი მეგშ მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა მაღალია, ხოლო ამ შემთხვევაში იზრდება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მაღალი შემოსავლის მიღებას ინვესტორის მიერ.

ამ ქვეთავში პირველ ეტაპზე ვეცდებით სწორი რეგრესიის მეთოდოლოგიის შერჩევას, რაც აუცილებელია ეკონომეტრიკული ანალიზისთვის. რეგრესიის მეთოდოლოგიაში მოიაზრება: ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი, ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდი, მაქსიმალური ალბათობის მეთოდი, ორგანზომილებიანი (მარტივი) წრფივი რეგრესია, არაპარამეტრიკული რეგრესია, ლოგისტიკური რეგრესია, ბაიესიანური რეგრესია, რობასტული რეგრესია: როგორცაა M-ესტიმატორი, ბუნდოვანი (fuzzy) რეგრესია, შემთხვევითი/რანდომული კოეფიციენტების რეგრესია, 11 და q-კვანტილური რეგრესია, რეგრესია სივრცულ სფეროში, მრავლობითი რეგრესია, ქედის (ridge) რეგრესია, პოლინომიალური რეგრესია, ნახევარპარამეტრიკული რეგრესია და არაწრფივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი. ასევე შევამოწმებთ მართებული იქნება თუ არა ავტორეგრესიული მოდელის გამოყენება, ავტორეგრესიული ინტეგრირებული მცოცავი საშუალოს მოდელის ან ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელის გამოყენება იმის შემოწმებით, არსებობს თუ არა ავტოკორელაცია იმ ცვალებადში, რომლის მოდელირებასაც ვახდენთ. ასევე შესაძლოა, საჭირო გახდეს სეზონალური ავტორეგრესიული ინტეგრირებული მცოცავი საშუალოს მოდელის გამოყენება, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც ვახდენთ მოდელირებას სეზონალური მონაცემებით, ანუ დამოკიდებული ცვლადი არის სეზონალური. ასევე გავითვალისწინებთ უპის პროგნოზირების საზღვარგარეთ გამოყენებულ მეთოდებს.

ჩვენ გამოვავლინეთ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს უპი-ის შემოდინებას საქართველოში, კერძოდ პირველ ეტაპზე დავადგინეთ თეორიულად მნიშვნელოვანი ფაქტორები, ხოლო მეორე ეტაპზე ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით ამ რამდენიმე ფაქტორიდან დავადასტურეთ, რომ ფაქტორების შედარებით მცირე რიცხვი მართლაც ზოგიერთი დადებითად და ასევე ზოგიერთი უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე საქართველოში

დისერტაციის ავტორმა ახლებურად გაანალიზა საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორები, კერძოდ, გავანალიზეთ აღნიშნული ფაქტორები იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც იქნა მიჩნეული შესაბამისად უფრო ზუსტი დასკვნების გამოსატანად.

3.3.1 პროცედურები სწორი რეგრესიის ამოსარჩევად და მისი დადგენა

პარამეტრიკული რეგრესია უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც კავშირი დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის ცნობილია. პარამეტრიკული რეგრესიის მოდელები მოიცავს: წრფივ, გენერალიზებულ წრფივ მოდელებსა და არაწრფივ მოდელებს, ვინაიდან ვიცით ფუნქცია, რომელიც აღწერს კავშირს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის.

არაპარამეტრიკული რეგრესია გამოიყენება მაშინ, როდესაც კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის არის უცნობი და არაწრფივი.

ნახევარპარამეტრიკული რეგრესიული მოდელები გამოიყენება მაშინ, როდესაც ვიცით რა კავშირია დამოკიდებულ და დამოუკიდებელი ცვლადების ნაწილს შორის და არ ვიცით თუ როგორი კავშირია ამ დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელი ცვლადების სხვა ნაწილს შორის.

შესაბამისად, იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რომელი მეთოდი (პარამეტრიკული, ნახევარპარამეტრიკული თუ არაპარამეტრიკული) გამოვიყენოთ, პირველ ეტაპზე მართებულად მიგვაჩნია დავადგინოთ ის, თუ რომელი ცვლადები ჩავრთოთ მოდელში. საბოლოო მოდელში ჩასართავი ცვლადებია: უპი - დამოკიდებულ ცვლადი და პოტენციური დამოუკიდებელი ცვლადები: მშპ მუდმივ ფასებში, დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია), ეროვნული შემოსავალი, სუბსიდიები, მოსახლეობის რიცხოვნობა და იმპორტ-ექსპორტი. როდესაც გვაქვს ბევრი დამოუკიდებელი ცვლადი

და გვინდა მხოლოდ მნიშვნელოვანი ამოვირჩიოთ ამ ცვლადთა სიმრავლიდან, მაშინ ეს შესაძლოა ჩატარდეს stepwise least squares-ის გამოყენებით. ამ stepwise least squares-ის გამოყენება დაგვეხმარება ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის ერთ-ერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში. კერძოდ იმაში, რომ ყველა შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადი იყოს ჩართული მოდელში იმისათვის, რომ მივიღოთ რეგრესიული ანალიზის ზუსტი შედეგები. ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა დავადგინოთ ის ცვლადები, რომლებიც მოდელში ყველა ვარიანტში დარჩება (ანუ თეორიულად ის ცვლადები, რომლებიც დიდი ალბათობით მოახდენს დამოკიდებული ცვლადის ცვლილების ახსნას), რომლებიც ჩაიწერება ივიუსის პროგრამაში ასეთი რეგრესიის ჩატარებისას შესაბამის ველში. ასევე დასადგენია ის ცვლადები, რომლებიც შეიძლება (არა აუცილებრივ) დაემატოს ძირითად მოდელს ანუ შესაბამის ველში მიუთითებ იმ ცვლადებს, რომლებიც თეორიულად დაბალი ალბათობით მოახდენს ზეგავლენას დამოკიდებულ ცვლადზე. stepwise least squares დაგვეხმარება ასევე შემდეგში: 1) თუ R-კვადრატი (დეტერმინაციის კოეფიციენტი) არცთუ მაღალია (მაგალითად უდრის 0.4) ან ძალიან დაბალია, ეს შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ მოდელში არ იქნა ჩართული მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადები (ფაქტორები), რაც დასტურდება გარკვეულ დონემდე იმით, რომ თუ დამოუკიდებელი ცვლადები ცოტაა, R-კვადრატი დაბალია იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც დამატებითი ფაქტორები ემატება მოდელს, თუმცა ეს ზრდა მცდარია, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კორექტირებულ დეტერმინაციის კოეფიციენტზე. შესაბამისად უნდა მივინდოთ R-კვადრატის იმ დონემდე ზრდას, როდესაც მხოლოდ შესაბამისი ფაქტორები იქნა ჩართული მოდელში და არ უნდა შევიყვანოთ ზედმეტი ფაქტორული ნიშნები ისე, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი გახდეს მაქსიმალური, ანუ 1-ის ტოლი, რაც დასტურდება იმით, რომ როდესაც დეტერმინაციის კოეფიციენტი არის 1-ის ტოლი ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოდელი ვალიდურია. ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ stepwise least squares-ი, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ ბევრი დამოუკიდებელი ცვლადიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი ჩავრთოთ მოდელში (<http://www.eviews.com/help/helpintro.html#page/content/Regress2> Stepwise_Least_Squares_Regression.html). 2) stepwise least squares დაგვეხმარება

პარსიმონიული მოდელის შექმნაშიც. ტრადიციულად, სტატისტიკური მოდელირების მიზანია ყველაზე პარსიმონიული ანუ ისეთი მოდელის მოძებნა, რომელსაც აქვს რაც შეიძლება ნაკლები დამოუკიდებელი ცვლადები და ამავდროულად, დამაკმაყოფილებლად პროგნოზირებს დამოუკიდებელ ცვლადს. პარსიმონიული მოდელის აუცილებლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პოლინომიალური მოდელების არჩევისას თუ ორი პოლინომიალური მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი არის თითქმის ერთი და იგივე, მაშინ ვირჩევთ უფრო დაბალი თანრიგის პოლინომიალს. მაგალითად, კუბური პოლინომიალის მაგივრად ვირჩევთ კვადრატულ პოლინომიალს. ასევე პარსიმონიული მოდელის არჩევით თავიდან ავიცილებთ ოვერფითინგსაც, რის საფუძველზეც შესაძლოა მივიღოთ უფრო ზუსტი კოეფიციენტები, p -ღირებულება და R -კვადრატი.

როდესაც მოვაცილებთ ცვლადებს *stepwise least squares*-ით შეგვიძლია დავადასტუროთ მათი არ ჩართვის მართებულობა გამოტოვებული ცვლადების ტესტით. ეს ტესტი გვაძლევს საშუალებას, დავუმატოთ ცვლადები მოდელს და დავადგინოთ, ამ ახალ ცვლადებს თუ შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილების ახსნაში. თუ ამ ტესტის თანახმად დადგინდა, რომ დამატებითი რეგრესორები (ანუ რომლებიც ამოვიღეთ) არ არის[აქამდე ჩასწორდა] ერთობლივად მნიშვნელოვანი, მაშინ დადასტურდება *stepwise least squares*-ით ამ რეგრესორების ამოღება. ასევე ეს ორი ტესტი შეგიძლია დავადასტუროთ ზედმეტი ცვლადების ტესტით. ეს ტესტი ადგენს მოდელში ჩართული ცვლადების არსებობას. ამ ტესტით შეიძლება დავადგინოთ, ამოღებულ იქნეს თუ არა ის ცვლადები, რომლის ამოღებაც გახდა საჭირო *stepwise least squares*-ით. თუ ზედმეტი ცვლადების ტესტმა გახადა საჭირო ამ ცვლადების ამოღება, მაშინ დადასტურდება *stepwise least square*-ის მოთხოვნა. გამოტოვებული ცვლადების ტესტი შესაძლოა გამოიყენო ასევე წრფივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის დროსაც. ასევე ამ ტესტების დასადასტურებლად შესაძლოა გამოვიყენოთ ვალდ ტესტი, რაც დაგვებმარება დავადგინოთ არის თუ არა დამოუკიდებელი ცვლადი მნიშვნელოვანი. ვალდ ტესტი შესაძლოა გამოვიყენოთ უმცირეს კვადრატთა მეთოდის დროსაც. ასევე ზედა ტესტების დასამტკიცებლად შესაძლოა გამოვიყენოთ *likelihood-ratio* ტესტი. ამ ტესტის დროს შემოკლებულ მოდელში შევიყვანთ იმ ცვლადებს, რაც დატოვა *stepwise least*

squares-მა, ხოლო სრულ მოდელში შევა ასევე ის ცვლადები, რაც ამოგდო stepwise least squares-მა. თუ შემოკლებული მოდელი იქნა უკეთესი, მაშინ დადსტურდება stepwise least squares-ით ამ ცვლადების ამოღება. შესაბამისად ვინაიდან დაინტერესებული ვართ ცვლადების შემცირებაში, ვიყენებთ stepwise-backwards პროცედურას. ამ პროცედურის დროს ყველა შესაძლოდ დამატებული ფაქტორები პირველად არის შეყვანილი მოდელში. თუმცა ამ პროცედურის დროს არ შეგვყავს სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ვინაიდან ეს ცვლადი არის მოცემული საქსტატის ვებგვერდზე თვეების მიხედვით, ხოლო სხვა ყველა ცვლადი მოცემულია წლიურად. ის ცვლადები, რომლებიც გამოყენებულ იქნება ასეთი რეგრესიის დროს შემდეგია: რეალური მშპ (მლნ. ლარი), მეგშ (მთლიანი ეროვნული განკრგვადი შემოსავალი), უპი (უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მლნ. ლარი), დაქირავებულ დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), ექსპორტი (მლნ. ლარი), იმპორტი (მლნ. ლარი), მოსახლეობის რიცხოვნობა 1-ლი იანვრისათვის (1000 კაცი) და სუბსიდიები (მლნ. ლარი). აღნიშნული ცვლადების დინამიკა წარმოდგენილია 2003-2018 წლებისათვის.(იხილეთ დანართი №1)

ახლა დავადგინოთ თეორიულად ამ ცვლადებიდან, რომელი იქნება მნიშვნელოვანი მაღალი და დაბალი ალბათობით. ამ შეკითხვაზე პასუხი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ ძირითადად რა მოტივაციით შემოდიოდა ინვესტორი საქართველოში. სხვადასხვა წყროებით ირკვევა, რომ ინვესტორები საქართველოში იყვნენ ძირითადად ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული. შესაბამისად ასეთი უპი-ის მოტივაციების გაანალიზებისას ირკვევა, რომ ის ფაქტორები, რომლებიც დიდი ალბათობით ზეგავლენას მოახდენს უპი-ის შემოდინებაზე ქვეყანაში, შემდეგია: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, იმპორტი, მოსახლეობის რიცხოვნობა, მეგშ და რეალური მშპ (ვინაიდან ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი ხორციელდება სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში, ხოლო უკანასკნელი იზომება რეალური მშპ-თი), ხოლო ნაკლები ალბათობის მქონე ცვლადები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენს უპი-ის შემოდინებაზე ქვეყანაში, შემდეგია: სუბსიდიები (საქსტატის ვებგვერდზე განთავსებულ სუბსიდიების სტატისტიკიდან არ ჩანს თუ ინვესტორსა და ადგილობრივ ფირმებზე რა თანხა გაიცა სუბსიდიების სახით. შესაბამისად, ჩვენ გვიძნელდება იმის დადგენა, ხდებოდა თუ არა

სუბსიდიების გამო უპი-ის მოზიდვა ქვეყანაში) და ექსპორტი (ექსპორტის დროს ასეთ ინვესტორებს ეძლევათ უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ გაყიდონ პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე, ვინაიდან ხდება პროდუქციის რაოდენობის შემცირება ადგილობრივად, თუმცა იმავდროულად შესაძლოა ექსპორტი არ იყოს წარმატებული და ვერ გავყიდოთ საზღვარგარეთ, უკან ჩამოვიტანოთ ექსპორტირებული პროდუქცია). შესაბამისად ვერ ვადგენთ ზუსტად ხდებოდა თუ არა ქვეყანაში უპი-ის ზრდა ექსპორტის ზრდის გამო. stepwise least squares შედეგები იხილეთ დანართ № 2-ში. ანუ სუბსიდიები ამოვარდა და ექსპორტი დაემატა მოდელს ამ შედეგების თანახმად.

ამის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია დავადასტუროთ, ეს ცვლადები მნიშვნელოვანია თუ არა გამოტოვებული ცვლადების ტესტით.¹⁵ ამ ტესტის ჩასატარებლად შევდივართ view-coefficient tests-omitted variables-likelihood ratio: გამოგდებულ შედეგებში log likelihood ratio არის LR ტესტ სტატისტიკა და არის ასიმპტოტიკურად განაწილებული როგორც $X^{2(b)}$ კვადრატული განაწილება, სადაც თავისუფლების ხარისხი უდრის დამატებული რეგრესორების რიცხვს. თუკი LR ტესტ სტატისტიკის შესაბამისი probability არის ნაკლები ვიდრე კონკრეტული significance level (რომელიც აიღება მაგალითად 0.05-ის ეკვივალენტური), მაშინ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, რომლის შესაბამისად, მოდელისადმი დამატებული რეგრესორები არ არის ერთობლივად მნიშვნელოვანი. თუმცა აქ ვერ ვიყენებთ ამ ტესტს ვინაიდან ცვლადები-ექსპორტი და სუბსიდიები დაემატა მოდელს. თუმცა, ვინაიდან ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი და stepwise least squares მსგავსია ვინაიდან ორივე იძლევა ერთი და იმავე კოეფიციენტებს, მაშინ, უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით ჩავატაროთ რეგრესია იმ ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მივიჩნიეთ თეორიულად მნიშვნელოვნად და ამის მერე ჩავატაროთ გამოტოვებული ცვლადების ტესტი. ჩვენ შემთხვევაში prob. chi-square უდრის 0.2963-ს, რაც მეტია 0.05-ზე. (იხილეთ დანართი № 3)

¹⁵ აქ ვტესტავთ ორივეს სუბსიდიებს და ექსპორტს, მიუხედავად იმისა, რომ stepwise least squares-ის თანახმად მხოლოდ სუბსიდიები იქნა მიჩნეული არაარსებითად ვინაიდან თეორიულად მივიჩნიეთ, რომ ექსპორტიც შესაძლოა არ იყოს მიზეზობრივ კავშირში უპისთან

შესაბამისად, ამ ტესტის თანახმად, ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, რომ მოდელისადმი დამატებული რეგრესორები არ არის ერთობლივად მნიშვნელოვანი. ე.ი ექსპორტი და სუბსიდიები, ამ ტესტის თანახმად, არ არის ერთობლივად მნიშვნელოვანი.

ახლა ჩავატაროთ ვალდ-ის ტესტი. ამ ტესტის ჩასატარებლად შევდივართ view-coefficient tests-wald-coefficient restrictions, როდესაც ვიწყებთ ამ ტესტის ჩატარებას, საჭიროა მივუთითოთ რას გაუტოლებთ კოეფიციენტს. მაგალითად, ვინაიდან გვინტერესებს კოეფიციენტის არსებობა, შესაძლოა კოეფიციენტი გავუტოლოთ 0-ს, მაგალითად ჩავწერთ შემდეგნაირად $C(2)=0$, რაც იქნება ამ ტესტის დროს ნულოვანი ჰიპოთეზა. თუ chi-square-ის შესაბამისი ალბათობა მეტია 0.05-ზე, მაშინ ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, ხოლო თუ ეს ალბათობა არის 0.0000 ან 0.05-ზე ნაკლები, მაშინ გაბედულად უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას. ჩვენ შემთხვევაში ამ ტესტის ჩატარების მერე ალბათობა გამოვიდა 0.5185, რაც მეტია 0.05-ზე, ანუ ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას. ე.ი. ამ ტესტის თანახმად, ცვლადები-ექსპორტი და სუბსიდიები არა არსებითია (იხილეთ დანართი № 4).

შემდეგ ჩავატაროთ ზედმეტი ცვლადების ტესტი. ამისათვის შევდივართ view-coefficient tests-redundant variables-likelihood ratio. თუ ამ ტესტის დროს log likelihood ratio-ის შესაბამისი prob.chi-square(V) ნაკლებია 0.05-ზე, მაშინ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, რაც ნიშნავს, რომ მოდელში ცვლადები არ არის ზედმეტი. ჩვენი შესაბამისი ალბათობა გამოვიდა 0.2963, რაც მეტია 0.05-ზე ე.ი. ექსპორტი და სუბსიდიები ზედმეტია მოდელში (იხილეთ დანართი № 5).

ამის მერე ჩავატაროთ likelihood ratio test-ი. პირველად ვანგარიშობთ likelihood ratio statistics. იგი უდრის $2 * [\text{loglikelihood იმ მოდელისა, რომელსაც აქვს უფრო მეტი პარამეტრი} - \text{loglikelihood იმ მოდელისა, რომელსაც აქვს უფრო ნაკლები პარამეტრი}]$. ე.ი likelihood ratio statistics უდრის $2 * [-120.5153 - (-121.7318)] = 2.433$. თავისუფლების ხარისხი უდრის კოეფიციენტების რაოდენობას, რომელებიც ამოღებულ იქნა მოდელიდან, ანუ ჩვენ შემთხვევაში უდრის 2-ს. ვანგარიშობთ p-ღირებულებას, რომელსაც შევუდარებთ ალფას (0.05 ან 0.1). ჩვენ შემთხვევაში ეს p-ღირებულება გამოვიდა 0.3 (ვნახულობთ ხი კვადრატულ განაწილებაში), რაც მეტია 0.05-ზე. ე.ი. შემოკლებული მოდელი არის

უკეთესი, ვიდრე სრული მოდელი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ექსპორტი და სუბსიდიები არა მნიშვნელოვანი ცვლადებია (იხილეთ დანართი № 6 და №7).

შემდეგ ეტაპზე ვამოწმებთ თუ რა სახის კავშირია დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის, სკეთერ ფლოთის გამოყენებით. ეს სქემა გამოსახავს კავშირს ორ რაოდენობრივ ცვლადს შორის, ხოლო ჩვენი ცვლადები შეიცავს ვალუტას და ასევე ერთი ცვლადი მოსახლეობის რიცხოვნობაა. შესაბამისად შეგვიძლია სკეთერ ფლოთის გამოყენება ცვლადებს შორის კავშირის ასახსნელად. დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის ამსახველი სკეთერ ფლოთი იხილეთ დანართი № 8-ში.

შეგვიძლია ვიმსჯელოთ კავშირთა სიძლიერეზე, ამ ცვლადებს შორის ძლიერი წრფივი კავშირიდან გამომდინარე. რაც უფრო ძლიერია წრფივი კავშირი მით უფრო ახლოს არიან გამოსახული წერტილები სკეთერ ფლოთზე პირდაპირ ხაზთან. ასევე კავშირთა სიძლიერეზე შესაძლოა ვიმსჯელოთ კორელაციის კოეფიციენტიდან გამომდინარე. კერძოდ, რაც უფრო ახლოსაა კორელაციის კოეფიციენტი +1-თან ან -1 თან მით უფრო ძლიერია კავშირი, რაც ნიშნავს, რომ სკეთერ ფლოთზე არსებული წერტილები მით უფრო ახლოს არის პირდაპირ ხაზთან. ვინაიდან უპი-ის ვადგენთ სხვა ცვლადებიდან გამომდინარე, ანუ ის წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს, ამიტომ, უპი აიგება ვერტიკალურ, ხოლო სხვა ცვლადები ჰორიზონტალურ ღერძზე. როგორც დიაგრამიდან ჩანს, კავშირი უპისა და დანარჩენ ცვლადებს შორის არის მეტ-ნაკლებად ძლიერი წრფივი კავშირი, რაც დასტურდება ასევე კორელაციის მატრიციდან გამომდინარე (იხილეთ დანართი № 9).

ვინაიდან ვიცით თუ რა კავშირია დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის, შეგვიძლია გამოვიყენოთ პარამეტრიკული რეგრესია. არაპარამეტრიკული რეგრესიის არ გამოყენება საბუთდება ასევე იმით, რომ არაპარამეტრიკულ პროცედურები არის არადეკვატური, როდესაც ცვლადის დაკვირვებათა რიცხვი მცირეა. ასეთი რეგრესია ითხოვს დაკვირვებების დიდ რიცხვს და არაპარამეტრიკულ რეგრესიაში, რაც უფრო მეტია დაკვირვებები მით უკეთესია პროგნოზები. ჩვენ შემთხვევაში თითოეულ ცვლადზე არის 16 დაკვირვება, ხოლო შერჩეული ერთობლიობა ითვლება დიდად თუკი არის 30-ის მეტი ან ტოლი, ჰარელის თანახმად, პარამეტრიკული მოდელების დროს, ზუსტი პროგნოზებისთვის

თითოეულ ცვლადზე უნდა იყოს მინიმუმ 10 დაკვირვება (Peter 2014, გვ.24). ჩვენ შემთხვევაში თითოეულ ცვლადზე გვაქვს 16 დაკვირვება.

გამომდინარე იქედან, რომ პარამეტრიკულია წრფივი და არწრფივი მოდელები, უნდა განვიხილოთ თითოეული მათგანი და ავირჩიოთ ის, რომელიც უკეთესია. წრფივია მოდელი, სადაც პარამეტრები პირველ ხარისხშია, ხოლო არაწრფივია, სადაც პარამეტრი აყვანილია ხარისხში ან წარმოადგენს ხარისხს. შევადაროთ წრფივი და არწრფივი მოდელი:

$$\begin{aligned} \text{უპი} &= c(1) * \text{ხელფასი} + c(2) * \text{რეალური მშპ} + c(3) * \text{მოსახლეობის რიცხოვნობა} + c(4) * \text{მეგმ} + \\ &c(5) * \text{იმპორტი} + c(6) * \text{უპი} = c(1) + c(2)^2 * \text{იმპორტი} + c(3)^3 * \text{მეგმ} + c(4) * \text{მოსახლეობის} \\ &\text{რიცხოვნობა} + c(5) * \text{რეალური მშპ} + c(6) * \text{ხელფასი} \end{aligned}$$

ამ ორი მოდელის შესადარებლად გამოვიყენოთ რეზიდუალ ფლოთი. ასეთ სქემაზე არის ჰორიზონტალურ ღერძზე ფითიდ მნიშვნელობები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე არის განთავსებული რეზიდუალები. ასევე არის ნულოვანი მნიშვნელობის შესაბამისი ჰორიზონტალური ღერძი. ამ ორი მოდელიდან ამოვირჩევთ იმას, რომლის შემთხვევაშიც ამ სქემაზე გვექნება რანდომული ხასიათის სურათი. ამ წესის თანახმად, ვირჩევთ წრფივ მოდელს. წრფივი მოდელის რეზიდუალ ფლოთი იხილეთ დანართ № 10-ში. არაწრფივი რეგრესიის შედეგები და შესაბამისი რეზიდუალ ფლოთი იხილეთ დანართ № 11-სა და № 12-ში. რანდომული სურათი იმას ნიშნავს, რომ სკეთერ ფლოთზე წერტილები ქმნის მართკუთხედის ფორმას და არ არსებობს კლასტერიზაცია (დაჯგუფება) ან სისტემატიკური ფორმა. როგორც ორივე მოდელის რეზიდუალ ფლოთიდან ჩანს, სურათი არის ერთი და იგივე. ანუ, როგორც ირკვევა, წრფივი და არაწრფივი მოდელები იძლევა ზუსტად ერთი და იმავე შედეგებს როგორც დანართ № 13-ში ჩანს. ამიტომ ავირჩევთ ისევ სხვა არაწრფივ მოდელს იმავე ცვლადებზე. სხვა არაწრფივი მოდელის შემთხვევაში რეგრესიული ანალიზის შედეგები მოცემულია დანართ № 14-ში და № 15-ში შესაბამისი რეზიდუალ ფლოთი თუ შევადარებთ ჩვენ წრფივ და ამ ბოლო არაწრფივ მოდელს, მაშინ წრფივი მოდელი ჯობია ამ არაწრფივ მოდელს ვინაიდან ამ უკანასკნელში წერტილები ქმნის სამკუთხედის ფორმას. თუმცა ჩვენ წრფივ მოდელშიც წერტილები ჰგავს სამკუთხედის ფორმას. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება ამ ორ მოდელს სხვა რამით თუ შევადარებთ. მაგალითად, წრფივი და არაწრფივი მოდელების შესადარებლად შესაძლოა

გამოვიყენოთ აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი. (https://www.researchgate.net/post/How_to_compare_a_linear_with_a_non-linear_model_when_both_compete_for_best_fit) ორი მოდელიდან ისაა უკეთესი რომელსაც უფრო დაბალი აკაიკის კრიტერიუმი აქვს. წრფივი მოდელის აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი უდრის 15.96647-ს, ხოლო ამ ბოლო არაწრფივი მოდელის აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი-16.88124, ანუ წრფივ მოდელს აქვს უფრო დაბალი აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი და ამ წესის თანახმად უნდა ავირჩიოთ წრფივი მოდელი.

თუმცა, ამ ორი მოდელის შედარებისას უკეთესი იქნებოდა თუ ავირჩევდით რამდენიმე არაწრფივი მოდელიდან საუკეთესოს აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმით (ორი მოდელიდან ისაა უკეთესი, რომელსაც უფრო დაბალი აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი აქვს) და ამ საუკეთესოს შევადარებდით წრფივ მოდელს. თუმცა ეს დროის დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული.¹⁶

შემდეგ ეტაპზე, ვინაიდან ავირჩიეთ წრფივი მოდელი, მნიშვნელოვანია დავტესტოთ, კმაყოფილედება თუ არა წრფივი რეგრესიის ვარაუდები/მოთხოვნები იმისათვის, რომ უფრო ზუსტი რეგრესიული ანალიზის შედეგები მივიღოთ. ეს მოთხოვნებია შემდეგი:

1) წრფივი კავშირი (რაც უნდა შემოწმდეს დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის);

2) მცირე მულტიკოლინეარობა ან მისი არარსებობა (მულტიკოლინეარობა არსებობს, თუ დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კორელაცია არის 0.7-ზე მეტი ან -0.7-ზე ნაკლები. თუმცა მულტიკოლინეარობა დგინდება სხვა მეთოდებითაც.);

3) ავტოკორელაციის რეზიდუალებში არარსებობა;

4) რეზიდუალები უნდა იყვნენ ჰომოსკედასტიკური (არა ჰეტეროსკედასტიკური);

¹⁶ არსებობს არაწრფივი მოდელების უსასრულო რაოდენობა.

<https://statisticsbyjim.com/regression/no-p-values-nonlinear-regression/>. წვდომის თარიღი: 9/20/2019

5) ცვლადებში არ უნდა არსებობდეს “აუთლაიერი” (ეს ცვლადის ისეთი მნიშვნელობაა, რომელიც დიდად განსხვავდება ცვლადის სხვა მნიშვნელობებისგან).

დავტესტოთ წრფივი კავშირი, რაც შესაძლებელია ესპიესეს-ში. ამისათვის, ჯერ შეგვყავს ცვლადები ესპიესეს-ში. შემდეგ, analyze-compare means და means გამოგდებულ ფანჯარაში შეგვყავს შესაბამისი ცვლადები, შესაბამის ველში და შედიხარ ამავე ფანჯარაში options-ში. აქ ირჩევ test for linearity-ს და მერე continues აწვები. გამოგდებულ ANOVA ცხრილში აკვირდები deviation from linearity-ის შესაბამის sig. მნიშვნელობას და იღებ გადაწყვეტილებას შემდეგი პრინციპით: თუ deviation from linearity-ის შესაბამისი sig. მნიშვნელობა მეტია 0.05-ზე, მაშინ კავშირი ცვლადებს შორის არის წრფივი. თუმცა ეს ტესტი ვერ ჩავატარეთ, რადგან არ გაგვაჩნდა ცვლადებზე საკმარისი დაკვირვებათა რიცხვი. ამიტომ, გამოვიტანთ დასკვნებს ადრე აგებული სკეთერ ფლოთების თანახმად. ამ უკანასკნელებისგან გამომდინარე კავშირები ცვლადებს შორის შესაძლოა მივიჩნიოთ მეტ-ნაკლებად წრფივად

დავტესტოთ არსებობს თუ არა „აუთლაიერი” ცვლადებში ბოქსფლოთის ივიუსში გამოყენებით. ამისათვის ვხსნით იმ ობიექტს, სადაცაა ცვლადის დროითი მწკრივი. view-graph და მერე გამოგდებულ ფანჯარაში მარცხნივ specific-ში და ასევე ზედა ჰორიზონტალურ მენიუში ვირჩევთ boxplot-ს. არც ერთ ცვლადში არ გამოვლენილა არც შორეული და არც ახლო აუთლაიერი. შესაბამისად, დეტერმინაციის კოეფიციენტი იქნება უფრო რეალური, ვინაიდან აუთლაიერი იწვევს იმას, რომ მის გამო ეს მაჩვენებელი არის ზოგჯერ უფრო დიდი და ზოგჯერ უფრო პატარა (ბოქსფლოთი იხილეთ დანართ № 16-ში).

დავტესტოთ მულტიკოლინეარობა. მულტიკოლინეარობის დროს კოეფიციენტის სტანდარტული შეცდომები იქნება დიდი. შესაბამისად ვინაიდან t-სტატისტიკა უდრის კოეფიციენტის მნიშვნელობა გაყოფილი მისი სტანდარტული შეცდომით, მაშინ მივიღებთ უფრო დაბალ T-სტატისტიკას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს იმას, რომ T-სტატისტიკა შეიძლება იყოს სტიუდენტის T განაწილებაში არსებულ კრიტიკულ მნიშვნელობაზე ნაკლები, რაც საბოლოოდ გამოიწვევს იმას, რომ კოეფიციენტი შეიძლება მოგვეჩვენოს არაარსებითად, როდესაც იგი რეალურად არსებითია. მულტიკოლინეარობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოდელში

შეყვანილია ზოგიერთი ისეთი ცვლადები, რომლებიც არის ოდნავ ზედმეტი. ჩვენ ცვლადებს შორის კორელაციები წარმოდგენილია დანართ № 17-ში. როგორც ირკვევა, ჩვენ შემთხვევაში საკმაოდ მწვავედ დგას მულტიკოლინეარობის პრობლემა. აქედან გამოსავალია მთავარ კომპონენტთა რეგრესია, თუმცა წერია ზოგიერთ შემთხვევაში, რომ ის პრობლემებს უფრო იწვევს, ვიდრე აგვარებს მათ. შესაბამისად, გაურკვევლობის გამო ვიყენებთ ქედის (ridge) რეგრესიას, რომლის სარგებლიანობა მაღალია, როდესაც არსებობს მულტიკოლინეარობა (Breheny 2015, 14).

მულტიკოლინეარობის დროს კოეფიციენტთა შეფასება უმცირეს კვადრატთა მეთოდით იძლევა მათ არამიკერძობელობას, თუმცა ასეთ დროს კოეფიციენტთა სტანდარტული შეცდომები დიდია. ისინი შეიძლება შორს იყოს რეალური მნიშვნელობებისგან. ხოლო ქედის რეგრესია ამცირებს სტანდარტულ შეცდომებს და მათ უფრო რეალურს ხდის.

დავტესტოთ ავტოკორელაცია რეზიდუალებში. რეზიდუალებში უარყოფითი ავტოკორელაციის დროს კოეფიციენტები არის არამიკერძობული და შესაბამისი, თუმცა კოეფიციენტთა სტანდარტული შეცდომები არიან მიკერძობული და ძალიან დიდია. როდესაც რეზიდუალების ავტოკორელაცია არის დადებითი პატარა ლაგის დროს, მაშინ, ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა საფუძველზე გაანგარიშებული კოეფიციენტები არ იქნება მიკერძობული, თუმცა კოეფიციენტის სტანდარტული შეცდომა იქნება შემცირებული, ხოლო T-სტატისტიკა რეალურზე მეტი. ავტოკორელაცია რეზიდუალებში იზომება დურბინ-ვატსონის სტატისტიკით. იგი არის ყოველთვის 0-სა და 4-ს შორის. თუ ეს მაჩვენებელი არის ახლოს 2-თან (1.5 და 2.5 შორის), მაშინ არ არსებობს ავტოკორელაცია. თუ იგი უახლოვდება 0-ს, ეს ნიშნავს დადებით ავტოკორელაციას, ხოლო მნიშვნელობები 4-ისკენ მეტყველებს უარყოფით ავტოკორელაციაზე. თუმცა დურბინ-ვატსონის სტატისტიკა ამოწმებს ავტოკორელაციას 1 ლაგის შემთხვევაში. ჩვენ შემთხვევაში ეს სტატისტიკა იყო 2.68 (იხილეთ დანართი №18). ანუ გვაქვს ავტოკორელაციის პრობლემა. არ ვიყენებთ მომენტთა გენერალიზებულ მეთოდს, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის ენდოგენურობისა და იმავდროულად ავტოკორელაციის დროს გამოიყენება. თუმცა ავტოკორელაციის პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა გამოტოვებული მნიშვნელოვანი ცვლადების ჩართვა მოდელებში ან დამოუკიდებელ ცვლადებში

დამოკიდებული ცვლადის ლაგირებული მნიშვნელობების ჩართვა. როგორც საქართველოს შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, პოლიტიკური სტაბილურობაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უპის მოსაზიდად და შესაძლოა ავტოკორელაციის პრობლემა ამ ცვლადის არჩართვას გამოეწვია. მოდელში უნდა ჩავრთოთ დიქტომიური დამოუკიდებელი ცვლადი „პოლიტიკური სტაბილურობა“, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობის წლებისათვის მიიღებს მნიშვნელობად 1-ს და 0-ს სხვა წლებისათვის. თუმცა, ვინაიდან მაინც ვერ მოვაგვარეთ ავტოკორელაციის პრობლემა ამ ცვლადის ჩართვის მერე, მაშინ ვეცდებით, ეს პრობლემა მოვაგვაროთ უპის 1 ლაგის ჩართვით დამოუკიდებელ ცვლადებში. თუმცა ამის მერე ავტოკორელაციას ვეღარ დავტესტავთ დურბინ ვატსონის სტატისტიკით და უნდა გამოვიყენოთ დურბინის h ტესტი. დურბინის h სტატისტიკა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$h = \left(1 - \frac{DW}{2}\right) \sqrt{\frac{T}{1 - T[Var(b_1)]}}$$

სადაც DW არის დურბინ ვატსონის სტატისტიკა, T - დაკვირვებათა რიცხვი და თუ მოდელი შეიცავს ცვლადის ლაგს, მაშინ 1 დაკვირვებას ვკარგავთ და თუ რეალურად დაკვირვებათა რიცხვი არის 16, მაშინ ამ შემთხვევაში გვექნება 1-ით ნაკლები დაკვირვება ანუ 15 დაკვირვება, Var(b₁) არის ლაგირებული დამოკიდებული ცვლადის სტანდარტული შეცდომის კვადრატი. (https://ebrary.net/1023/economics/durbins_test_statistic წვდომის თარიღი: 9/22/2019) თუ დურბინის h სტატისტიკა არის -1.96 და 1.96-ს შორის მაშინ ჩვენი მოდელი, რომელიც შეიცავს დამოკიდებული ცვლადის ლაგს არ ხასიათდება ავტოკორელაციის პრობლემით. რეგრესიის შედეგები, როდესაც დავამატეთ დამოკიდებული ცვლადის ლაგირებული მნიშვნელობა ერთი პერიოდით, დამოუკიდებელ ცვლადებში წარმოდგენილია დანართ № 19-ში.

ჩვენ შემთხვევაში დურბინის h სტატისტიკას ვერ ვანგარიშობთ ვინაიდან ამ სტატისტიკის საანგარიშო ფორმულაში, საიდანაც ფესვი უნდა ამოვიღოთ, გამოვიდა უარყოფითი რიცხვი და შესაბამისად ავტოკორელაციას დავტესტავთ სხვა მეთოდებით, რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში იქნეს გამოყენებული. ამ

შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ the Q-statistic and the Breusch-Godfrey LM test, რომლებიც არის ნამჯობინები უმეტეს შემთხვევებში.

(http://www.eviews.com/help/helpintro.html#page/content/timeser-Testing_for_Serial_Correlation.html.) ამ ტესტის შედეგები ჩვენ შემთხვევაში მოცემულია დანართ № 20-ში.

როგორც ამ შედეგებიდან ჩანს, მოდელი ისევ ხასიათდება ავტოკორელაციით (Sayed Hossain 23/05/2012). ავტოკორელაცია რეზიდუალებში შეიძლება ასევე იყოს გამოწვეული მოდელში არასწორი ცვლადების ჩართვით. (<https://open.library.ubc.ca/cIRcle/collections/ubctheses/24/items/1.0063169>.)

შესაბამისად, ავტოკორელაციის პრობლემის მოგვარება შეიძლება მოდელიდან ზედმეტი ცვლადების მოცილებით. ასეთ ზედმეტ ცვლადად შესაძლოა მივიჩნიოთ რეალური მშპ რადგან ის ჰგავს მეგმ-ს ვინაიდან ორივე ზომავს შემოსავალს. შესაბამისი რეგრესიის შედეგები, როდესაც მოვაცილეთ მოდელს რეალური მშპ, მოცემულია დანართ № 21-ში. როგორც ჩანს, რეალური მშპ-ის მოცილებით მოვაგვარეთ ავტოკორელაციის პრობლემა ვინაიდან ახლა დურბინ ვატსონის სტატისტიკა არის 1.5-სა და 2.5-ს შორის და ასევე საკმაოდ ახლოსაა 2-თან. თუმცა, როგორც შემდგომ ირკვევა, საჭიროა გამოვიყენოთ ასევე ავტორეგრესიული მოდელი ანუ ჩავრთავთ მოდელში ასევე უპის ლაგირებულ მნიშვნელობას ერთი პერიოდით დამოუკიდებელ ცვლადებში. ამის შემდეგ შედეგები მოცემულია დანართ № 22-ში და დანართ №23-ში მოცემულია Breusch-Godfrey ავტოკორელაციის LM ტესტის შედეგები

როგორც ამ შედეგებიდან ირკვევა, ამ შემთხვევაში ავტოკორელაციის პრობლემა არ გვაქვს რეზიდუალებში ვინაიდან $obs \cdot R\text{-squared}$ -ის შესაბამისი ალბათობა უდრის 0.0653-ს რაც მეტია 0.05-ზე.

დავტესტოთ რეზიდუალების ჰეტეროსკედასტიკურობა (არა ჰომოსკედასტიკურობა). რეზიდუალების ჰეტეროსკედასტიკურობის გამო რეგრესიის კოეფიციენტი, რომელიც გაანგარიშებულია ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით, იქნება ნაკლებად სანდო და ასევე ძნელია კოეფიციენტის რეალური სტანდარტული შეცდომის დადგენა. ჰეტეროსკედასტიკურობის ტესტი შეიძლება ჩატარდეს Breush-pagan-Godfrey ტესტის თანახმად. პირველ ეტაპზე ფასდება რეგრესიის კოეფიციენტები და შემდეგ მიღებული შედეგების ფანჯარაში შედიხარ

view-residual tests-heteroskedasticity tests და გამოგდებულ ფანჯარაში test type-ში ირჩევ Breush-pagan-Godfrey ტესტს. იმისათვის, რომ დავადგინოთ, არსებობს თუ არა ჰეტეროსკედასტიკურობა რეზიდუალებში, ვაკვირდებით obs*R-squared-ის probability values-ს, რომელიც წერია მის გვერდზე მარჯვენა მხარეს prob.chi-square(n)-ის სახით. როდესაც ის მეტია 0.05-ზე, მაშინ არსებობს ჰომოსკედასტიკურობა. იხილეთ დანართი № 24. შესაბამისად არ ვიყენებთ შეწონილ უმცირეს კვადრატთა მეთოდს, და არ ვიღებთ ცვლადებს მოდელიდან თუ მხოლოდ ჰომოსკედასტიკურობას გავითვალისწინებთ. ასევე, რადგან გვაქვს ჰომოსკედასტიკურობა, არ ვიყენებთ მომენტთა გენერალიზებულ მეთოდს.

მაშასადამე, კოეფიციენტთა შესაფასებლად ვიყენებთ ქედის (ridge) რეგრესიას. თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება თუ რომელიმე დამოუკიდებელი ცვლადი იქნა ენდოგენური (მოდელის სხვა ცვლადებით ზეგავლენილი). ენდოგენურია თუ არა დამოუკიდებელი ცვლადი შესაძლოა შემოწმდეს ენდოგენურობის ტესტით, რომელიც ტარდება მას შემდეგ რაც დავამტკიცებთ ინსტრუმენტალური ცვლადების შესაბამისობას. ცვლადი ინსტრუმენტალურია თუ ის არის დამოუკიდებელ ცვლადთან კორელირებული, მაგრამ არ არის იმ შეცდომით წევრთან კორელირებული, რომელიც ჩართულია მოდელში. თუ საჭირო გახდა ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება, მაშინ ამ ორ მეთოდს შევადარებთ საშუალო კვადრატული შეცდომის მიხედვით და ამოვირჩევთ იმას, რომელსაც ექნება უფრო დაბალი საშუალო კვადრატული შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში არ იანგარიშება რეზიდუალებიდან გამომდინარე. საშუალო კვადრატული შეცდომა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{standard error}(B)^2 + [\text{Bias}(B, B_{\text{true}})^2]$$

უფრო მარტივი გზაა ამოვირჩიოთ არამიკერძოებული ესტიმატორი, როდესაც საშუალო კვადრატული შეცდომა უდრის მხოლოდ კოეფიციენტის ვარიაციას (სტანდარტული შეცდომა აყვანილი კვადრატში). საშუალო კვადრატული შეცდომა იანგარიშება თითოეული კოეფიციენტისათვის.

ჩავატაროთ ქედის რეგრესია პროგრამა ესპიესესში. ამისათვის შევიყვანოთ შემდეგი ბრძანება:

Include 'c:\program files (x86)\spss evaluation.sps'

Ridge Dep=y / Enter x1 x2

/Debug= 'y'

/start=0/stop=1/inc=0.05

სადაც y იქნება დამოკიდებული ცვლადი, X_1 და X_2 - დამოუკიდებელი ცვლადები, $start=0$ ნიშნავს იმას, რომ ridge parameter დაიწყება 0-ით, $stop=1$ ნიშნავს რომ ridge parameter დასრულდება 1-ით, ხოლო $inc=0.05$ - იმას, რომ K -ის მნიშვნელობა ყოველ ჯერზე 0.05-ით გაიზრდება. ridge parameter აკონტროლებს რეგრესიის კოეფიციენტების შემცირების რაოდენობას. ქედის რეგრესიის დროს სტანდარტულ/ბეტა კოეფიციენტს გარვდაქმნით არასტანდარტულად, შემდეგი ფორმულით:

$$b_{stand}=B(s_{xi}/s_y)$$

სადაც: b_{stand} არის სტანდარტული ანუ ბეტა კოეფიციენტი, B - შესაბამისი ჩვეულებრივი კოეფიციენტი, s_{xi} - შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადის სტანდარტული დევიაცია, ხოლო s_y არის დამოკიდებული ცვლადის სტანდარტული დევიაცია.

ქედის რეგრესიის დროს კოეფიციენტის სტანდარტულ შეცდომას ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$\text{იგი უდრის კვადრატულ ფესვს შემდეგიდან } [(1-r^2)*s^2_y]/[(n-2)*s^2_x]$$

სადაც: r^2 არის ქედის რეგრესიის დროს ამორჩეულ რიჯ ფარამეტერის შესაბამისი დეტერმინაციის კოეფიციენტი, n - დაკვირვებათა რიცხვი ცვლადზე, s^2_x - შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადის ვარიაცია, ხოლო s^2_y - დამოკიდებული ცვლადის ვარიაცია. k -ის არჩევას ვხელმძღვანელობთ იმ პრინციპით, რომ ადამიანები ირჩევენ მის დიდ მნიშვნელობას ridge trace-დან. რაღაც ეტაპზე ვერ შევძელით ქედის რეგრესიის ჩატარება და შემდეგ მოვახერხეთ მისი ჩატარება.

3.3.2 სხვა რეგრესიის მეთოდოლოგიების არ გამოყენების დასაბუთება.

დამოუკიდებელი ცვლადების ენდოგენურობის დასადგენად, პირველ ეტაპზე ჩავატაროთ ინსტრუმენტალური ცვლადების ვალიდობის ტესტი. ვთქვათ, ასეთი ენდოგენური დამოუკიდებელი ცვლადია იმპორტი. მაგალითად, მასთან

კორელირებული ცვლადია შინამეურნეობის შემოსავალი, რაც იახსნება შემდეგით: თუ გაიზარდა შინამეურნეობების შემოსავალი, მაშინ მათ შეიძლება უფრო მეტი აწარმოონ, გაყიდონ და, იმავდროულად, ჭარბწარმოების გამო შესაძლოა შემცირდეს იმპორტი. ასევე ინსტრუმენტალურ ცვლადად ავიღებთ საშუალო შემოსავალს ერთ სულზე. ინსტრუმენტალური ცვლადების შესაბამისობის ტესტი სხვა მაგალითზე ახსნილია შემდეგ:

Lecture 11-3 cross section and panel - ამ ფაურფონის ფაილში ახსნილია two-stage least squares რეგრესიის დროს ინსტრუმენტალური ცვლადების შესაბამისობის/სწორი ინსტრუმენტების დადგენის ტესტი. ამ ტესტის თანახმად ვიქცევით შემდეგნაირად:

- 1) ვატარებთ two-stage least squares რეგრესიას. ამ კონკრეტულ მაგალითში დამოკიდებული ცვლადი იყო lwage, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები იყვნენ educ, exper და expersq, ხოლო ინსტრუმენტალური ცვლადები იყვნენ exper, expersq, motheduc და fatheduc. როდესაც ამ რეგრესიას ვატარებთ ივიუსში ინსტრუმენტალური ცვლადები უნდა იყოს მინიმუმ იმდენი რამდენიც არის დამოუკიდებელი ცვლადები. ამ მაგალითში ინსტრუმენტები იყო 4, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა იყო 3.
- 2) მე-2 ეტაპზე ვიღებთ რეზიდუალებს ეს რეზიდუალები შეიქმნება ვორქფაილში სახელად resid. ამის მერე ატარებ რეგრესიას, სადაც ეს რეზიდუალები იქნება დამოკიდებული ცვლადი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები იქნება exper, expersq, motheduc და fatheduc, ანუ დამოუკიდებელი ცვლადები არიან ეგზოგენური ცვლადები, educ იმიტომ არ არის ამ ცვლადების სიაში ვინაიდან თეორიულად მივიჩნით რომ ეს ცვლადი არის ენდოგენური. ანუ ამ დამოუკიდებელი ცვლადების სიაში არის ყველა ეგზოგენური ცვლადი და ასევე ინსტრუმენტალური ცვლადები. resid იმიტომ ავირჩიეთ დამოუკიდებელ ცვლადად, რომ როდესაც რეგრესიას ჩაატარებთ, პირველი ეტაპის თანახმად რეგრესიის output-ში view-ში, შევალთ და ამოვირჩევთ რეზიდუალების ჩვენებას, ეს რეზიდუალები იგივეა, რაც resid ფაილში არსებული. თუმცა, როდესაც ამ ცვლადებზე შექმნი მოდელს, resid პირდაპირ ვერ გამოიყენებ ამ მოდელში. ამიტომ, უნდა შევიდეთ genr-ში და შევქმნათ ახალი სერია, რასაც გააკეთებთ შემდეგნაირად: შევალთ გენრში

დავწერთ რამე სერიის სახელს, სადაც გვინდა რომ შევინახოთ ეს რეზიდუალები. მაგალითად, $zura = resid$, სადაც ზურა იქნება ის სერია, სადაც შეინახება რეზიდუალების მნიშვნელობები. ამ რეგრესიას ატარებ $least\ squares$ -ის მიხედვით და გამოგდებულ რეგრესიის შედეგებში აკვირდები $R-squared-s$ ანუ იგივე დეტერმინაციის კოეფიციენტს და ამრავლებ მას დაკვირვებათა რიცხვზე, შესაბამისად იღებ მნიშვნელობას, რომელსაც ეწოდება სარგანის სტატისტიკა. ამ სარგანის სტატისტიკას უდარებ კრიტიკულ მნიშვნელობას, რომელსაც მოძებნი χ^2 კვადრატულ განაწილებაში. თავისუფლების ხარისხი უდრის დამატებითი ინსტრუმენტების რიცხვს. ჩვენ შემთხვევაში იგი უდრის 1-ს, ვინაიდან არის მხოლოდ ერთი ენდოგენური ცვლადი და ორი ინსტრუმენტი ანუ 2-1 ანუ 1 ე.ი თავისუფლების ხარისხი უდრის 1-ს. ირჩევ შესაბამისი თავისუფლების ხარისხისა და $\chi^2 .050$ -ის შესაბამის კრიტიკულ ღირებულებას, რაც გამოვიდა 3.84. სარგანის სტატისტიკა გამოვიდა 0,378, ხოლო კრიტიკული ღირებულება - 3.84. შესაბამისად, ვინაიდან ეს სტატისტიკა ნაკლებია კრიტიკულ ღირებულებაზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ინსტრუმენტები შესაბამისია.

შესაბამისი რეგრესიიდან R -კვადრატი უდრის 0.126343, რომელსაც ვამრავლებთ დაკვირვებათა რიცხვზე (16) და ვღებულობთ სარგანის სტატისტიკას, რომელიც უდრის 2.02-ს. ეს მნიშვნელობა უნდა შევუდაროთ კრიტიკულ მნიშვნელობას, რომელსაც მოძებნით χ^2 კვადრატულ განაწილებაში. თავისუფლების ხარისხი ჩვენ შემთხვევაში უდრის 1-ს. ჩვენ შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობა გამოდის 3.841. შესაბამისად, ვინაიდან ეს სტატისტიკა ნაკლებია კრიტიკულ ღირებულებაზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ინსტრუმენტები შესაბამისია. ე.ი შეგვიძლია დავტესტოთ არის თუ არა იმპორტი ენდოგენური. ამ ტესტის გამოყენებით დამტკიცდა ინსტრუმენტალური ცვლადების ვალიდობა ე.ი. შეგვიძლია ჩავატაროთ ენდოგენურობის ტესტი. იხილეთ დანართი № 25 და № 26.

ენდოგენურობის ტესტის პირველ ეტაპზე უნდა შევავსოთ შემოკლებული მოდელი, სადაც დამოკიდებულ ცვლადად გვექნება ალბათური ენდოგენური ცვლადი ანუ იმპორტი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები იქნება ყველა ეგზოგენური და

ინსტრუმენტალური ცვლადი. შევაფასოთ ეს მოდელი ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით (იხილეთ დანართი № 27) და მივიღოთ რეზიდუალები (იხილეთ დანართი № 28). მეორე ეტაპზე, დავუმატოთ ეს რეზიდუალები სტრუქტურულ მოდელს და შევაფასოთ მოდელი ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით. სტრუქტურული მოდელია ის, სადაც შევა ალბათური ენდოგენური და ყველა ეგზოგენური ცვლადი. თუ რეზიდუალების შესაბამისი კოეფიციენტი არსებითია, მაშინ იმპორტი არის ენდოგენური. ვინაიდან დამოუკიდებელი ცვლადი „რეზიდუალის“ P-ღირებულება მეტია 0.1-ზე, მაშინ ეს ცვლადი არაარსებითია ანუ იმპორტი არ არის ენდოგენური, ე.ი. არ ვატარებთ კოეფიციენტების გაანგარიშებას ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდით. (იხილეთ დანართი № 29) თუ რეზიდუალების შესაბამისი კოეფიციენტი არსებითია, მაშინ იმპორტი არის ენდოგენური. ჩვენ შემთხვევაში იმპორტი არაა ენდოგენური ე.ი. არ ვატარებთ ორსტადიან უმცირეს კვადრატთა მეთოდს. თუმცა უკეთესი იქნებოდა - -თითოეული დამოუკიდებელი ცვლადის ენდოგენურობის შემოწმება, ყველა შესაძლო ინსტრუმენტალური ცვლადის გამოყენებით. მაგრამ, ამას არ ვაკეთებთ, ვინაიდან ეს დროის დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული.

გაანგარიშებებში არ ვიყენებთ ლოგისტიკურ რეგრესიას, რადგან არ გვაქვს დიჟიტომიური დამოკიდებული ცვლადი. თუმცა შეგვეძლო დამოკიდებული ცვლადის კოდირება ისე, რომ გარკვეული მნიშვნელობის ზევით დამოკიდებული ცვლადი მნიშვნელობად მიიღებდა 1-ს, ხოლო ამ მნიშვნელობის ქვევით დამოკიდებული ცვლადი მიიღებდა მნიშვნელობად 0-ს. თუმცა თუ ასე გავაკეთებთ, მაშინ ვერ შევძლებთ დამოკიდებული ცვლადის ზუსტი მნიშვნელობის იდენტიფიკაციას და ამიტომ არ ვიყენებთ ლოგისტიკურ რეგრესიას.

ანალიზის პროცესში არ ვიყენებთ მარტივ რეგრესიას, ვინაიდან მივიჩნიეთ, რომ უპი-ზე ზემოქმედებს ერთ ფაქტორზე მეტი.

ბაიესიანური რეგრესია არ გამოგვიყენებია, რადგან მის დროს ვანგარიშობთ ალბათობას, რომ კოეფიციენტს ექნება კონკრეტული მნიშვნელობა, გამომდინარე მონაცემებიდან და ჩვენი წინასწარი ცოდნიდან, რაც არ ყოფილა ჩვენი მიზანი.

რობასტულ რეგრესიას, როგორცაა M-ესტიმატორი ასევე არ ვიყენებთ, ვინაიდან ეს მეთოდი გამოიყენება აუთლაიერების დროს და როგორც მანამდე გავანაალიზეთ ჩვენ არ გვქონია ცვლადებში აუთლაიერები.

ბუნდოვან (fuzzy) რეგრესიას არ ვიყენებთ, რადგან ის გამოიყენება, როდესაც დამოკიდებული ცვლადი იღებს დაბალ, საშუალო და მაღალ მნიშვნელობებს, ხოლო ჩვენ შემთხვევაში გვაინტერესებდა უპი-ის კონკრეტული მნიშვნელობის პროგნოზირება.

რანდომული კოეფიციენტების რეგრესიას არ ვიყენებთ, ვინაიდან ის ითხოვს პანელურ მონაცემებს, ხოლო ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, მაგალითად, როგორი იყო წარმოების ღირებულება თითოეული ქართული ფირმის შემთხვევაში დინამიკაში. თუმცა, პანელური მონაცემები შეგვეძლო აგველო ეკონომიკის სექტორების გამოყენებით, რასაც ასევე ვერ ვაკეთებთ ვინაიდან მოდელში არსებულ ზოგიერთ ცვლადზე არ გვაქვს ეს ინფორმაცია. მაგალითად, არ გვაქვს ინფორმაცია ცვლად იმპორტზე, თუ რა იყო მისი ზომა ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

L1 რეგრესიას არ ვიყენებთ, რადგან ის გამოიყენება, როდესაც დამოკიდებულ ცვლადში არის აუთლაიერები, ხოლო ჩვენ უპი-ის შემთხვევაში არ გვქონია აუთლაიერები.

q-კვანტილურ რეგრესიას არ ვიყენებთ ვინაიდან ჩვენი მიზანი არ ყოფილა დამოკიდებული ცვლადის q-პირობითი კვანტილის მოდელირება.

რეგრესიას სივრცულ სფეროში არ ვიყენებთ, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: სივრცული სფერო წარმოადგენს მონაცემებს, რომლითაც დგინდება პლანარული ობიექტის კონტურები, როგორცაა სამკუთხედი და მიონეტა, ხოლო ჩვენ შემთხვევაში არ გვქონია ასეთ რამესთან შეხება.

პოლინომიალურ რეგრესიას არ ვიყენებთ, ვინაიდან ასეთი რეგრესია გამოიყენება წრფივი რეგრესიის ნაცვლად, როდესაც კავშირი საშედეგო ნიშანსა და ფაქტორულ ნიშანს შორის არის არაწრფივი, ხოლო ჩვენ შემთხვევაში კავშირი ცვლადებს შორის იყო მეტად თუ ნაკლებად წრფივი.

კორელაციურ ანალიზს არ ვიყენებთ ვინაიდან კორელაცია აუცილებლად არ ნიშნავს მიზეზობრიობას, ხოლო ჩვენ შემთხვევაში გვაინტერესებდა რამდენად იწვევდა ერთი ცვლადი მეორეს. თუმცა კორელაციის კოეფიციენტიდან გამომდინარე, შესაძლოა

მივიღოთ გადაწყვეტილება, ჩავრთოთ თუ არა ცვლადი მოდელში, ვინაიდან კორელაციის არსებობისას შესაძლოა იყოს მიზეზობრივი კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ან იგი შეიძლება იყოს დამთხვევითი (ერთის ზრდისას თუ იზრდება მეორე, მაშინ ეს შესაძლოა იყოს მხოლოდ დამთხვევის გამო).

საჭიროა ასევე გამოვიყენოთ 1 რიგის ავტორეგრესიული მოდელი. კონკრეტულ ლაგზე კორელოგრამზე ავტოკორელაცია ან ნაწილობრივი ავტოკორელაცია მიიჩნევა მნიშვნელოვნად თუკი ამ ლაგზე ხდება გრაფიკულად წყვეტილი ხაზების გადაკვეთა (პროგრამა ივიუსში). ავტორეგრესიული მოდელის გამოყენების საჭიროებით დასტურდება ასევე ის, რომ საჭირო გახდა დამოუკიდებელ ცვლადად გამოგვეყენებინა დამოკიდებული ცვლადის ლაგი. უპის კორელოგრამი იხილეთ დანართ № 30-ში. როგორც ამ კორელოგრამიდან ჩანს, საჭიროა გამოვიყენოთ ავტორეგრესიული მოდელი ვინაიდან ნაწილობრივი ავტოკორელაცია არის მნიშვნელოვანი 1 ლაგის შემთხვევაში და არამნიშვნელოვანია ნებისმიერ უფრო მაღალ ლაგზე. ამ შედეგებით დასტურდება ის, რომ საჭიროა დამოუკიდებელ ცვლადად გამოვიყენოთ დამოკიდებული ცვლადის ლაგი, რაც ერთ-ერთი გამოსავალია მაშინ, როდესაც ვღებულობთ ავტოკორელაციას რეზიდუალებში და ჩვენ დურბინ ვატსონის სტატისტიკის თანახმად გვექონდა ავტოკორელაცია რეზიდუალებში.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე დავადგინოთ გამოვიყენოთ თუ არა სეზონალური მოდელი. სეზონალური მოდელი გამოიყენება, როდესაც ცვლადის დინამიკაში გამოჩნდება სეზონალურობა. ანალიზების საფუძველზე გამოვლინდა, რომ უპი არასეზონალური ცვლადია რაც გამომდინარეობს შემდეგიდან: თუ შევადარებთ ცვლადი უპი-ის შემთხვევაში თითოეულ წელს სხვაობებს I-II, II-III, III-IV და ასევე ყოველი წლის ბოლო კვარტალსა და მომდევნო წლის პირველ კვარტალს შორის მაშინ გამოჩნდება ისეთი წლები, როდესაც ერთი და იმავე კვარტალების წყვილის შემთხვევაში იყო სხვადასხვა წელს აღნიშნული სხვაობების ზრდა და ასევე აღნიშნული სხვაობების კლება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უპი არასეზონალური ცვლადია.

უმეტესი არასეზონალური დროითი მწკრივების შემთხვევაში ავტოკორელაცია იქნება მაღალი 1 ლაგის შემთხვევაში და მერე ავტოკორელაცია ეცემა თანდათანობით ნულისკენ ლაგების ზრდასთან ერთად. ამ კორელოგრამზე ასე არაა (იხილეთ დანართი

№ 30). ე.ი შეიძლება მივიტანოთ ეჭვი, რომ უპის დროითი მწკრივი სეზონური ცვლადია. თუმცა აქ წერია უმეტესისათვის და არა ყველასთვის. ამიტომ, ვეცდებით დავადგინოთ სეზონურია თუ არა უპი სხვა მეთოდით.

ცხრილი №15

უპის არასეზონურობის ასახვა

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K
1	საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები										
2											
3	მლნ. აშშ დოლარი										
4	წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I-II კვარტალს შორის სხვაობა	II-III კვარტალს შორის სხვაობა	III-IV კვარტალს შორის სხვაობა	ამა წლის ბოლო კვარტალსა და მომდევნო წლის პირველ კვარტალს შორის სხვაობა	
5	2003	334.6	56.3	80.4	83.4	114.4	24.0	3.0	31.0	3.8	
6	2004	492.3	118.2	117.2	133.0	123.9	-1.0	15.9	-9.2	-35.2	
7	2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7	16.1	-25.2	100.2	-34.5	
8	2006	1,171.2	145.2	318.0	332.4	375.5	172.8	14.4	43.1	-44.7	
9	2007	1,764.7	330.8	375.3	470.6	588.0	44.5	95.3	117.5	-48.0	
10	2008	1,575.2	540.1	607.7	136.1	291.3	67.7	-471.6	155.2	-176.8	
11	2009	666.8	114.5	178.3	179.1	194.9	63.8	0.8	15.8	-18.8	
12	2010	865.6	176.1	211.5	236.8	241.2	35.3	25.4	4.4	-18.6	
13	2011	1,134.0	222.6	273.1	309.1	329.2	50.5	35.9	20.2	-16.8	
14	2012	1,048.2	312.4	248.0	220.5	267.3	-64.4	-27.4	46.8	24.5	
15	2013	1,039.2	291.8	224.1	271.6	251.6	-67.8	47.6	-20.0	80.2	
16	2014	1,837.0	331.9	217.6	749.5	538.0	-114.3	531.9	-211.5	-194.6	
17	2015	1,729.1	343.4	493.2	531.1	361.3	149.8	37.9	-169.8	30.8	
18	2016	1,650.3	392.2	452.1	506.5	299.5	59.9	54.5	-207.0	112.1	
19	2017	1,962.6	411.7	394.0	627.9	529.0	-17.7	234.0	-98.9	-205.5	
20	2018	1,265.2	323.5	403.6	367.0	171.0	80.1	-36.6	-196.0	N/A	
21	*წინასწარი მონაცემები.										
22											

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

ანუ, როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, თუ განვიხილავთ 2003-2018 წლებს და ყოველწლიურად შევადარებთ 1-2 კვარტლებს შორის სხვაობებს არის წლები როდესაც ფიქსირდება ზრდა და ასევე როდესაც ფიქსირდება კლება და ზოგჯერ არის მნიშვნელოვანი ზრდა და ზოგჯერ მნიშვნელოვანი კლება. ანალოგიური სურათია სხვა კვარტალთა წყვილების შემთხვევაშიც. ე.ი უპი ამ მეთოდოლოგიით არასეზონურია.

არ ვიყენებთ საზღვარგარეთ არსებულ უპი-ის პროგნოზირების მეთოდებს კონკრეტული მიზეზების გამო. შესაბამისად, ნაკლები პროგნოზირების მეთოდების

გამო ვერ ვახერხებთ პროგნოზების შედარებას იმისათვის, რომ დავადგინოთ რამდენად ზუსტია პროგნოზირების რომელიმე საუკეთესო მეთოდი.

ასევე, რეგრესიული ანალიზის პროცესში, იმისათვის, რომ კოეფიციენტის T-სტატისტიკიდან გამომდინარე გამოვიტანოთ ვალიდური დასკვნები რეგრესიის კოეფიციენტის არსებობის შესახებ, საჭიროა რომ მოდელში შეყვანილი დამოკიდებული ცვლადი იყოს სტაციონალური (Forest J. www.researchgate.net) სტაციონარობის ტესტი შესაძლოა ჩატარდეს იგივეში Augmented Dickey-fuller unit root test-ის თანახმად. ამისათვის workfile-ში ხსნი იმ მწკრივს, რომელზეც ატარებ სტაციონარობის ტესტს. მერე ხსნი view-unit root test. test type-ში. ირჩევ Augmented Dickey-fuller. test for unit root ირჩევ levels, როდესაც გაინტერესებს სტაციონარობის ტესტი ცვლადზე, რომელიც იქნება იმ მდგომარეობაში, როგორცაა მოცემული. 1st difference or 2nd difference ირჩევ, როდესაც გინდა სტაციონარობის ტესტი ჩატარდეს ცვლადის 1 რიგის ან მეორე რიგის სხვაობაზე შესაბამისად. თუ ტესტის ჩატარების მერე გამოგდებულ შედეგების ფანჯარაში Augmented Dickey-fuller test statistic მეტია კრიტიკულ ღირებულებაზე, მაშინ მწკრივი არის არასტაციონალური. თუმცა იმისათვის, რომ ეს ტესტი იყოს ვალიდური, მაშინ ამ ტესტის ტესტ განტოლებაში დურბინ ვატსონის სტატისტიკა უნდა იყოს ახლოს 2-თან ანუ არ უნდა არსებობდეს ავტოკორელაცია რეზიდუალებში ამ ტესტის ტესტ განტოლებაში. თუ არსებობს ავტოკორელაცია რეზიდუალებში მაშინ ვიყენებთ phillips-perron-ის ტესტს, რომელიც ჩვენ მიერ ნახსენები დიკი ფულერის ტესტის მსგავსია. რეგრესიაში არაა აუცილებელი რომ დამოუკიდებელი ცვლადები იყოს სტაციონალური, მაგრამ აუცილებელია რომ დამოკიდებული ცვლადი იყოს სტაციონალური. ჩვენ შემთხვევაში უპი გამოვიდა არასტაციონალური ანუ გვაქვს არასტაციონარობის პრობლემები (იხილეთ დანართი № 31). როგორც ჩანს, ამ სტაციონარობის ტესტიდან დურბინ ვატსონის სტატისტიკა უდრის 1.6-ს, რაც არის 1.5-სა და 2.5-ს შორის ანუ ამ ტესტის დაშვება კმაყოფილდება ვინაიდან არ გვაქვს ავტოკორელაცია რეზიდუალებში ამ ტესტის ტესტ განტოლებაში. გადაწყვეტილებას მივიღებთ P-ღირებულებიდან გამომდინარე, რომელიც უდრის 0.4240-ს. ეს ალბათობა მეტია 0.05-ზე ანუ უპის მწკრივი არასტაციონალურია. თუმცა მაინც და მაინც ამ დასკვნას ვერ გამოვიტანთ ვინაიდან უფრო ზუსტი ალბათობის მისაღებად საჭიროა გვექონდეს უფრო მეტი დაკვირვებათა რიცხვი. თუმცა უპის აღარ

დავტესტავთ არასტაციონარობაზე ვინაიდან ქედის რეგრესიაში არ დაგვიტესტია ცვლადები სტაციონარობაზე, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ჩვენთვის ზუსტად უცნობია არის თუ არა ცვლადების სტაციონარობა მოთხოვნილი ქედის რეგრესიაში, თუმცა ჩვენი მოსაზრებაა ის, რომ ვინაიდან სტანდარტულ სტუდენტის T-ტესტს ვერ გამოიყენებ ქედის რეგრესიაში და არასტაციონარობის დროს T-სტატისტიკა არაა T-განაწილებული, რაც იმას იწვევს, რომ T-ტესტი ამ დროს არაა ვალიდური, მაშინ ჩვენ შესაბამისად არ გვანტერესებს ცვლადები არის თუ არა სტაციონალური ვინაიდან ვერ ვატარებთ T-ტესტს. ბოლოს გაანგარიშებებს ჩავატარებთ ქედის რეგრესიით¹⁷ ვინაიდან ეს არის ძალიან სასარგებლო მეთოდი მულტიკოლინეარობის მოსაგვარებლად. აუცილებელია მულტიკოლინეარობის პრობლემის მოგვარება ვინაიდან იმპორტის კოეფიციენტს არ ჰქონდა სწორი ნიშანი რადგან მისი ზრდის დროს უნდა შემცირდეს ბაზრის მაძიებელი უპი და წესით იმპორტის კოეფიციენტს უნდა ჰქონდეს უარყოფითი ნიშანი. ასევე, მოსახლეობის რიცხოვნობას უნდა ჰქონდეს დადებითი და სტატისტიკურად არსებითი კოეფიციენტი ხოლო ამ შედეგებით მას ჰქონდა უარყოფითი და სტატისტიკურად არაარსებითი კოეფიციენტი და ხელფასს უნდა ჰქონდეს უარყოფითი კოეფიციენტი და სტატისტიკურად არსებითი. ასევე მეგშ-ს უნდა ჰქონდეს დადებითი კოეფიციენტი და სტატისტიკურად არსებითი, რაც რეგრესიული ანალიზის შედეგების თანახმად ასე არაა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბრუკსის თანახმად შეიძლება მულტიკოლინეარობის იგნორირება მაშინ, როდესაც კოეფიციენტებს აქვთ შესაბამისი ნიშანი და არსებითობა და, თეორიულად, სწორი ცვლადები არის ჩართული მოდელში. ასევე აუცილებელია მულტიკოლინეარობის პრობლემის მოგვარება ვინაიდან ის მკაცრადაა გამოხატული დამოუკიდებელ ცვლადებს შორის.

3.3.3 შერჩეული რეგრესიის მულტიკოლინეარობის მოგვარების ალტერნატიული მეთოდი

განვიხილოთ მულტიკოლინეარობის მოგვარების სხვა მეთოდი. პირველ ეტაპზე დავაკვირდეთ ფაქტორული ნიშნების VIF-ს (variance inflation factor). თუ ეს

¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ მულტიკოლინეარობის პრობლემის მოგვარება ვცადეთ მაღალი VIF მაჩვენებლის მქონე ცვლადების ამოგდებათ მოდელიდან

მაჩვენებელი არის 10 ან 10-ზე მეტი, მაშინ გვაქვს მულტიკოლინეარობის პრობლემა. ამ მაჩვენებლის შემოწმების მერე მივიღეთ პროგრამა ესპიესესში ფაქტორებისათვის ამ მაჩვენებლის ძალიან მაღალი მნიშვნელობები. ე.ი დამტკიცდა მაღალი კორელაციის მაჩვენებლების არსებობა ფაქტორებს შორის (იხილეთ დანართი № 32).

თუკი გვაქვს ორი ან მეტი ფაქტორი მაღალი VIF-ით, მაშინ შეგვიძლია ერთ-ერთი მოვაცილოთ მოდელს (დავამტკიცოთ ამ ცვლადების ამოღება ასევე ცვლადების P-ღირებულებიდან გამომდინარე). ვინაიდან ასეთი ფაქტორები ზედმეტ ინფორმაციას იძლევა კორელირებული ფაქტორებიდან ერთ-ერთის მოცილება დეტერმინაციის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად არ ამცირებს. დამოუკიდებელი ცვლადების P-ღირებულება თითოეული ცვლადის დროს იყო მნიშვნელოვნად მეტი 0.01-ზე (0.01 და არა 0.05 იმიტომ ავიღეთ, რომ ვატარებდით მრავლობით რეგრესიას, შერჩეული ერთობლიობა იყო პატარა და რეზიდუალები იყო არანორმალურად განაწილებული. ნორმალურობის ტესტად გამოვიყენეთ შაფირო ვილკის ტესტი ვინაიდან რეზიდუალების დაკვირვებათა რიცხვი იყო 2000-ზე ნაკლები). თუ VIF არის 100-ზე მეტი მაშინ სარწმუნოდ არსებობს მულტიკოლინეარობა. შესაბამისად, ამოვადგებთ მოდელიდან ცვლადს მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს და დავაკვირდებით R-კვადრატის ცვლილებას (2013 <http://blog.minitab.com/blog/understanding-statistics/handling-multicollinearity-in-regression-analysis>)

როგორც შედეგებიდან ირკვევა დეტერმინაციის კოეფიციენტი შემცირდა 0.719-დან 0.691-მდე ანუ შემცირდა 0.03-ით ანუ დეტერმინაციის კოეფიციენტი შემცირდა არა მნიშვნელოვნად (იხილეთ დანართი № 32 და № 33) ანუ ამ შედეგების თანახმად მეგშ იძლეოდა ზედმეტ ინფორმაციას თუმცა ამ ცვლადს მოდელში მაინც ვტოვებთ ბოლოს ვინაიდან სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ის მნიშვნელოვანი ფაქტორია უპის მოსაზიდად საქართველოში.

მულტიკოლინეარობის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება დასტურდება იმით, რომ მოდელში დარჩენილი ცვლადების VIF ორი ცვლადის დროს იყო ნაკლები 10-ზე, და სხვა ორი ცვლადის დროს ძალიან ცოტათი აღემატება 10-ს (იხილეთ დანართი № 33). თუმცა მკაცრი მულტიკოლინეარობა არსებობს როდესაც კორელაცია ცვლადებს შორის არის 0.8-ზე მეტი ან -0.8-ზე ნაკლები. ასევე, როდესაც VIF არის 10-ზე მეტი. ხელფასისა და იმპორტის შემთხვევაში VIF იყო 10-ზე მეტი და ასევე მაინც ვერ

მოვარდეთ ბოლომდე მულტიკოლინეარობის პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასს ახლა ჰქონდა სწორი კოეფიციენტის ნიშანი ანუ მისი კოეფიციენტი გახდა უარყოფითი მულტიკოლინეარობის რაღაცა დონით მოგვარების შემდეგ თუმცა ის მაინც სტატისტიკურად არაარსებითია და მულტიკოლინეარობის პრობლემა ბოლომდე ვერ მოგვარდა. ასევე, როდესაც მოდელიდან უნდა ამოვადოთ არსებითი ცვლადი მულტიკოლინეარობის მოსაგვარებლად მაშინ ჯობია ასე არ გავაკეთოთ და გამოვიყენოთ ქედის რეგრესია.

რეგრესიული ანალიზის შედეგების განხილვისას, მოდელის დიაგნოსტიკის დროს პირველი ეტაპია შემოწმება იმისა, არის თუ არა კოეფიციენტის ნიშანი შესაბამისობაში თეორიასთან. დამოუკიდებელ ცვლად იმპორტს ჰქონდა დადებითი კოეფიციენტი და, თეორიულად, ვინაიდან საქართველოში შემოდინან ძირითადად ბაზრის მაძიებელი ინვესტორები ამ ცვლადის კოეფიციენტს უნდა ჰქონდეს უარყოფითი ნიშანი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აუცილებელია მულტიკოლინეარობის პრობლემის მოგვარება სხვა მეთოდით.

რაც შეეხება R-კვადრატს მისი მნიშვნელობა 0.691 სავსებით დამაკმაყოფილებელია ორი მიზეზის გამო: 1) ის, რომ მეტია 0.577 2) რეგრესიის მიზანს არ წარმოადგენს R-კვადრატის მაქსიმიზაცია მოდელში არაშესაბამისი ცვლადების ჩართვით. მიუხედავად ცვლადების P-ღირებულებებიდან გამომდინარე, არაარსებითად მიჩნეული ცვლადები შესაძლოა მივიჩნიოთ საკმარისად ინფორმატიულად, ვინაიდან თითოეულ ცვლადზე დაკვირვებათა რიცხვი მცირეა და დაზუსტებული R-კვადრატი არის არც ნული და არც უარყოფითი (Fuqua School of Business, <https://people.duke.edu/~rnau/rsquared.htm>). დასასრულ, არ ვახდენთ პროგნოზებს, ვინაიდან გვინტერესებდა საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი, რაც შესაძლოა მხოლოდ რეგრესიული ანალიზის შედეგების განხილვის საფუძველზე. ქედის რეგრესიის შედეგები მოცემულია დანართ № 34-ში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა და ასევე მეგმ არის მნიშვნელოვანო ცვლადები. თუმცა მოსახლეობის რიცხოვნობის კოეფიციენტი უარყოფითია. მართალია მეგმ-ის ზრდა უფრო მდიდრების საფუძველზე ხდება ვინაიდან მდიდრები უფრო მეტად მდიდრდებიან და ღარიბები კი უფრო მეტად ღარიბდებიან. მაგრამ საქართველოში საშუალო ფენა(როგორც

მდიდარი ფენა) წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის 5%-ს. თუ მეგზ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაშინ გაიზრდება ასევე საშუალო ფენის შემოსავალი და საშუალო ფენა შეძლებს ძვირი პროდუქციის უფრო მეტად შეძენას, რაც ზოგიერთი ინვესტორის პროდუქციის რეალიზაციას უფრო მეტად შეუწყობს ხელს და ძალიან მდიდარი კიდევ რომ გამდიდრდეს ეს არ გამოიწვევს ინვესტორის პროდუქციის დამატებით მნიშვნელოვნად რეალიზაციას ვინაიდან ასეთ ფენას უკვე ექნება შეძენილი ყველაფერი და შეიძლება მხოლოდ ძალიან ძვირადღირებული შეიძინოს. ეს დასტურდება ჩვენი რეგრესიული ანალიზის საბოლოო შედეგებითაც, სადაც მეგზ-ის კოეფიციენტი არის 0.005, რაც იმას ნიშნავს, რომ მეგზ-ის ზრდა 1 მლნ. ლარით ზრდის უპის 5000 ლარით და საშუალო ფენა წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის 5 %-ს საქართველოში. ასევე ხელფასის ზრდა უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე ქვეყანაში, რაც აიხსნება იმით, რომ შემოვიდნენ არადიდი ზომით ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტორები რომლებიც იაფფასიანი მუშა ძალის დასაქმებით არიან მოტივირებული. ხელფასის ერთი ერთეული აქ უდრის 1 ლარს, ხოლო უპის ერთი ერთეულია მილიონი ლარი, და ხელფასის კოეფიციენტის ზომამა -0.713154. 2007-2018 წლებში ეფექტიანობის მაძიებელმა ინვესტორებმა მთლიან შემოდინებულ ინვესტიციებში დაიკავეს 13%. ასეთი უპის დროს ინვესტორი მოტივირებულია იაფი სამუშაო ძალით. რეგრესიული ანალიზით დადასტურდა, რომ ხელფასის ზრდა უარყოფითად აისახება უპის შემოდინებაზე საქართველოში. რომ განვიხილოთ 2007-2018 წლებში ხელფასის დინამიკა საქართველოში ის მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ჩვენ რეგრესიული ანალიზით ირკვევა, რომ ხელფასის 1 ლარით ზრდა უპის ამცირებს 713 154 ლარით. ამიტომ, შესაძლოა ასეთი უპის არადიდი ზომით შემოდინება განაპირობა ხელფასის ზრდამ (მით უმეტეს როდესაც ინვესტორები იხდიან უფრო მაღალ ხელფასს ვიდრე ადგილობრივი ფირმები), რომლებმაც მცირე წილი დაიკავეს 2007-2018 წლებში შემოდინებულ მთლიან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში.

3.4 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად გატარებული ღონისძიებები და მათი შესაბამისობის დადასტურება

უპი-ის დეტერმინანტების განხილვის შემდეგ, აუცილებელია იმის დადგენა, საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა რა ზეგავლენა მოახდინა ინვესტიციების შემოდინებაზე, რასაც ეძღვნება ეს ქვეთავი.

ეკონომიკური რეფორმებისა და სტიმულების წყალობით, უპი-ის შემოდინება მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2005 წელს უპი-ის შემოდინება ქვეყანაში შეადგენდა 449.8 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2006 წელს – 1190.4 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2007 წელს - 2014.8 მლნ.ს. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე გარკვევით ჩანს, რომ ამ წლებში უპი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ ,მაგალითად, 2004 წლის შემდეგ მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები იმისათვის, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო ლიბერალური საგადასახადო სისტემა და ბიზნესზე მორგებული გარემო პოტენციური ინვესტორებისათვის, იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი უპი-ის მოსაზიდად. თუმცა 2008-2009 წლებში უპი-ის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, მაინც შეგვიძლია იმის აღნიშვნა, რომ აღნიშნული ეკონომიკური რეფორმები იყო შესაბამისი უპი-ის მოსაზიდად, ვინაიდან ეს შემცირება უფრო მეტად გამოწვეული უნდა ყოფილიყო რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებული ომით 2008 წელს. (საქართველოში უპი შემცირდა 2009 წლის შემდეგ, ძირითადად კონფლიქტის გამო რუსეთთან სამხრეთ ოსეთში 2008 წლის ზაფხულში). თუკი კავშირები რუსეთთან გაუმჯობესდა, შესაძლოა მოვიზიდოთ უფრო მეტი ვერტიკალური ინვესტორი. საქართველოში უპის ზრდის ტრენდი მეტ-ნაკლებად იყო შენარჩუნებული 2008 წლის გარდა, როდესაც გაჩაღდა ომი რუსეთთან და ადგილი ჰქონდა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს. ის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული ომი იყო მიზეზი უპი-ის შემოდინების შემცირებისა საქართველოში დასტურდება იმით, რომ 2010-2018 წლებში უპი იზრდებოდა. (4 წელიწადის 2012, 2013, 2015 და 2016-ის გამონაკლისით, როცა უპი-ის კლება არ იყო მაღალი, ხოლო 2008-2009 წლებში უპი მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა უპი ასევე საგრძნობლად შემცირდა 2018 წელს), რაც, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ ომის ნეგატიურ ეფექტებს ადგილი ჰქონდა უფრო მეტად მისი დაწყების შემდეგ, ხოლო ომის დაწყებიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ომის ნეგატიური ეფექტები შემცირდა. აღნიშნული უპი-ის დინამიკა წარმოდგენილია ცხრილ 1-ში. 2004-2005 წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად განაპირობა უპის შემოდინება

საქართველოში, რაც იმითაც დასტურდება, რომ აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ ომამაც კი ვერ შეამცირა უპი მნიშვნელოვნად და 2008-2009 წლებში უპის შემოდინებები მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2004 წლამდე არსებულს და ომი უპის შემოდინების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევა. მაგალითად, აფრიკაში სიერა ლეონე არის ქვეყანა, რომელიც ვერ იზიდავს უპის მნიშვნელოვან მოცულობას ომის გამო.

ცხრილი 16

უპი-ის დინამიკა 1996-2018 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
1996	3.8
1997	242.6	38.8	48.5	97.0	58.2
1998	265.3	19.1	97.8	45.0	103.4
1999	82.2	19.4	22.3	20.0	20.6
2000	131.2	32.7	30.0	28.9	39.5
2001	109.8	20.0	30.8	29.8	29.2
2002	160.2	24.4	44.6	36.4	54.8
2003	334.6	56.3	80.4	83.4	114.4
2004	492.3	118.2	117.2	133.0	123.9
2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7
2006	1,171.2	145.2	318.0	332.4	375.5
2007	1,764.7	330.8	375.3	470.6	588.0
2008	1,575.2	540.1	607.7	136.1	291.3
2009	666.8	114.5	178.3	179.1	194.9
2010	865.6	176.1	211.5	236.8	241.2
2011	1,134.0	222.6	273.1	309.1	329.2
2012	1,048.2	312.4	248.0	220.5	267.3
2013	1,039.2	291.8	224.1	271.6	251.6
2014	1,837.0	331.9	217.6	749.5	538.0
2015	1,729.1	343.4	493.2	531.1	361.3
2016	1,650.3	392.2	452.1	506.5	299.5
2017	1,962.6	411.7	394.0	627.9	529.0
2018	1,265.2	323.5	403.6	367.0	171.0

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ნანახია 9/29/2019

2005 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადის ტიპები და განაკვეთები. აღნიშნული ღონისძიების შესაბამისობას მნიშვნელოვნად ადასტურებს ცხრილი 1-ის მონაცემები. კერძოდ ის, რომ სწორედ 2005 წლის შემდეგ 2006-2007 წწ. ჰქონდა ადგილი უპი-ის მნიშვნელოვან ზრდას. ხოლო დანარჩენ წლებზე მსჯელობა შესაძლებელია იმ ფაქტორებზე მსჯელობის

ანალოგიურად რომელიც განხორციელდა ამ ქვეთავის დასაწყისში. ლიცენზიები და ნებართვები შემცირდა 84%-ით. აღნიშნული ფაქტი შეგვიძლია მივიჩნიოთ უპი-ის შემოდინების მნიშვნელოვანი ზრდის ფაქტორად. 2005 წლის ცვლილებებით 84 სახის საქმიანობის ლიცენზია შემცირდა 79-მდე, (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?>) ხოლო ის, თუ როგორ გაიზარდა უპი-ის მოცულობა საქართველოში 2006-2007 წწ. ჩანს წარმოდგენილი ცხრილიდან. ლიცენზიებისა და ნებართვების შემცირება შეგვიძლია მივიჩნიოთ იმის დამადასტურებელ ფაქტორად (84% შემცირება), რომ ასეთ ცვლილებებს უნდა გამოეწვია უპი-ის მნიშვნელოვანი შემოდინება ქვეყანაში.

2004 წლიდან საქართველოში მოხდა ბიზნესგარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც აისახა ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, გაუმჯობესდა ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და გამარტივდა საბაჟო პროცედურები, ქვეყანაში შემსუბუქდა სამთავრობო რეგულაციები. დღეისათვის საჭიროა მხოლოდ ორი პროცედურა და ორი დღე ბიზნესის სარეგისტრაციოდ და არანაირი მოთხოვნა არ არსებობს მინიმალურ კაპიტალზე. 2011 წელს საქართველოში შეიქმნა საპარტნიორო და თანაინვესტიციის ფონდი იმ მიზნით, რომ ბაზარზე ახალ მოთამაშეებს დაეხმაროს. საპარტნიორო ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხები და ა.შ.). (<http://www.fund.ge/who-we-are.>) როგორც იყო მითითებული საპარტნიორო ფონდის ვებსაიტზე) შესაბამისად თუკი ინვესტორის არ მოუწია კაპიტალში თანაინვესტირება, ფონდის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსები შეიძლება მოიხმაროს ინვესტორმა არა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ იმისათვის, რომ გააკეთოს სხვა, მისთვის სასიკეთო საქმეები. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ორმა ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა უპი-ის შემოდინება ქვეყანაში. აღნიშნული თეორიული მოსაზრების დასამტკიცებლად წარმოვადგინოთ ცხრილი 17.

საქართველოში უპი-ის დინამიკა 2011-2017 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

წელი	უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)
2011	1 117.2
2012	911.6
2013	941.9
2014	1 758.4
2015	1 564.5
2016	1565.9
2017	751

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo;

საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე, მთლიანი შემოდინებული უპის მოცულობა 2011-2017 წლებში იყო 8610 მლნ. აშშ დოლარი, რაც დაბალ მაჩვენებლად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ ფონდმა ხელი შეუწყო უპი-ის მოზიდვას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია რა როლი შეასრულა სხვა ფაქტორებმა. აღნიშნულ ცხრილში ასახულია უპი დინამიკაში. ამ სხვა ფაქტორების გამოკვლევის ნაცვლად შესაძლოა უპი-ის წინა წლების დინამიკა წარმოვადგინოთ და აქედან გამომდინარე არსებული მთლიანი ჯამური უპის მოცულობა შევუდაროთ 2011-2017 წლების მაჩვენებლებს. უპი-ის დინამიკა 2011 წლამდე წარმოდგენილია ცხრილ 18-ში.

ცხრილი 18

საქართველოში უპი-ის დინამიკა 2004-2010 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

წელი	უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)
------	--

2004	499.1
2005	449.8
2006	1 190.4
2007	2 014.8
2008	1 564.0
2009	658.4
2010	814.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
<http://geostat.ge/?action>

ცხრილიდან გამომდინარე, 2004-2010 წწ. უპი-ის შემოდინების მთლიანი მოცულობა იყო 7191 მლნ. აშშ დოლარი. შესაბამისად, ვინაიდან 2011-2017 წწ. ის მთლიანი შემოდინებული უპის მოცულობა აღემატება 2004-2010 წწ. ანალოგიურ მაჩვენებელს (რაც უფრო მეტ არგუმენტაციას აძლევს შედარების მცდელობით გამოტანილ დასკვნას), ჩვენ შეგვიძლია მისაღები სიზუსტით ვამტკიცოთ, რომ ამ ფონდმა განაპირობა საქართველოში ინვესტიციების შემოდინება.

იმისათვის, რომ ქვეყანამ მოიზიდოს ინვესტორები, მან უნდა გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმები, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან უპის მოსაზიდად სხვა ქვეყნები უწევენ მას კონკურენციას. საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი პოზიციები მსოფლიო ბანკის ყველა ინდიკატორში. ზოგიერთმა ინვესტორმა აღნიშნა, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, ისინი სესხს იღებენ ბანკებისგან ევროპაში; ცვლილებებს მოითხოვს დამსაქმებელზე ნაკლებად მორგებული შრომის კოდექსი, რაც მიიჩნევა უპის შემოდინების ხელშემშლელ ფაქტორად, რაც ასევე დასტურდება ჩვენ მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზით (კირკიტაძე 2018, 146), სადაც უპი იყო დამოკიდებული, ხოლო ხელფასი დამოუკიდებელი ცვლადი, ამ ანალიზით დადგინდა, რომ ხელფასს ჰქონდა დიდი ზომის უარყოფითი კოეფიციენტი (-5061786), რაც ნიშნავს იმას, რომ ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს უპის შემცირებას 5061786 ერთეულით, ე.ი ხელფასის ზრდა მნიშვნელოვნად აფერხებს უპის შემოდინებას ქვეყანაში, ხოლო თუ შრომითი კოდექსი ნაკლებადაა დამსაქმებელზე

მორგებული, მაშინ შესაძლოა ინვესტორს მოუწიოს მაღალი ხელფასის გადახდა ადგილობრივ ადამიან-კაპიტალში.

ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი იზრდება იმ მიმღებ ქვეყანაში, სადაც მარტივია პროდუქციის რეალიზაცია. ასეთი ტიპის უპი იზრდება მაშინ, თუ ინვეტორის ძირითადი მოტივაცია მიმღებ ქვეყანაში ბაზრის მომსახურებაა.

ინვესტორები საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იაფი წარმოების ფაქტორებს. 2007-2013 წლებში მთლიანი დაბანდებული ინვესტიციების 80% იყო ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი, ხოლო 17%-ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული. ამ უკანასკნელების მოტივაციაა ხარჯების შემცირება. შესაბამისად, უფრო დაბალი საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა დასტურდება აღნიშნული ფაქტებით ვინაიდან დაბალი საგადასახადო განაკვეთის პირობებში შესაძლოა დაბალი ფასების დაწესება ვინაიდან მცირდება ხარჯი რაც ხელს შეუწყობს ინვესტორის მიერ პროდუქციის რეალიზაციას, რომლის მოტივაციაა ბაზრის ათვისება და ასევე ამით შემცირდება ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორის ხარჯი, რაც წარმოადგენს მის მოტივაციას უპის განხორციელებისას.

თავის მხრივ, ინვესტორები დიდ ყურადღებას რომ აქცევენ საქართველოში ხარჯების შემცირებას, ადასტურებს ავტორის მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზიც, სადაც დამოკიდებული ცვლადი იყო უპი, ხოლო ერთ-ერთი დამოუკიდებელი ცვლადი ხელფასი. ამ ცვლადს ჰქონდა დიდი ზომის უარყოფითი კოეფიციენტი (-5061786), რაც ნიშნავს, რომ ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა, უპის ამცირებს 5061786 ერთეულით, რაც დიდი სიზუსტით ადასტურებს, რომ ინვესტორები საქართველოში ხარჯების შემცირებით არიან მოტივირებული.

საქართველოში შემოსული ზოგიერთი ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორი შემდეგ ახორციელებს ექსპორტს (თუმცა ეს არ იყო მისი მოტივაცია ქვეყანაში შემოსვლისას), რასაც გარკვეულწილად ადასტურებს ჩვენი კვლევა, რომელიც ჩატარდა იმ კომპანიებში, სადაც დაბანდდა უპი. კერძოდ შესწავლილი 115 კომპანიიდან მხოლოდ 29 არ ახორციელებდა ექსპორტს. ე.ი. ექსპორტს ახორციელებდა 86 ინვესტორი (75%).¹⁸ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული

¹⁸ "ბიას" მოწოდებული მასალის ავტორის მიერ დამუშავების შედეგები. სს. "ბია" წამყვანი კომპანიაა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის ბიზნესპროფილების,

ინვესტორი ზოგჯერ ახორციელებს ექსპორტს, იმის გამო, რომ იზრდება ადგილობრივი კონკურენცია მიმღებ ქვეყანაში. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის შემდეგ ექსპორტის განხორციელებას ადასტურებს შემდეგი ფაქტორები: 1) საგადასახადო განაკვეთის შემცირება, (რაც ხელს შეუწყობდა კონკურენციას, ვინაიდან შემცირდებოდა ადგილობრივი ფირმების ხარჯები, რომლებიც შეძლებდნენ შედარებით დაბალი ფასის დაწესებას. თუმცა, იმავდროულად შემცირდებოდა უცხოური ფირმების ხარჯები და ფასები, რაც მათ ფასებს შორის არ გამოიწვევდა დიდ სხვაობას. 2) საქართველოში მოხდა პროგრესი ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, კერძოდ მნიშვნელოვნად გამარტივდა ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები. იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპის გარდა დაბანდდა სხვა მოტივაციით მოტივირებული ინვესტიციები, ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2006 წელს შემცირდა საიმპორტო გადასახადები, ხოლო 2008 წელს-გაუქმდა, რამაც, თავის მხრივ, წახალისა იმპორტი და გაიზარდა იმპორტიორთა რიცხვი, ხოლო ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უპი უფრო მეტად ხორციელდება მიმღებ ქვეყანაში, სადაც იმპორტიორი მცირდება.

შემცირებული საგადასახადო განაკვეთის დიდ როლს უპის მოზიდვაში ადასტურებს ასევე ის ფაქტი, რომ შემოდინებული უპის მთლიანი მოცულობის 17% ეკავა ეფექტიანობის ამალგაზე ორიენტირებულ უპის, რომელიც ტრანსაქციული ხარჯების შემცირებითაა მოტივირებული და, თავის მხრივ, განპირობებულია შემცირებული საგადასახადო განაკვეთით, ვინაიდან, ასეთ დროს მცირდება ხარჯები, შესაბამისად ეს განპირობებს კლიენტისთვის სასურველ და გამყიდველის მიერ დაწესებულ ფასს შორის სხვაობის ანუ ტრანსაქციული ხარჯების შემცირებას.

ქვეყანაში შემოვიდნენ ასევე რესურსებზე ორიენტირებული ინვესტორები, რომელთა მოტივაციაა მიმღებ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების გადამუშავება და ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპის დროს ინვესტორი მოტივირებულია ნიჭიერი, უნარჩვევებიანი, კვალიფიციური და განათლებული სამუშაო ძალით. ლოგიკურია, რომ ინვესტორმა ასეთ ადამიან-კაპიტალს უნდა

მარკეტინგული სიების და დარგობრივი ბაზრების შესახებ ანალიტიკური მასალების მიწოდებაში.

გადაუხადოს უფრო მაღალი ხელფასი. ჩვენ მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზის თანახმად, სადაც უპი იყო დამოკიდებული ცვლადი, ხოლო ხელფასი ერთ-ერთი დამოუკიდებელი ცვლადი, ხელფასს ჰქონდა დიდი ზომის უარყოფითი კოეფიციენტი (-5061786), რაც ნიშნავს, რომ ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს უპის შემცირებას 5061786 ერთეულით (ამ შემთხვევაში უპის ერთი ერთეული 1 ლარს უდრის) ანუ ხელფასის ზრდა დიდი ზომით განაპირობებს უპის შემცირებას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული უპი შეიძლება საერთოდ არ განხორციელებულიყო.

იმის დასამტკიცებლად, რომ რაც უფრო მაღალია ექსპორტი, მით მაღალია უპი, წარმოვადგენთ შემდეგ ცხრილს:

ცხრილი №19

ქვეყნების რანჟირება უპისა და ექსპორტის მიხედვით 2017 წელს

ქვეყანა	ექსპორტის ზომა ბილიონი დოლარი 2017 წელს	უპის ზომა მილიონი დოლარი 2017 წელს
ჩინეთი	2.263 ტრილიონი	136320
ჰონგ კონგი	550.2	104332.9805
საფრანგეთი	523.4	49794.91464
მექსიკა	409.5	29695.006
რუსეთი	359.2	25284.02583
ესპანეთი	319.6	19086.14967
ვიეტნამი	265.1	14100
ტაილანდი	236	7635.246012
პოლონეთი	221.3	6433.515611
ირანი	105.8	5019
სლოვაკეთი	84.5	2276.70709
ფინლანდია	67.3	1327.904073
კატარი	63.7	985.989011
ლიტვა	29.3	595.3814914
ბაჰრეინი	9.9	518.8829787
ტრინიდადი/ტობაგო	9.6	178.7396159
უზბეკისტანი	8.6	95.766288
ურუგვაი	7.9	-124.556347

წყარო: <http://www.worldstopexports.com/worlds-top-export-countries/> და <https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx> (FDI inflows, by region and economy, 1990–2017)-ის დამუშავების შედეგები

მსოფლიოში სულ 195 ქვეყანაა და ჩვენ მიერ მხოლოდ 18 ქვეყნის მაგალითზეა დადასტურებული, რომ რაც უფრო მეტია ექსპორტი, მით მეტია უპი. აქ რეპრეზენტაბელობა ვერ დადასტურდება, რადგან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ბევრად უფრო მეტი ქვეყნის მაგალითზე დადასტურდეს ის, რომ რაც უფრო მეტია ექსპორტი მით მეტია უპი.

საქართველოს შემთხვევაში სუსტი კავშირი გამოვლინდა ექსპორტსა და უპის შორის, როგორც რეგრესიული, ასევე კორელაციური ანალიზით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ექსპორტის ზრდა უმნიშვნელოდ ზრდის უპის, რაც თავის მხრივ მეტყველებს იმაზე, რომ ექსპორტის წამახალისებელი ღონისძიებები ხელს უწყობს სხვადასხვა მოტივაციის ინვესტორების მცირე ზომით შემოდინებას საქართველოში. ეს დასტურდება იმით, რომ 2007-2017 წლებში რესურსებზე ორიენტირებული ინვესტორების ხვედრითი წილი შეადგენდა უპის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 3%-ს. რაც შეეხება ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულ უპის, რომელიც წარმოადგენდა 2007-2017 წლებში მთლიანი შემოდინებული უპის 80%-ს, ანუ ასეთი მოტივაციით შემოვიდა ძალიან ბევრი ინვესტორი, მაშინ ექსპორტის წამახალისებელ ღონისძიებებს უნდა გამოეწვია ამ შემოდინებული ინვესტიციებიდან 80%-ის მცირე წილი რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველომ სწორი ზომები მიიღო, როდესაც განახორციელა რამდენიმე რეფორმა და არა ერთი, რაც ასევე ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნებმა კომპლექსურად უნდა განახორციელონ რეფორმები უპის მოსაზიდად. იმ მოსაზრებას, რომ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები, რომლებმაც შემდეგ განახორციელეს ექსპორტი, წარმოადგენდნენ ასეთი ინვესტიციების მცირე წილს ადასტურებს, რომ ასეთი ინვესტორები მოტივირებული არიან ექსპორტის განხორციელებით მაშინ, როდესაც იზრდება კონკურენცია. ამაზე მიუთითებს ის, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი 115 კომპანიიდან 75% იყო ექსპორტის განხორციელებით მოტივირებული.

საბოლოოდ, საქართველოში გატარდა მრავალი ღონისძიება უპი-ების მისაზიდად. თუ აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ, არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა ეს გახდება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყარო. ქვეყანაში

საინვესტიციო კლიმატი იმდენად გაუმჯობესდა, შეიქმნა საპარტნიორო ფონდი, რომელსაც საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების სხვა დადებით ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა შეეწყოს ხელი უპის შემოდინებისათვის, რაც დასტურდება უპის დინამიკის შედარების საფუძველზე. დასკვნებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ადგილმდებარეობის უპირატესობების დივერსიფიკაციამ განაპირობა უპის კიდევ უფრო მეტად ზრდა. ასევე რეფორმებმა განაპირობა შემოდინებული უპის მოტივაციების დივერსიფიკაცია.

3.5 უპის ეფექტიანი განთავსების გზების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაში

ერთი და იმავე უპი-ის მოტივაციის შემთხვევაში მისი ეფექტი სხვადასხვანაირად აისახება სხვადასხვა მიმღებ ქვეყანაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ მიმღებ ქვეყნებს სხვადასხვა მახასიათებელი აქვთ. შესაბამისად, იმისათვის, რომ აღნიშნული უპი-ის დადებითი ეფექტები საქართველოს შემთხვევაში მივიღოთ, საჭიროა განვიხილოთ მიმღები ქვეყნისთვის დამახასიათებელი ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ამ პროცესზე დადებით ზეგავლენას, რასაც ეძღვნება ეს ქვეთავი.

განვითარებად ქვეყნებზე უპის დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მის შემდეგ მახასიათებლებზე:

✓ მიმღები ქვეყნის უნარი, გამოიყენოს უპი ისე, რომ მან დადებითი ეფექტი მოუტანოს მას, დამოკიდებულია ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მოცულობაზე. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: 2009 წელს უნკტადის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, უპი-ის ჰქონდა ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი შემდეგ ქვეყნებში: უნგრეთი, ბელგია, ჩეხეთი, რუმინეთი, პოლონეთი და მალაიზია (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად 2009 წელი). ამ ქვეყნებს შორის მინიმალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ჰქონდა რუმინეთს 12200 დოლარის ეკვივალენტი, ხოლო საქართველოში ამავე წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ფიქსირდება 4700 დოლარი (ქვეყნების რანჟირება მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით 2009 წელს). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უპი-მ ნაკლები დადებითი ეფექტი იქონია ქვეყანაზე. (2009 წელს უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, რუმინეთი მშპ-ის,

დასაქმებისა და ხელფასის კვარტილური რანჟირების მიხედვით იმყოფებოდა 1 კვარტილში (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, 2009 წელი), რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ინვესტორებმა აწარმოეს მშპ-ის თითქმის ნახევარი (50), დაასაქმეს აქ დასაქმებულთა თითქმის 1/5 ნაწილი და ხელფასის კოეფიციენტი აქ იყო დაახლოებით 37 (UNCTAD 2012, 33-34), ხოლო საქართველოში ამავე წელს უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, მშპ-ის, დასაქმებისა და ხელფასის კოეფიციენტები იყო 33, 18 და 15 შესაბამისად) (UNCTAD 2012). აღნიშნული ადასტურებს, რომ მიმღები ქვეყნის უნარი, გამოიყენოს უპი ისე, რომ ამ უკანასკნელმა მოუტანოს მას დადებითი ეფექტი, დამოკიდებულია ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მაჩვენებელზე.

✓ ის მიმღები ქვეყანა, სადაც არსებობს უკეთესი ადამიან-კაპიტალი უფრო მეტ სარგებლიანობას მიიღებს უპის საფუძველზე გადაცემული ტექნოლოგიისგან, ვინაიდან ასეთ დროს დადებითი ეფექტები უცხოური ფილიალებისგან ადგილობრივი საწარმოებისადმი იზრდება;

✓ ვაჭრობის ლიბერალიზაცია მიიჩნევა მნიშვნელოვნად ვინაიდან ტნკ-ები მისდევენ რთულ ინტეგრაციულ სტრატეგიებს, რაც, თავის მხრივ, შუალედური საქონლის წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე მოითხოვს შეუფერხებელ იმპორტს;

✓ ის, თუ რა დონემდე გადასცემს ტნკ თანამედროვე ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუს მათ უცხოურ ფილიალებს, შესაძლოა დამოკიდებული გახდეს მიმღები ქვეყნების ინსტიტუციურ განვითარებაზე, რაშიც, თავის მხრივ, მოიაზრება ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კანონის უზენაესობა, კორუფციის დონე, მთავრობის ადმინისტრირების ხარისხი, საკუთრების უფლებების დაცვა, მთავრობის ჩაურევლობა ბიზნესში და სხვა;

✓ უპის ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის დადებითი ეფექტი ეხება მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებს. თუმცა საქართველოს შემთხვევაში, რომელიც არ მიიჩნევა მაღალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნად, 2009-2011 წლებში უპი-იმ იქონია დადებითი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. 2009 და 2011 წლებში უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად საქართველოში დამატებული ღირებულების კოეფიციენტი იყო 33 ორივე წელს (Sikharulidze 2012, 64), რაც ნიშნავს, რომ 2009 წელს საქართველოს მშპ-ის 33% იყო წარმოებული უპი-ის საფუძველზე. 2009 წელს საქართველოში რეალური მშპ(მშპ

მუდმივ ფასებში) იყო 19523 მილიონი ლარი, ხოლო 2011 წელს მშპ მუდმივ ფასებში იყო 22241 მილიონი ლარი (http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo), საიდანაც გამომდინარეობს ის, რომ 2011 წელს ინვესტორებმა უფრო მეტი აწარმოეს ვიდრე 2009 წელს. თუმცა მხოლოდ ორ წელზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები შეიძლება არასრული იყოს, ვინაიდან დასადგენია სხვა წლების დინამიკა, რაც ვერ გაანალიზდა, რადგან საქართველოსათვის უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსი მხოლოდ სამ წელზეა გაანგარიშებული;

✓ რაც უფრო დიდია მიმღებ ქვეყანასა და ბაზირების ქვეყანას შორის ტექნოლოგიური სხვაობა, მით უფრო მცირეა უპის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე;

✓ უპი ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ იმ ქვეყნებში ახდენს, სადაც საკმარისად კვალიფიციური სამუშაო ძალაა. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში უპი-იმ 2009-2011 წლებში ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი ეფექტი იქონია, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ აქ საკმარისად კვალიფიციური სამუშაო ძალაა, მაგალითად, საკმაოდ მაღალია უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა.

✓ ვაჭრობის ლიბერალიზაცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქვეყანამ უპის დადებითი ზეგავლენა მიიღოს ეკონომიკურ ზრდაზე (Sikharulidze 2012, 66-67). მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, რომელიც მიიჩნევა ღია ეკონომიკად შესაძლოა, აღნიშნული მიზეზების გამო 2009-2011 წლებში უპი-მ განაპირობა ეკონომიკური ზრდა.

ქვეყნები, სადაც მოიპოვება კვალიფიციური კადრები და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მაღალია, ადგილობრივი ფირმები უკეთ სარგებლობენ უცხოური კომპანიების მიერ გადაცემული ტექნოლოგიებით. კარგად განვითარებული ინსტიტუციური გარემო განაპირობებს ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გადაცემას უცხოური კომპანიების ფილიალებში. საბოლოოდ კი, სუსტად განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნები დადებითი შედეგებით სარგებლობენ მათ ეკონომიკაში უცხოელი ინვესტორის არსებობით (ჯღანჯღაგა 2012, 46). ბორენშტეინისა და ალფაროს (Gürsoy & Kalyoncu 2012, 268-269) თანახმად, უპი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ მაშინ, როდესაც განსაზღვრული ეკონომიკური პირობები იქნება მიმღებ ქვეყანაში, მაგალითად საქართველოში ასეთი ეფექტი მიიღება როდესაც აქ იქნება ადამიან-კაპიტალის მინიმალური დონე. ასევე

ჰანსენისა და რანდის (Gürsoy & Kalyoncu 2012, 268-269) თანახმად, უპი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ის, თუ რა დონემდე ისარგებლებს ქვეყანა უპისგან, დამოკიდებულია მის სავაჭრო პოლიტიკაზე, სამუშაო ძალის უნარ-ჩვევებსა და შთანთქმით უნარზე. აგრავალისა და კანის (Gürsoy & Kalyoncu 2012, 268-269) თანახმად, ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია ეკონომიკური კლიმატი. შესაბამისად, როდესაც არ არსებობს ასეთი კლიმატი, უპიმ შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ეკონომიკურ ზრდაზე (Gürsoy & Kalyoncu 2012, 268-269).

2009 წლის უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად 2009 წელს უპი-იმ ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი იქონია უნგრეთზე (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად 2009 წელი). მსოფლიოს 188 ქვეყანას შორის უნგრეთი იმყოფებოდა 26-ე ადგილზე განათლების ინდექსით, (https://en.wikipedia.org/wiki/Education_Index), რაც ადასტურებს იმას, რომ უპი არის განსაკუთრებით სასარგებლო მაღალი განათლების სამუშაო ძალის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგალითად, კენია უპი-ის კონტრიბუციის ინდექსით ბოლო ადგილზე იმყოფებოდა (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, 2009 წელი) და განათლების ინდექსით 136-ე ადგილზე 188 ქვეყანას შორის (https://en.wikipedia.org/wiki/Education_Index). ეკონომიკური გარემოს ხარისხის შეფასებისას ერთ-ერთ როლს თამაშობს საშუალო ხელფასის დონე. ეკონომიკური გარემოს ხარისხი არ უწყობს ხელს უპი-ის დადებით ეფექტებს ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, შეერთებული შტატები იმყოფებოდა მე-5 ადგილზე ხელფასის სიდიდის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს შორის (Mariliza Karrera, <https://www.careeraddict.com/top-10-countries-with-the-highest-average-salaries>) და ამ ქვეყნის მშპ-ში უცხოური ფირმების წილი დაბალი იყო (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, 2009 წელი). თუმცა უფრო ზუსტი დასკვნების გასაკეთებლად საჭიროა უცხოური ფირმების როლის განხილვა ადგილობრივი ფირმების მიერ პროდუქციის წარმოებაში, რაც, თავის მხრივ, ქმნის მშპ-ს. უნგრეთმა, რომელიც გახსნილობის მიხედვით იმყოფებოდა მე-9 ადგილზე მიიღო ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი უპი-სგან (2015 წელი, სავაჭრო გახსნილობა: მშპ-ს რამდენი პროცენტია ექსპორტი და იმპორტი), ხოლო კენიამ, რომელიც

იმყოფებოდა 158-ე ადგილზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი მიიღო უპისგან. ამით დასტურდება ბალასუბრამანიამის მოსაზრება, რომლის მიხედვით უპი-სგან დადებითი ეფექტების მიღება მიმღები ქვეყნის გახსნილობის დონეზეა დამოკიდებული. განვითარებად ქვეყნებში უპი-ის დადებითი ეფექტი დამოკიდებულია ამ ქვეყნების ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. მსოფლიოში საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებია ჰონკონგი და სინგაპური, რომლებმაც 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, დაიკავეს მე-5 და მე-13 ადგილები (ქვეყნების რანჟირება უნკტადის უპის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, 2009 წელი). თუმცა იაპონია, რომელიც მიიჩნევა ასევე საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნად ამ ინდექსის თანახმად იმყოფებოდა 73-ე ადგილზე. ასეთ სხვაობას აქვს შემდეგი ახსნა: ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ უპი-ის დადებითი ეფექტების მიღება ორივე- კარგი ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური ჩარჩოს (ერთ-ერთად მოიაზრება პოლიტიკური სტაბილურობა) პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, სინგაპურსა და იაპონიას შორის ასეთი დიდი სხვაობა უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის მიხედვით, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსით სინგაპური იმყოფებოდა მე-18 ადგილზე, ხოლო იაპონია-26-ე ადგილზე. (ქვეყნების რანჟირება პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის თანახმად) თუმცა ამ დასკვნის გამყარებისათვის უკეთესი იქნებოდა თუ ამ ქვეყნების ამ პოზიციებს შორის უფრო დიდი სხვაობა იქნებოდა. მაგალითად, კენია პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის თანახმად, იმყოფებოდა 175-ე ადგილზე მსოფლიოს 195 ქვეყანას შორის (ქვეყნების რანჟირება პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის თანახმად) და ასევე, უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი უპი-სგან. კენიასა და უნგრეთს შორის დიდ სხვაობას უპი-ის დადებითი ეფექტების მიხედვით ჩვენ ვხსნით იმით, რომ უკეთესი ფინანსური სისტემა განაპირობებს უპი-ის ეფექტიანობის ზრდას (უპისგან დადებითი სარგებლიანობის მიღებას). რომ შევადაროთ ამ ქვეყნების ფინანსური სისტემები (გაცემული კრედიტი როგორც მშპ-ს პროცენტი), ეს მაჩვენებელი დაფიქსირდა უნგრეთში 66.05%, ხოლო კენიაში-23.45%. ასევე აღჭურვილი, რომელმაც უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად მიიღო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი

ეფექტი უპი-სგან, ეს მაჩვენებელი დაფიქსირდა 15.21% (გლობალური ფინანსური განვითარების მონაცემთა ბაზა

<https://www.worldbank.org/en/publication/gfdr/data/global-financial-development-database>

). აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ უპი-სგან დადებითი ეფექტების მიღება მიმდები ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის დონეზეა დამოკიდებული. ბორენშტეინის, დე გრეგორიოსა და ლის (1998) მოსაზრებით (MORAN 2005, 303), უპი-ის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია ადამიან-კაპიტალის რაოდენობაზე. ადამიან-კაპიტალის რაოდენობა შესაძლოა ჩავანცვლოთ მოსახლეობის რიცხოვნობით. უპი-მ ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი იქონია შემდეგ ქვეყნებზე: ბერმუდი, ბაჰამის კუნძულები, პარაგვაი, საუდის არაბეთი და ალჟირი. მსოფლიოს 241 ქვეყანას შორის მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით პოზიციები ამ ქვეყნებში შემდეგნაირად გამოიყურება: ბერმუდი-206, ბაჰამის კუნძულები-177, პარაგვაი-104, საუდის არაბეთი -მე-40 და ალჟირი-32-ე ადგილი (

https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_population).

